

მოლაპარაკებების მორიგი რაუნდი

A3



"გულახდილად"

A5



A LA GUERRE COMME À LA GUERRE

A8


www.24saati.ge

# 24 საათი

ყოველდღიური


© გაზეთი 24 საათი

შაბათი, 11 თებერვალი, 2006 წელი. №30 (1182)

ფასი 50 თეთრი

## ამბები

### მწვანე დერეფანი მწვანე ვიზის ნაცვლად

9 თებერვალს, უფრო ზუსტად, 10 თებერვალს ღამის 12 საათზე ორ მეზობელ ქვეყანას შორის უვიზო რეჟიმი ამოქმედდა. საქართველოსა და თურქეთის დროის 2-საათიანი სხვაობის შედეგად საქართველოში ეს პროცესი ორი საათით ადრე დაიწყო.

A2

## ამბები

### "მრეწველთა" რეანიმაცია

თავის სამოქმედო პროგრამაზე საუბრისას, "მრეწველები" აღნიშნავენ, რომ ყველა ღონეს იხმარენ ქვეყანაში საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებისათვის საკანონმდებლო ბაზის შესაქმნელად.

A2

## სამართალი

### მოსამართლეები კოლეგიის თავმჯდომარეს კვალიფიკაციას უწუნებენ

უზენაესი სასამართლოს მოსამართლეები - ნინო გვენეტაძე, მერაბ ტურავა და დავით სულაქველიძე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სადისციპლინო კოლეგიის წევრთა კვალიფიკაციას კვლავინდებურად სადავოდ მიიჩნევენ. ისინი ამჯერად კოლეგიის თავმჯდომარის კახა ყიფიანის პროფესიონალიზმს ეჭვქვეშ აყენებენ და მის თავმჯდომარედ დანიშვნასაც კანონდარღვევად თვლიან.

A4

საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.

## ამინდი

| | 11/02 | 12 /02 |
| --- | --- | --- |
| თბილისი | 6 | 9 |
| ტყიბული | 8 | 13 |
| სოხუმი | 9 | 15 |
| დმანისი | 1 | 4 |
| გორი | 5 | 9 |
| ონი | -1 | 6 |
| ზუგდიდი | 11 | 17 |
| ახმეტა | 5 | 8 |
| გაგრა | 8 | 6 |
| სამტრედია | 11 | 16 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
| --- | --- |
| აშშ დოლარი | 1.8175 |
| ევრო | 2.2050 |
| ბირვანქა სტერლ. | 3.2868 |
| რუბლი | 0.0636 |


| | |
| --- | --- |
| ამბები | A 2 |
| უცხოეთი | A 3 |
| სამართალი | A 4 |
| კვირა | A 5 |
| სპორტი | A 6 |
| რევიუ | A 7 |
| სხვადასხვა | A 8 |


# ცეცხლი დაინთო, თამაშები დაიწყო

გიგა გურასაშვილი

*ოთხწლიანი მოლოდინის შემდეგ დაიწყო ის, რასაც მსოფლიოს სპორტული სამყარო ელოდა. ასპარეზობათა შორის გამორჩეული, უმნიშვნელოვანესი და ყველაზე მასშტაბური ღონისძიება - ტურინის XX ზამთრის ოლიმპიური თამაშები! ახლა ყველა გზა ტურინისკენ მიდის. შეჯიბრებებით გამოწვეული ვნებათაღელვა, ცრემლი და სიხარული 16 დღის განმავლობაში ოლიმპიური თამაშების განუყოფელი ნაწილი იქნება. ერთი სიტყვით, ცეცხლი დაინთო, თამაში დაიწყო.*

გაგრძელება A6 გვერდზე



# რუსი ოფიცრები გაათავისუფლეს

*ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში ორი დღის წინ დაკავებული სამი რუსი ოფიცერი გაათავისუფლეს. მათ საქართველოს ტერიტორიის დასატოვებლად 24-საათიანი ვადა მიეცათ. რუსი ოფიცრები დიდი ლიახვის ხეობაში, კეხვის საგუშაგოზე ეუთო-ს მისიას გადასცეს.*

ნათია მხილაძე

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციამ სახმელეთო ჯარების პოლკოვნიკი ვლადიმირ ივანოვი, პოდპოლკოვნიკი გენადი პეტროსიანი და სამხედრო ავტოინსპექციის თანამშრომელი ვალერი კროკი 8 თებერვალს სავიზო რეჟიმის დარღვევის ბრალდებით დააკავა.

რუსი სამხედროების გათავისუფლების შესახებ ინფორმაცია თავდაცვის მინისტრის ირაკლი ოქრუაშვილის მიერ გამართულ საგანგებო ბრიფინგზე გახდა ცნობილი.

მინისტრის განმარტებით, ოფიცრები საქართველოს ტერიტორიაზე უკანონოდ იმყოფებოდნენ და ყველა ის განცხადება, თითქოს კონფლიქტის ზონაში მყოფ რუსეთის მოქალაქეებს საქართველოს ვიზა არ მოეთხოვებათ, სრული სისულელეა. **"სავიზო რეჟიმი სწორედ რუსეთის მხარემ შემოიღო, ახლა კი თავადვე იმკის იმას, რაც თავის დროზე დათესა. ჩვენ არ ვიქნებით დამთმობი, როცა საქმე საქართველოს კანონმდებლობის დარღვევას ეხება, მაგრამ ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ კონფლიქტის ზონაში ვითარება კონტროლიდან არ გამოვიდეს,"** - აცხადებს თავდაცვის მინისტრი.

ოქრუაშვილის ამ განცხადებას რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური წარმომადგენელი მიხეილ კამინინი გამოეხმაურა. მისი განცხადებით, რუსეთი მზად არის, საქართველოს მიერ რუსი სამშვიდობოების სავიზო მიმოსვლის დაწესების საკითხი შერეული საკონტროლო კომისიის ფარგლებში განიხილოს. **"ქართულ მხარეს სრული უფლება აქვს, რუსი სამშვიდობოებისთვის ვიზების შემოღების საკითხი დასვას. ამასთან ერთად, ეს საკითხი რუსეთისთვის ახალია და მზად ვართ, იგი შერეული საკონტროლო კომისიის ფარგლებში განვიხილოთ,"** - აღნიშნა კამინინმა.

გაგრძელება A2 გვერდზე

# "ტერორის ლეგიტიმაცია" და "რეალპოლიტიკა"

### საინტერესოა, რაზე უნდა ესაუბროს პუტინი ტერორისტებს?

ნიკა თარაშვილი

*ორმაგი სტანდარტების პოლიტიკა - ეს ცნება საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიაში დიდი ხანია, არსებობს, მაგრამ ასეთი აქტუალური, როგორც იგი დღეს არის, ალბათ, არასოდეს ყოფილა. საერთაშორისო თანამეგობრობა უკვე მერამდენედ რწმუნდება, რომ ვლადიმირ პუტინის კურსი წმინდა წყლის ორმაგი სტანდარტების პოლიტიკაა. თუმცა, თავად რუსი ჟურნალისტები პუტინის მიერ მადრიდში გაკეთებულ განცხადებაში "რეალპოლიტიკის" საფუძვლებს ამჩნევენ. პუტინმა კიდევ ერთხელ "გააოცა" მსოფლიო. გუშინ ამერიკელები დაბნეულები კითხულობდნენ: ნეტავ, რაზე უნდა ესაუბროს პუტინი ტერორისტებს?*

გაგრძელება A3 გვერდზე



*პუტინი ცდილობს, დაარწმუნოს მსოფლიო, რომ ორმაგი სტანდარტების პოლიტიკაც "რეალპოლიტიკის" ნაწილია.*

# საქართველოს GSM-ბაზარი რუსებისათვის მიუწვდომელია

### გაიაფდება თუ არა GSM-სერვისი?

ნინო ნატროშვილი

საქართველოს ფიჭური კავშირგაბმულობის ბაზარზე ახალი მოთამაშის გამოჩენას კომპანია "მაგთი GSM"-ის მხრიდან პირველი რეაქცია უკვე მოჰყვა. კომპანიამ აბონენტებს ახალი შეტყობინება გაუგზავნა. "მაგთიკომის" აბონენტებისათვის 9 თებერვლიდან ყველა ლოკალური ზარის აღრიცხვა ერთწამიანი სიზუსტით იწარმოებს. "დახარჯავთ ზუსტად იმდენს, რამდენსაც ისაუბრებთ და არც ერთი თეთრით მეტს," - ნათქვამია კომპანიის მიერ გავრცელებულ განცხადებაში. არადა, ამ კომპანიის წამობრივი დამრგვალების სერვისი აბონენტების უკმაყოფილებას მუდმივად იწვევდა. ჯერჯერობით დუმს "ჯეოსელი", რომელიც "მაგთიკომთან" ერთად ბაზარზე საკმაოდ სტაჟიანი მოთამაშეა. ეს კომპანია მომხმარებელს ნოვაციებს მუდმივად სთავაზობს, თუმცა არც მისი სერვისია იაფი.

ახალმა ოპერატორმა საქმიანობა 2007 წლის ბოლომდე უნდა დაიწყოს. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ "მაგთისა" და "ჯეოსელის" სერვისში ამ დრომდე ბევრი რამ შეიცვლება.

ექსპერტების შეფასებით, ბაზარზე ახალი კომპანიის გამოჩენა კონკურენციას უფრო გაამძაფრებს, რაც, შესაბამისად, სამომხმარებლო ტარიფზეც აისახება. არავისთვის უცხო არ არის, რომ დსთ-ს ქვეყნებთან შედარებით, საქართველოში GSM-მომსახურება საკმაოდ ძვირი სიამოვნებაა.

მესამე GSM-ლიცენზია საქართველოში, რომელზეც პრეტენზიას რუსეთის მსხვილი ფიჭური კომპანიები აცხადებდნენ, "რუსთავი 2"-ის მფლობელს ქიბარ ხალვაშს ერგო, რაშიც ბიზნესმენმა ლიცენზიის ღირებულებაზე ჩვიდმეტჯერ მეტი - 71,9 მლნ ლარი (39,9 მლნ დოლარი) გადაიხადა.

გაგრძელება A2 გვერდზე

# საჭე მხოლოდ მარცხნივ!

### ითხოვს პარლამენტი

გიორგი ასანიშვილი

**"ჟურნალისტების კვორუმი არის, დეპუტატებისაზე კი რა მოგახსენოთ!"** - დანანებით ჩაილაპარაკა ლევან ბეჟაშვილმა, როდესაც პარლამენტარებისა და მასმედიისთვის განკუთვნილ სექტორებს გადახედა. პირველის სიხალვათის ფონზე მეორის ხალხმრავლობა მართლაც თვალშისაცემი იყო. მიუხედავად იმისა, რომ ტრადიციული 11 საათის ნაცვლად, იურიდიულ საკითხთა კომიტეტის გუშინდელი სხდომა 14 საათისთვის დაინიშნა, ამან სასურველი შედეგი ვერ გამოიღო: დეპუტატების დიდ ნაწილს დაგვიანება სისხლში აქვს გამჯდარი.

**"საგაზაფხულო სესიისთვის ჩვენი კომიტეტის აქილევსის ქუსლად კვლავ დასწრების საკითხი რჩება,"** - არაპუნქტუალური კოლეგებისადმი ნახევარსაათიანი ლოდინის შემდეგ ასეთი დასკვნა გამოაქვს ლევან ბეჟაშვილს.

რაც შეეხება გუშინ განხილულ საკითხებს, მათი საკმაოდ დიდი ნაწილი სატრანსპორტო თემატიკას შეეხებოდა. კომიტეტის წევრებმა მხარი დაუჭირეს სიღნაღის მაჟორიტარი დეპუტატის ნუგზარ შოშიაშვილის საკანონმდებლო ინიციატივას, რომლის თანახმადაც, 2006 წლის 1 ივლისიდან უნდა აიკრძალოს იმ ავტომობილებით სარგებლობა, რომელთაც საჭე მარჯვენა მხარეს აქვთ დამონტაჟებული.

შოშიაშვილის თქმით, საჭის მარჯვნიდან მარცხნივ გადმოტანა 1000-დან 1500 ლარამდე ჯდება. ამიტომ, პარლამენტის მიერ შემოღებული აკრძალვა ავტომანქანების მფლობელებს მძიმე ტვირთად დააწვებათ, მაგრამ კანონპროექტის ინიციატორი ასეთი ნაბიჯის გადადგმის აუცილებლობაში ღრმად არის დარწმუნებული. მართალია, შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სტატისტიკა არ გააჩნია, მაგრამ სიღნაღის მაჟორიტარი დეპუტატი ირწმუნება, რომ ავარიებს ძალიან ხშირად სწორედ ის მძღოლები ახდენენ, რომელთა მანქანებშიც საჭე მარჯვენა მხარეს არის დამონტაჟებული. საკუთარ პოზიციას შოშიაშვილი იმ ფაქტითაც ამაგრებს, რომ ზოგიერთ ქვეყანაში მთლიანად არის აკრძალული მარჯვენასაჭიანი ავტომობილებით სარგებლობა.

გაგრძელება A2 გვერდზე

# რუსეთში სიკვდილით დასჯის მორატორიუმის გაუქმება მზადდება

*ბესლანში სკოლაზე თავდასხმის მონაწილეობაში ბრალდებული ნურფაშა კულაევის სასამართლო პროცესზე სახელმწიფო ბრალმდებელმა განსასჯელის სიკვდილით დასჯა მოითხოვა. მის მოთხოვნას დარბაზში მყოფი დაზარალებულები აპლოდისმენტებით შეხვდნენ.*

როგორც ცნობილია, ნურფაშა კულაევი ერთადერთია, ვინც ბესლანის სკოლაზე თავდასხმის შემდეგ ტერორისტთაგან ცოცხალი გადარჩა.

ტერორიზმსა და მძევლების აყვანაში ბრალდებული ნურფაშა კულაევის სასამართლო პროცესი, რომელიც ვლადიკავკაზში მიმდინარეობს, დასასრულს უახლოვდება. გუშინ დაწყებული მხარეთა კამათისას პროცესზე სახელმწიფო ბრალმდებლის როლში მყოფმა, რუსეთის გენერალური პროკურორის მოადგილემ, ნიკოლაი შეპელმა ჩრდილოეთ ოსეთის უზენაეს სასამართლოს განსასჯელისთვის სასჯელის უმაღლესი ზომის - სიკვდილით დასჯის შეფარდება მოსთხოვა.

შეპელის განცხადებით, **"ტერორის ტალღის შესაჩერებლად უმკაცრესი ზომების გამოყენება, მათ შორის, ისეთი სასჯელის, როგორიც სიკვდილით დასჯაა, ჩვენი საზოგადოების, სახელმწიფოსა და მისი მთავრობის ვალია, რადგანაც ჩვენ ყველანი ტერორიზმისგან და სხვა, კაცობრიობის წინააღმდეგ დანაშაულთაგან აუცილებელი თავდაცვის მდგომარეობაში ვიმყოფებით"**.

სახელმწიფო ბრალმდებლის ლოგიკით, თუ კანონი უშვებს აუცილებელი თავდაცვის შემთხვევაში დამნაშავის ლიკვიდაციას, სახელმწიფოსაც უნდა ჰქონდეს ამ უფლებით სარგებლობის შესაძლებლობა.

გაგრძელება A4 გვერდზე

# რუსი ოფიცრები გაათავისუფლეს

პირველი გვერდიდან

ირაკლი ოქრუაშვილი არ გამორიცხავს, რომ მსგავსი ინციდენტები კიდევ გამეორდეს, თუმცა მისი თქმით, ყველა ასეთ ფაქტზე შესაბამისი რეაგირება განხორციელდება. უნდა აღინიშნოს, რომ რუსი ოფიცრების მიმართ საქმე აღძრულია საზღვრის უკანონო გადაკვეთის მუხლით და მიმდინარეობს გამოძიება.

შეგახსენებთ, რომ რუსეთის მხარე ავრცელებდა ინფორმაციას, თითქოს საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში დამატებითი ქვედანაყოფები შეიყვანა. საგანგებოდ გამართულ ბრიფინგზე ირაკლი ოქრუაშვილმა ამ ფაქტს დეზინფორმაცია უწოდა. უფრო მეტიც, მისი განცხადებით, ჯერჯერობით ქართულ მხარეს სამშვიდობო ძალებში საკუთარი კვოტაც კი სრულად არ აქვს გამოყენებული.

როგორც მინისტრმა განმარტა, საჭიროების შემთხვევაში დამატებითი ძალების მობილიზება სწორედ დარჩენილი 250-კაციანი სამშვიდობო კონტინგენტის კვოტის ფარგლებში მოხდება.

შეგახსენებთ, არსებული შეთანხმებების საფუძველზე კონფლიქტის ზონაში მხარეებს 500-500-კაციანი სამშვიდობო კონტინგენტის შეყვანის უფლება აქვთ.

# მწვანე დერეფანი მწვანე ვიზის გარეშე

## თურქეთ-საქართველოს საზღვრები უვიზო რეჟიმშია

*9 თებერვალს, უფრო ზუსტად, 10 თებერვალს ღამის 12 საათზე ორ მეზობელ ქვეყანას შორის უვიზო რეჟიმი ამოქმედდა. საქართველოსა და თურქეთის დროის 2-საათიანი სხვაობის შედეგად საქართველოში ეს პროცესი ორი საათით ადრე დაიწყო. უვიზოდ პირველმა თურქეთის მოქალაქემ მაჰმედ აბუდმა გადაკვეთა საზღვარი, რომელმაც აჭარაში თურქეთის გენერალური კონსულისაგან შევქი გუთეველლიოღლუსაგან და საქართველოს სასაზღვრო დეპარტამენტის წარმომადგენლებისაგან მილოცვა მიიღო. საქართველომ აზერბაიჯანის გარდა უკვე მეორე ქვეყანასთან, თურქეთთან გააუქმა სავიზო რეჟიმი, ხოლო თურქეთის რესპუბლიკისთვის საქართველო ამ მხრივ პირველია.*

შორენა გოგიჩაიშვილი
ბათუმიდან

უვიზო რეჟიმის საკითხზე ორ მეზობელ ქვეყანას შორის მოლაპარაკებები ჯერ კიდევ გაზაფხულზე დაიწყო. ხელისუფლებამ, რომელიც სარფის საბაჟოს ქვეყნის კარიბჭის იმიჯს უქმნიდა, თავადვე ფართოდ გახსნა კარიბჭის კარები. სარფის საბაჟოზე "მწვანე დერეფანი" უკვე დიდი ხანია მოქმედებს, თუმცა გამსვლელი პუნქტი ბოლო დროს "გრძელ დერეფანს" უფრო დაემსგავსა. მძიმე და მსუბუქი ავტომობილების 3-კილომეტრიანი რიგი უვიზო რეჟიმის ამოქმედებისთანავე დაიშალა და გადატვირთული მწვანე დერეფანიც შედარებით გასუფთავდა. საზღვრის გადაკვეთის მოლოდინში დღეების განმავლობაში მდგარი რიგის ძირითადი მიზეზი უვიზო პასპორტები არ ყოფილა, თუმცა საბაჟოზე აცხადებენ, რომ უვიზო რეჟიმი მსგავს რიგებს საგრძნობლად შეამცირებს.

**"გამშვები პუნქტი მოქმედებდა, მაგრამ მძღოლების გარკვეულ ნაწილს არ ჰქონდათ გადმოსვლის სურვილი, მიმდინარე ეტაპზე სარფის საბაჟო გამშვები პუნქტი ჩვეულებრივად 24-საათიან რეჟიმში მუშაობს. სარფის საბაჟო მზად არის იმისათვის, რომ უპრობლემოდ გაატაროს ის იმპორტიორი, რომელსაც ყველაფერი წესრიგში აქვს და არა აქვს არავითარი პრობლემა, ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში პროცედურები გართულდება. რაც შეეხება უვიზო რეჟიმს, ეს ქვეყნის ეკონომიკისთვის უმნიშვნელოვანეს შედეგს გამოიღებს, თუნდაც იგივე ბიზნესის თუ ტურიზმის კუთხით"** - განაცხადა საქართველოს საბაჟო დეპარტამენტის თამჯდომარემ ზურაბ ანთელიძემ.

აჭარაში არსებულ თურქეთის საკონსულოსთანაც ბოლო დრომდე იდგა ვიზის მომლოდინეთა გრძელი რიგები და ამ მიზეზით უახლოეს წარსულში ვიზებს პასპორტებში საბაჟოზევე აკრავდნენ, ამჯერად კი აღარც გამშვებ პუნქტზე იქნება ამის აუცილებლობა. უვიზო რეჟიმი მხოლოდ ტურისტულ ვიზებზე ხორციელდება და მისი ხანგრძლივობა 90 დღეს შეადგენს, ანუ საქართველოსა თუ თურქეთის ტერიტორიაზე 90 დღეზე მეტხნიანი "სტუმრობა" ტურისტს 50 აშშ დოლარი დაუჯდება. 1-წლიანი ბიზნესვიზები კი ძალაში რჩება

**"ჩვენ აჭარის მთავრობის თავმჯდომარესთან ლევან ვარშალომიძესთან გვქონდა საუბარი სავიზო რეჟიმის მოხსნის შესახებ და ის მხარს უჭერდა ამ პროექტს, რადგანაც არა მარტო საზღვარზე, არამედ საკონსულოსთანაც ყოველთვის უამრავი რიგები და ხალხი იდგა. შემდეგ ორივე ქვეყნის მათავრობამ დაუჭირა მხარი ამ საკითხს და პროექტი განახორციელეს საქართველოსა და თურქეთის პრემიერ-მინისტრებმა, ზურაბ ნოღაიდელმა და რეჯებ გეიბერდოლმა. ჩვენი პრემიერ-მინისტრები ყოველთვის მხარს უჭერდნენ კეთილმეზობლურ ურთიერთობებს და ყველანაირად გვედგნენ მხარში. მე დადებითად ვაფასებ ამ მოვლენას და შეიძლება ვუწოდო ისტორიული ფაქტი იმიტომ, რომ ჩვენი ხალხი უკეთ გაიცნობს ერთმანეთს, დაუახლოვდება და მიმოსვლა მოიმატებს, ტურისტული კავშირები გაფართოვდება და ორივე რეგიონისათვის ეკონომიკის განვითარებაში ძალიან მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს. საქართველო პირველია, ვისთანაც თურქეთს უვიზო რეჟიმი აქვს"** - განაცხადა აჭარაში თურქეთის გენერალურმა კონსულმა შევქი გუთეველლიოღლუმ.

ცერემონიალი უვიზო რეჟიმთან დაკავშირებით, სარფის გამშვებ პუნქტზე არ ჩატარებულა, თუმცა თურქეთის კონსულმა აღტაცებით აღნიშნა - **"შაბათ-კვირას ახლო რეგიონებიდან ძალიან ბევრი სტუმარი გვეყოლება"**.

# "მრეწველთა" რეანიმაცია

გიორგი ასანიშვილი

პარლამენტში აღდგა "მრეწველთა" ფრაქცია, რომელიც წინა მოწვევის საკანონმდებლო ორგანოშიც მოღვაწეობდა. იგი "მემარჯვენე ოპოზიციის" ბაზაზე ჩამოყალიბდა. რეანიმირებული ფრაქციის შვიდი წევრი დღემდე დავით გამყრელიძის თანაგუნდელი იყო, ამიერიდან კი მათი "შეფი" ზურაბ ტყემალაძე იქნება. "მრეწველებმა" მათი კვოტით "ახლებთან" მყოფი შვიდი დეპუტატის გარდა, სამი სხვა პარლამენტარიც გადაიბირეს - აბაშის, რუსთავის და ახალციხის მაჟორიტარები - პაატა ქურდოვანიძე, გოგი სალაყაია და ნუგზარ პარუნაშვილი ახლა უკვე "მრეწველთა" რიგებში არიან.

გუშინდელ პრესკონფერენციაზე "მრეწველები" დაბეჯითებით ირწმუნებოდნენ, რომ ისინი ოპოზიციურ ძალას წარმოადგენენ და მომავალშიც ხელისუფლების ოპონენტებად დარჩებიან. ისინი გადაჭრით უარყოფენ გავრცელებულ ხმებს იმის შესახებ, თითქოს ახალი ფრაქცია საპარლამენტო უმრავლესობის დაკვეთით შეიქმნა და ის სახელისუფლებო ფრაქციასთან ფარულ ალიანსში იქნება.

**"პოლიტიკურ ბლოკ "მემარჯვენე ოპოზიცია - მრეწველები, ახლების" დაშლაზე ჩვენ არც გვიფიქრია. ჩვენ მხოლოდ იმას ვფიქრობდით, რომ ბლოკის ეგიდით ორი საპარლამენტო ფრაქციის მოქმედება უფრო ეფექტური იქნებოდა, მაგრამ თუ ჩვენს "მემარჯვენე" მეგობრებს ზემოხსენებული ბლოკის დაშლა უნდათ, საწინააღმდეგო ნამდვილად არაფერი გვექნება და ამის გამო თავს არ მოვიკლავთ,"** - აცხადებს ზურაბ ტყემალაძე.

თავის სამოქმედო პროგრამაზე საუბრისას, "მრეწველები" აღნიშნავენ, რომ ყველა ღონეს იხმარენ ქვეყანაში საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებისათვის საკანონმდებლო ბაზის შესაქმნელად.

**"დღეს მცირე მეწარმეები კვლავ ცუდ დღეში არიან, ქვეყანაში სამეწარმო საქმიანობის განვითარებას ვერ წაადგება ხელისუფლების ახალი ინიციატივა საზღვრების გახსნასთან და თავისუფალი ვაჭრობის განვითარებასთან დაკავშირებით,"** - აცხადებს ტყემალაძე.

მისივე თქმით, მთავრობის აღნიშნული ინიციატივის განხორციელება ხელს შუწყობს ქვეყანაში იმპორტული საქონლის შემოდინებას, რაც პირდაპირ აისახება უმუშევრობის დონის გაზრდაზე.

"მრეწველების" უფრო ფართომასშტაბიანი პრეზენტაცია მოგვიანებით, მას შემდეგ გაიმართება, როდესაც პარტიის ერთ-ერთი ლიდერი გოგი თოფაძე ტურინიდან დაბრუნდება, სადაც ის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე საქართველოს სპორტულ დელეგაციას ახლავს თან.

# საქართველოს GSM-ბაზარი რუსებისათვის მიუწვდომელია

პირველი გვერდიდან

კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის ინფორმაციით, გაიყიდა ის სიხშირე, რომელიც თავის დროზე ამერიკულ-ქართულ "მეგაკომს" ეკუთვნოდა. კონკურსი სიხშირეზე 2005 წლის დეკემბერში გამოცხადდა. გამარჯვებულის გამოვლენის ძირითადი კრიტერიუმი მაქსიმალური ფასი იყო, ლიცენზიის საწყისი ფასი კი 4,2 მილიონ ლარს (2,3 მლნ დოლარი) შეადგენდა. ექსპერტების შეფასებით, ლიცენზიაში ახალმა მფლობელმა საკმაოდ ძვირი გადაიხადა.

"საქართველოში, სადაც 4,3-4,5 მლნ ადამიანი ცხოვრობს, ბაზარი უკვე საკმაოდაა ჩამოყალიბებული. მუშაობს ორი კომპანია - "მაგთიკომი", რომელიც დაახლოებით 300 ათას აბონენტს ემსახურება, და კომპანია "ჯეოსელი", რომელსაც დაახლოებით ამდენივე აბონენტი ჰყავს. ამიტომ ლიცენზიაში გადახდილი 40 მილიონი დოლარი საკმაოდ დიდი თანხაა, რადგან პოტენციური აბონენტების რაოდენობა ქვეყანაში დაახლოებით 1,5-2 მილიონია. თანაც, ლიცენზიის შესყიდვის გარდა, ოპერატორმა უნდა განახორციელოს ინვესტიციები აპარატურის შესაძენად და ქსელის ასაშენებლად," - აცხადებს "გაზეტა რუ"-სთვის მიცემულ ინტერვიუში ოქსანა პანკრატოვა, კომპანია "კონსალტინგის" წამყვანი ანალიტიკოსი.

აღნიშნულ აუქციონში მონაწილეობა არ მიიღეს წამყვანმა რუსულმა ფიჭური კავშირგაბმულობის კომპანიებმა. მათი ინტერესი თავის დროზე ქართული ბაზრის მიმართ საკმაოდ დიდი იყო. რუსულ პრესაში გავრცელებული ინფორმაციით, "მტს" და "ვიმპელკომი" პოლიტიკური მიზეზების გამო გაჩერდნენ. საგულისხმოა, რომ რუსული ფიჭური კავშირგაბმულობის კომპანიების დიდი სამეულის - "ბილაინის", "ვიმპელკომის" და "მტს"-ის არც ერთი ოპერატორი დღემდე არ მუშაობს საქართველოში, სომხეთში და აზერბაიჯანში. "ვიმპელკომის" გენერალურმა დირექტორმა ალექსანდრ იზოსიმოვმა აღნიშნა, რომ იქ რეალური არაფერი იყიდება, და რაც იყიდება, საკმაოდ ძვირია.

# საჭე მხოლოდ მარცხნივ!

პირველი გვერდიდან

ის მძღოლები, რომლებიც კანონის მოთხოვნას არ დაემორჩილებიან, 100 ლარით დაჯარიმდებიან, ხოლო კანონდარღვევის განმეორების შემთხვევაში მათ ერთი წლით ჩამოერთმევათ მართვის მოწმობა. გამონაკლისი მხოლოდ იმ უცხოელებისთვის დაიშვება, რომლებიც მარჯვენასაჭიანი საკუთარი ავტომანქანებით საქართველოში სამოგზაუროდ ჩამოვლენ, ან ჩვენი ქვეყნის ტერიტორიას ტრანზიტით გადაკვეთენ.



იურიდიულ საკითხთა კომიტეტის გუშინდელ სხდომაზე განხილული იქნა, აგრეთვე, საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი, რომლის მიზანია საგზაო მოძრაობის სფეროში წესრიგის განმტკიცება. კერძოდ, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა მკაცრდება იმ პირთათვის, ვინც სატრანსპორტო საშუალებების მართვისას ნარკოტიკული ან ფსიქოტროპიკური საშუალებების ზემოქმედების ქვეშ იმყოფება. ამ შემთხვევაში კანონდამრღვევი 300 ლარით დაჯარიმდება.

ახალი ნორმა ითვალისწინებს პასუხისმგებლობის ზომების გამკაცრებას საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის ადგილის მიტოვების, აგრეთვე, სატრანსპორტო საშუალების გაჩერების შესახებ პოლიციის მუშაკის მოთხოვნის შეუსრულებლობისთვისაც. ამასთან, თუ ამგვარი ქმედებები ჩადენილია იმ პირის მიერ, რომელსაც არა აქვს მართვის მოწმობა, მას 200-ლარიანი ჯარიმის გადახდა მოუწევს...

აღნიშნულ კანონპროექტებს პარლამენტი საგაზაფხულო სესიის პირველივე სასესიო კვირაში განიხილავს, რომელიც 14-17 თებერვალს ჩატარდება.

# მორიგი სიახლე "ბრიტანეთის ავიახაზებისგან"

თბილისიდან ლონდონის გავლით გრძელ მარშრუტებზე მიმავალ მგზავრებს ამიერიდან შესაძლებლობა ეძლევათ, ახალი A321 თვითმფრინავით ისარგებლონ.

"ეარბასის" ტიპის თვითმფრინავი A321 უახლესი ტექნოლოგიითა და გაუმჯობესებული სავარძლებით არის აღჭურვილი, რაც მგზავრებს უფრო კომფორტული ფრენისა და უკეთესი დასვენების საშუალებას მისცემს.



ბრიტანეთის ავიახაზების ფრანჩაიზგულმა პარტნიორმა, "ბიმედმა" რეისზე ახალი თვითმფრინავის გაშვება უკვე აღნიშნა. **"ახალი თვითმფრინავის შემოსვლა რეისზე ძალიან მნიშვნელოვანია როგორც ჩვენი კომპანიისთვის, ასევე ჩვენი მომხმარებლებისთვის. ახალი ტექნოლოგიით აღჭურვილი სალონი მგზავრებს უფრო კომფორტულ ფრენას სთავაზობს. დღეისათვის "ბრიტანეთის ავიახაზები" ცენტრალური და შუა აზიის, აფრიკის ქვეყნების 15 მიმართულებით დაფრინავს. ბოლო წლის მაჩვენებლის მიხედვით, მგზავრების რიცხვის ზრდასთან ერთად, ლონდონიდან ფრენის სიხშირეც შესაბამისად გაიზრდება,"** - განაცხადა ბიმედის აღმასრულებელმა დირექტორმა დევიდ რიჩარდსონმა.

"ბრიტანეთის ავიახაზები" კვლავაც განაგრძობს ახალი მარშრუტების დამატებას და მგზავრებს სულ უფრო ფართო არჩევანს შესთავაზებს. 2006 წლის 26 მარტიდან ავიაკომპანია ლონდონიდან პიდაპირი რეისით თურქეთის დედაქალაქში, ანკარაში იფრენს.

თბილისიდან ლონდონის მიმართულებით ამჯერად დაფრინავს A320 და A321 "ეარბასის" ტიპის თვითმფრინავები, რომლებიც მგზავრებს თბილისიდან ბრიტანეთის დედაქალაქის გავლით 157 მიმართულებას აკავშირებს 77 ქვეყანაში. ბიზნესკლასის მგზავრები არაჩვეულებრივი მომსახურებით ისარგებლებენ. აღსანიშნავია Club World-ის მსოფლიოში პირველი სრულად გასაშლელი სავარძელი, რომელიც მგზავრს სრულყოფილად დასვენების საშუალებას აძლევს. "ბრიტანეთის ავიახაზები" მგზავრებს 18 ვიდეო და 12 აუდიოარხის საშუალებით უახლეს საუკეთესო კინო და ტელეპროდუქციას სთავაზობს.

დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ ავიაკომპანიის ვებგვერდს www.ba.com ან დარეკეთ ტელეფონებზე 94 07 19/20.

*24 საათი*

საქართველოს ტელეკომი
TELECOM GEORGIA

„საქართველოს ტელეკომმა“ დაიწყო ახალი პროექტი

„ცხელი სადილი კათარზისის ხანდაზმულთათვის“.

თუ თქვენ გჭირდებათ საზღვარგარეთ დარეკვა, დარეკეთ 8-10-ით (ტარიფი უცვლელია).

ამით თქვენ დაეხმარებით სათნოების სახლი „კათარზისის“ უფასო სასადილოს. ყოველდღიურად, თქვენი შემწეობით, რამდენიმე ასეული მოხუცებული მიიღებს სრული რაციონის ცხელ სადილს.

ყოველი ახალი ზარი კიდევ ერთი ადამიანის დახმარების საწინდარია.

8-10

ერთად ვაკეთოთ კეთილი საქმე

რუსთაველის გამზ. 31 ტელ.: 442828 www.telecom.ge

## მოკლედ

### აქცია რუსეთის საელჩოსთან

საქართველოში რუსეთის საელჩოს წინ გუშინ თეატრალიზებული საპროტესტო აქცია გაიმართა. აქციის მონაწილეებმა საქართველოს კონფლიქტური ზონებიდან რუსეთის სამშვიდობოების გაყვანა მოითხოვეს. აქციის ორგანიზატორთა განცხადებით, აქციის მონაწილეები გაეროს წარმომადგენლებს მეტი აქტიურობისკენ მოუწოდებენ, საქართველოს ხელისუფლებას კი დაპირების შესრულებასა და რუსეთის სამშვიდობოების გაყვანის დაჩქარებას სთხოვენ. აქციის მონაწილეები საქართველოში განვითარებულ მოვლენებზე პასუხისმგებლობას რუსეთის მხარეს აკისრებენ. **ჯი-ეიჩ-ენი**

### გელა ბეჟუაშვილის სიტყვა ეუთოს მუდმივმოქმედი საბჭოს სხდომაზე

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გელა ბეჟუაშვილი ვენაში ეუთოს მუდმივმოქმედი საბჭოს სხდომაზე სიტყვით გამოვიდა. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა თავის გამოსვლაში, ძირითადად, ცხინვალის რეგიონის დემილიტარიზაციის აუცილებლობაზე ისაუბრა. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ვრცლად ისაუბრა ბოლო პერიოდში საქართველოში განვითარებული მოვლენების შესახებ, შეეხო საქართველოში არსებული კონფლიქტის ზონებში შექმნილ ვითარებას და კონფლიქტების მოგვარების მშვიდობიან გზებს. ასევე მან ყურადღება გაამახვილა სამშვიდობო გეგმის შესრულების პროცესში ევროპის ქვეყნების აქტიური მონაწილეობის აუცილებლობაზე.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ეუთო-ს ლუბლიანის მინისტრიალზე აღიარებული სამშვიდობო გეგმის იმპლიმენტაციისთვის მხარდაჭერა ითხოვა. "საქართველოს არ აინტერესებს ეს პროცესი მხოლოდ პროცესისათვის. ჩვენ შედეგები გვჭირდება. საქართველოსთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნება მომდევნო რთულ კვირებში ეუთოს წევრი ქვეყნების მხარდაჭერა, რადგან ჩვენ კონფლიქტის მშვიდობიანი გზებით მოგვარებისა და ვითარების სტაბილიზაციისათვის ერთმნიშვნელოვნად დაგვჭირდება საერთაშორისო თანამეგობრობის ძალისხმევის კონსოლიდაცია," - განაცხადა გელა ბეჟუაშვილმა. ეუთო-ში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა ჯულიან ფინლიმ განაცხადა, რომ საქართველოს და ქართული მხარის მიერ წარმოდგენილ სამშვიდობო გეგმას მხარს უჭერს აშშ. ევროკავშირის დელეგაციის ხელმძღვანელმა დადებითად შეაფასა საქართველოს მისწრაფება, მშვიდობიანად მოაწესრიგოს კონფლიქტი ცხინვალის რეგიონში და ქართულ მხარეს სამშვიდობო გეგმის რეალიზაციაში თანადგომა აღუთქვა. ევროკავშირის დელეგაციამ კიდევ ერთხელ დაადასტურა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის და სუვერენიტეტის სრული მხარდაჭერა. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ხაზი გაუსვა ეუთო-ს ბელგიელი თავმჯდომარის ინიციატივის მნიშვნელობას, შერეული საკონტროლო კომისიის მომდევნო სხდომის ვენაში გაფართოებული შემადგენლობით გამართვის თაობაზე და დასძინა, რომ ქართული მხარე ძალისხმევას არ დაიშურებს, რათა აღნიშნულ შეხვედრას რეალური შედეგები მოჰყვეს. **ჯი-ეიჩ-ენი**

### "სახალხო ფორუმი" საქართველოს სახელმწიფო მოწყობის ფორმის შეცვლის ინიციატივით გამოდის

საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა "სახალხო ფორუმი" პოლიტიკურ პარტიებს ქვეყნის სახელმწიფო მოწყობის ფორმის შეცვლას და საპარლამენტო მოდელზე გადასვლას სთავაზობს. როგორც გუშინ სასტუმრო "თორში" მიმდინარე კონფერენციაზე "სახალხო ფორუმის" ლიდერებმა განაცხადეს, აღნიშნული საკითხი მომავალ არჩევნებამდე უნდა გადაწყდეს და საამისოდ ოპოზიციურმა პარტიებმა აქტიურად უნდა ითანამშრომლონ.

"სახალხო ფორუმის" ლიდერები არ გამორიცხავენ, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წინ გარკვეული ოპოზიციური კოალიცია ჩამოყალიბდეს, თუმცა მათი აზრით, მანამდე საქართველოს სახელმწიფო მოწყობის საკითხები უნდა გაირკვეს. კონფერენციაში, რომელიც "სახალხო ფორუმის" ინიციატივით ტარდება, "რესპუბლიკური პარტია", "ლეიბორისტული პარტია", ექსპერტები და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები მონაწილეობენ. კონფერენციის სახელწოდებაა "საქართველოს სახელმწიფო მოწყობა - საპრეზიდენტო, თუ საპარლამენტო რესპუბლიკა?" კონფერენციის მიზანია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ოპოზიციური პარტიების ერთიანი პოზიციის შემუშავება. **ინტერპრესნიუსი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . დიზაინი: გიორგი ხმალაძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია





# "ტერორის ლეგიტიმაცია" და "რეალპოლიტიკა"

პირველი გვერდიდან

**"ეს არის სილის გაწვნა არა მარტო ისრაელისათვის, არამედ დასავლური სახელმწიფოებისთვისაც... ჩვენ განმარტებას ველით,"** - ასე გამოეხმაურა ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრი ციპნი ლივნი ვლადიმირ პუტინის მიერ მადრიდში გაკეთებულ განცხადებას. შეგახსენებთ, ხუთშაბათს მადრიდში, ესპანეთის პრემიერ-მინისტრ ხოსე ლუის საპატეროსთან ერთად გამართულ პრესკონფორენციაზე ვლადიმირ პუტინმა განაცხადა, რომ "ჰამას"-ის ლიდერების მიწვევას აპირებს მოსკოვში მოლაპარაკებების გამართვის მიზნით.

ბუნებრივია, რუსეთის პრეზიდენტის მიერ მადრიდში წარმოთქმულმა სიტყვებმა ისრაელის ხელისუფლება და მასთან ერთად აშშ "ერთგვარ შოკში ჩააგდო". "რუსეთის პრეზიდენტმა ფრიად სახიფათო თამაში წამოიწყო", "მისი ნაბიჯი წაახალისებს რადიკალებს მთელ მსოფლიოში", "ეს ფაქტობრივად ტერორის ლეგიტიმაციაა" - ასეთი შინაარსის სტატიებს ნახავდით გუშინდელ დასავლურ პრესაში.

**"რას იტყოდა პუტინი, ისრაელს რომ ამბოხებულ ჩეჩენთა მეთაურები მოეწვია?"** - შესაძლოა, გუშინ მსგავსი კითხვა ბევრს დაებადა, მაგრამ ღიად ამის თქმა მხოლოდ ისრაელის კაბინეტის წევრმა, ახლად შექმნილი პარტია "კადიმას" ერთ-ერთმა ლიდერმა მეირ შითრითიმ გაბედა.

სხვათა შორის, როგორც ესპანური გამოცემები ირწმუნებოდნენ, ასეთი შინაარსის შეკითხვა პუტინს პრესკონფერენციაზეც დაუსვეს - რატომ არ თვლის "ჰამას"-ს ტერორისტულ ორგანიზაცად, მაშინ როცა ჩეჩნეთში სწორედ ანტიტერორისტული კამპანიის ეგიდით მიმდინარეობს ბრძოლა. თუმცა, პუტინის პასუხი ამ კითხვაზე არავის მოუსმენია.

ნიშნავს თუ არა პუტინის "მადრიდული გამოხდომა" ახლო აღმოსავლეთის პრობლემის მოგვარების საკითხზე შუამავალთა კვარტეტის (აშშ, რუსეთი, გაერო, ევროკავშირი) ოფიციალური პოზიციიდან გადახვევას? - ამ კითხვაზე პასუხის გაცემას უკვე აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალური წარმომადგენელი ცდილობდა და, უნდა ითქვას, რომ შონ მაკკორმაკი ამ დროს საკმაოდ დაბნეულად გამოიყურებოდა. ამერიკელი დიპლომატის პასუხიდან ერთადერთი, რისი დასკვნაც შეიძლება, ისაა, რომ აშშ რუსეთს "ჰამას"-თან დაკავშრებული გეგმების დაზუსტებას მოსთხოვს. მით უმეტეს, რომ, როგორც მაკკორმაკის სიტყვებიდან ირკვევა, კვარტეტის ბოლო შეხვედრაზე რუსეთს ამ რადიკალურ ორგანიზაციასთან დიალოგის გამართვის სურვილზე არაფერი უთქვამს.

თუმცა, თეთრი სახლი მოელის, რომ "ჰამასთან" რაიმე კონტაქტების შემთხვევაში რუსეთი ამ დაჯგუფებისგან კვარტეტის მიერ ჩამოყალიბებული პირობების შესრულებას მოითხოვს. საუბარია "ჰამასის" მხრიდან ტერორისა და ძალადობის შეწყვეტაზე, ისრაელის სახელმწიფოს აღიარებაზე და პალესტინის ყოფილი მთავრობის მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულებების შესრულებაზე (მათ შორის სამშვიდობო გეგმა "საგზაო რუკის" შერულებაზე).

რაც შეეხება რუსეთის პრეზიდენტის ინიციატივის შეფასებას, მაკკორმაკი აცხადებს, რომ ნებისმიერი ქვეყანა თავად იღებს სუვერენულ გადაწყვეტილებებს.

ერთადერთი, ვინც პუტინის ინიციატივა გუშინ ღიად მოიწონა, ოფიციალური საფრანგეთი იყო. **"რუსეთის ინიციატივა შეიძლება წაადგეს ჩვენს პოზიციებს "საერთაშორისო შუამავალთა კვარტეტის" ფარგლებში,"** - ნათქვამია საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში.

საფრანგეთის გარდა, რა თქმა უნდა, აღფრთოვანებული იყვნენ თავად "ჰამასის" წარმომადგენლებიც. "ჰამასის" აღმასკომის თავმჯდომარემ ჰალედ მეშალმა პუტინის პოზიციას "თამამი" უწოდა და რუსეთის პრეზიდენტს მოსკოვში მიწვევისთვის მადლობა გადაუხადა. "ჰამასის" მეორე ლიდერმა ისლაიმ ჰანიამ კი განაცხადა, რომ ოფიციალური მიწვევის მიღების შემთხვევაში, ორგანიზაციის ხელმძღვანელები რუსეთს ეწვევიან.

აშკარაა, პუტინმა სცადა ეჩვენებინა, რომ ის, რასაც ვერ ახერხებს საერთაშორისო თანამეგობრობა (პირველ რიგში, შეერთებული შტატები), რუსეთისთვის სრულიად მარტივი განსახორციელებელია. მოკლედ, პუტინის "მესიჯის" მთავარი დანიშნულება კვლავაც "მსოფლიო მოთამაშის" რანგში წარმოჩენა იყო და არა რეალური შედეგი.

ამერიკელები კი თავის მხრივ დაბნეულები კითხულობენ: საინტერესოა, რაზე უნდა ისაუბროს პუტინმა ტერორისტებთან?

# პარიზის შეხვედრა

## მოლაპარაკებების მორიგი რაუნდი მთიანი ყარაბაღის კონფლიქტთან დაკავშირებით

ელისეს სასახლეში პარასკევს საფრანგეთის პრეზიდენტმა ჟაკ შირაკმა 45 წუთიანი შეხვედრა გამართა ცალ-ცალკე სომხეთისა და აზერბაიჯანის პრეზიდენტებთან. თემა, რასაკვრიველია, ყარაბაღის გაყინული კონფლიქტის რეგულირების გზების ძიება იყო.

მოგვიანებით კი რობერტ კოჩარიანი და ილჰამ ალიევი მოლაპარაკებების მაგიდას რამბუიეს სასახლეში მიუსხდნენ, მაგრამ როგორც მოსალოდნელი იყო, მოლაპარაკებები ერთდღიანი არ აღმოჩნდა და შეხვედრას სამხრეთ კავკასიის ორი სახელმწიფოს პრეზიდენტები დღესაც განაგრძობენ. რამბუიეს სასახლეში გამართულ გუშინდელ შეხვედრაში მონაწილეობდნენ ასევე საფრანგეთის, აშშ-სა და რუსეთის წარმომადგენლებიც, რომლებიც ეუთო-ს მინსკის ჯგუფის წევრები არიან. სწორედ, ეს ჯგუფი მუშაობს მთიანი ყარაბაღის პრობლემის მოგვარებაზე.

**"ამჟამად უკვე არსებობს შეთანხმებისთვის საფუძვლის ჩაყრის შანსი"**, - მიიჩნევს ჟაკ შირაკი.

**"ჩვენ უკვე გვაქვს ოპტიმისტური განწყობის მიზეზი, უბრალოდ, საჭიროა პოლიტიკური ნების გამოვლენა და გარკვეულ რისკზე წასვლა"**, - აღნიშნა ასევე სომხეთის პრეზიდენტმა რობერტ კოჩარიანმა სომხური ტელევიზიისთვის მიცემულ ინტერვიუში.

აზერბაიჯანული მხარე კი მიიჩნევს, რომ მეტი ძალისხმევაა საჭირო მოლაპარაკებებისას არსებული ურთიერთგამომრიცხავი პოზიციების დაახლოებისათვის.

საფრანგეთის პრეზიდენტის პროგნოზის რეალურობას არ გამორიცხავენ, სხვათა შორის, ნაკლებად ოპტიმისტურად განწყობილი ექსპერტებიც. თუმცა, მხარეთა შეუვალი პოზიციების გათვალისწინებით, ეს არცთუ მარტივი მისაღწევი იქნება. საქმე არა მარტო ქვეყნების ლიდერების მწვავე



განცხადებებს ეხება, არამედ მნიშვნელოვან როლს ამ შემთხვევაში აზერბაიჯანულ და სომხურ პრესაში გამოქვეყნებული სტატიებიც ასრულებს. დიპლომატთა თქმით, საფრანგეთში გამართული შეხვედრის მიზანი ჯერ მხოლოდ მთიანი ყარაბაღის სტატუსზე შეთანხმებაა. როგორც ცნობილია, სომხეთი გამოირცხავს ანკლავის ბაქოს დაქვემდებარებაში გადასვლის პერსპექტივას, ხოლო აზერბაიჯანი პრობლემის რეგულირების ერთადერთ გზად ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებას ხედავს. ამდენად, "გაყინული" კონფლიქტის "გალხობის" პირველ ნაბიჯად, სწორედ, სტატუსზე შეთანხმება უნდა იქცეს.

დიპლომატები კი მიიჩნევენ, რომ ნებისმიერ დოკუმენტში, სავარაუდოდ, შეთანხმებული იქნება სომხური შეიარაღებული ძალების გაყვანა მთიანი ყარაბაღის მეზობელი აზერბაიჯანული რაიონებიდან თავად ყარაბაღის ტერიტორიაზე კონროლის შენარჩუნების სანაცვლოდ. თუმცა, არც ისაა გამორიცხული, რომ საქმე უცხოური სამშვიდობო ძალების შეყვანაზეც მიდგეს. რაც შეეხება რეფერენდუმს, იგი, სავარაუდოდ, გაურკვეველი ვადით გადაიდება.

*24 საათი*

### მოკლედ

## ფატმირ სეიდიუ - კოსოვოს ახალი პრეზიდენტი

კოსოვოს პარლამენტმა მხარისთვის დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფოს სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით დაგეგმილ მოლაპარაკებებამდე ახალ პრეზიდენტად განათლებით იურისტი, პროფესორი ფატმირ სეიდიუ აირჩია. მისი კანდიდატურა კოსოვოს მმართველმა დემოკრატიულმა ლიგამ ერთხმად წამოაყენა. 54 წლის ფატმირ სეიდიუმ პირობა დადო, რომ განსვენებული პრეზიდენტის იბრაჰიმ რუგოვას პოლიტიკურ კურსს გააგრძელებს. პარლამენტში კენჭისყრა მომავალ კვირაში იყო დაგეგმილი, თუმცა უფრო ადრე გაიმართა, რათა ახალ პრეზიდენტს საშუალება ჰქონდეს, სამშაბათს კოსოვოს საკითხზე გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომას დაესწროს. მართალია, ეს პოსტი ჯერჯერობით მხოლოდ ცერემონიულ სახეს ატარებს, მაგრამ მხარის ალბანური მოსახლეობისათვის, რომელიც სერბეთისაგან დამოუკიდებლობას ელტვის, ამას მაინც ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს.

1999 წლიდან სერბეთის ამ მხარეს გაეროს ადმინისტრაცია მართავს. 20 თებერვალს ვენაში კოსოვოს მომავალ სტატუსზე საერთაშორისო მოლაპარაკება უნდა დაიწყოს. ალბანელები, რომლებიც მხარეში მოსახლეობის 90 პროცენტს წარმოადგენენ, იმედოვნებენ, რომ მოლაპარაკებები მათ, ბელგრადის წინააღმდეგობის მიუხედავად, დამოუკიდებლობამდე მიიყვანს. **24 საათი**

## უკრაინის საპარლამენტო არჩევნებში ოპოზიციას უკეთესი შანსი აქვს

უკრაინაში მარტში დანიშნულ საპარლამენტო არჩევნებში, ახლანდელი ზოგიერთი მონაცემით, ოპოზიციურ ძალებს უზენაეს რადაში ადგილების უმრავლესობის მოპოვების მეტი შანსი აქვთ, ვიდრე "ნარინჯისფერი რევოლუციის" მონაწილეებს. ამას მოწმობს რაზუმკოვის ცენტრის, "სოცისის", სრულიად უკრაინის სოციალოგიური სამსახურის, "იმიჯ-კონტროლის" ცენტრის, სოციალური პერსპექტივისა და თავისუფლების ფონდის მიერ იანვარში ჩატარებული გამოკითხვის შედეგები. იმ პოლიტიკური პარტიებისა და ბლოკების ჯამური რეიტინგების დათვლის შედეგად, რომლებიც საარჩევნო ბარიერს ძლევენ, ნარინჯისფერი რევოლუციის მონაწილეებს (ბლოკი "ნაშა უკრაინა", იულია ტიმოშენკოს ბლოკი და სოციალისტური პარტია) და ოპოზიციურ ძალებს (რეგიონების პარტია, ლიტვინის სახალხო ბლოკი, უკრაინის კომპარტია, ბლოკი "ნე ტაკ", ნატალია ვიტრენკო, ბლოკი "სახალხო ოპოზიცია") შორის ძალთა თანაფარდობა რაზუმკოვის ცენტრის მონაცემებით შემდეგნაირად გამოიყურება: "ნარინჯისფერები" - 42,1 პროცენტი, ოპოზიცია - 49,8 პროცენტი; სრულიად უკრაინის სოციოლოგიური სამსახურის პროგნოზით: "ნარინჯისფერები" - 42,1 პროცენტი, ოპოზიცია - 43,8 პროცენტი; "იმიჯ-კონტროლის" ცენტრის ცნობებით: "ნარინჯისფერები" - 38,1 პროცენტი, ოპოზიცია - 41 პროცენტი; "სოციალური პერსპექტივის" მონაცემებით: "ნარინჯისფერები" - 34 პროცენტი, ოპოზიცია - 39,3 პროცენტი; თავისუფლების ფონდის თანახმად: "ნარინჯისფერები - 37,4 პროცენტი, ოპოზიცია - 43 პროცენტი".

ამგვარად, ოპოზიციურ ძალებს საპარლამენტო უმრავლესობის ფორმირების რეალური შანსი აქვთ, თებერვლის სოციოლოგიური გამოკითხვების თანახმად, ამომრჩევლებში მათი პოპულარულობა დღითიდღე იზრდება. ამავე დროს არჩევნების ყველა მონაწილეს ელექტორატის იმ ნაწილისთვის ბრძოლა მოუწევს, რომელსაც ჯერ არ აქვს გადაწყვეტილი, რომელ პოლიტიკურ ბლოკსა თუ პარტიას მიანიჭოს უპირატესობა. სხვადასხვა სოციოლოგიური სამსახურის მონაცემებით, ამგვარ ამომრჩეველთა რაოდენობა 3,5-14.5 პროცენტსს შეადგენს. სოციოლოგების აზრით, რეზერვის მეტ ნაწილს საარჩევნო რგოლის ფავორიტები გაიყოფენ. **ინტერპრესნიუსი**

## აზერბაიჯანში "ფრინველის გრიპის" ვირუსის არსებობა დადასტურდა

ლონდონის ლაბორატორიამ აზერბაიჯანში, კასპიის ზღვის სანაპიროზე დაღუპულ გარეულ ფრინველებში ადამიანისთვის საშიში ვირუსის H5N1 არსებობა დაადასტურა. ამის შესახებ აზერბაიჯანის ჯანდაცვის სამინისტრომ გამოაცხადა. ჯანდაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროები მოსახლეობას მოუწოდებენ, ქათმის ხორცისგან კერძების მომზადებისგან თავი შეიკავონ და მოარიდონ შინაური ფრინველები გარეულ ფრინველებთან კონტაქტს.

"ფრინველის გრიპის" კერა საბერძნეთშიცაა აღმოჩენილი. ქალაქ სალონიკის მიდამოებში, ამ დაავადებით სამი გედი დაილუპა. ნიმუშები დიდი ბრიტანეთის ვეინბრიჯის ლაბორატორიაშია გადაგზავნილი, რომელმაც უნდა დაადგინოს, იყვნენ თუ არა გედები ვირუსის H5N1 გადამტანები. თუ დიაგნოზი დადასტურდა, ეს ევროკავშირის ერთ-ერთი ქვეყნის ტერიტორიაზე ვირუსის ამ ნაირსახეობის აღმოჩენის პირველი შემთხვევა იქნება.

### მოკლედ

## გენერალ რომან დუმბაძეს 17 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს

ბათუმის საქალაქო სასამართლომ გენერალ რომან დუმბაძეს 17 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. ყოფილი 25-ე მოტომსროლელი ბრიგადის ხელმძღვანელს სამშობლოს ღალატში, ფინანსურ მაქინაციებში და უკანონო ბანდფორმირებების ჩამოყალიბებაში ედება ბრალი.

სახელმწიფო ბრალდების მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. პროკურორმა ასლან აბაშიძის მხარდამჭერი გენერალ დუმბაძისთვის 20 წლით თავისუფლების აღკვეთა მოითხოვა, თუმცა ბათუმის საქალაქო სასამართლომ რიგი გარემოებები გაითვალისწინა - კერძოდ ის, რომ რომან დუმბაძე აფხაზეთსა და სამაჩაბლოში იბრძოდა და სასჯელი სამი წლით შეუმსუბუქა. დუმბაძის ახლობლებმა, სასამართლოს გადაწყვეტილების გამო, უკმაყოფილება გამოთქვეს. დუმბაძის ადვოკატი ილია წულუკიძე განაჩენის გასაჩივრებას აპირებს. სასამართლო პროცესი რვა თვის განმავლობაში მიმდინარეობდა. გენერალი რომან დუმბაძე 2004 წელს თბილისში სამართალდამცველებს საკუთარი ნებით ჩაბარდა. **ინტერპრესნიუსი**

## გიორგი ღონღაძის მკვლელობაში ეჭვმიტანილებმა დანაშაული აღიარეს

უკრაინის პროკურატურამ ჟურნალისტ გიორგი ღონღაძის მკვლელობაში ეჭვმიტანილებს საბრალდებო დასკვნა წარუდგინა. როგორც ადგილობრივი მასმედია იუწყება, ორმა ეჭვმიტანილმა დანაშაული სრულად აღიარა, ხოლო მესამემ - ნაწილობრივ. სახელმწიფო ბრალმდებელმა ვლადიმერ შიპოვმა ჟურნალისტებთან არ დააკონკრეტა, რომელმა ეჭვმიტანილმა აღიარა აღნიშნული დანაშაული, თუმცა მასმედიის წარმომადგენლებს საკუთარი ვერსია აქვთ. მათი ინფორმაციით, დანაშაული სრულად აღიარეს ნიკოლაი პროტასოვმა და ვალერი კოსტენკომ, ხოლო ნაწილობრივ - ალექსანდრე პოპოვიჩმა. ეს უკანასკნელი ირწმუნება, რომ მას დანაშაულის ჩადენაში პირდაპირი მონაწილეობა არ მიუღია. შეგახსენებთ, რომ იანვრის ბოლოს კიევის სააპელაციო სასამართლომ პროცესები დახურულად გამოაცხადა. სწორედ ამ სასამართლო პროცესებზე გამოქვეყნდება საბრალდებო დასკვნები. გარდა ამისა, დასრულდება ამ საქმეში არსებული, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საიდუმლოებების გამოძიებაც. **ჯი-ეიჩ-ენი**

## "ლოტკინელების დაჯგუფების" ლიდერი დააკავეს

სამართალდამცველებმა ე.წ. "ლოტკინელების დაჯგუფების" ლიდერი დააკავეს. როგორც შს სამინისტროში აცხადებენ, დაკავებულია ე.წ. "ქურდული სამყაროს" წარმომადგენელი, "ლოტკინელების დაჯგუფების" ლიდერი, 31 წლის თემურ ასლამაზაშვილი. პოლიციის მტკიცებით, იგი დაკავების დროს ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა.

პოლიციის ინფორმაციითვე, ასლამაზიშვილი დედაქალაქში მოქმედი ავტოგამტაცებელთა ჯგუფის წევრია. ეჭვმიტანილისგან პირადი ჩხრეკისას 0,6 გრამი "ჰეროინი" ამოიღეს. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიებას სისხლის სამართლის სამძებროს სამმართველო აწარმოებს. **ინტერპრესნიუსი**

## ინკასატორი მოსახლეობის თანხის მითვისებაშია ეჭვმიტანილი

ფინანსური პოლიციის შიდა ქართლის სამმართველომ მითვისების ფაქტზე წინასწარი გამოძიება დაიწყო. საქმე ეხება ს/ს "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" ქარელის სერვის ცენტრის ყოფილი ინკასატორის ჯამბულ ქიშიშვილის მიერ მოსახლეობის თანხის მითვისების ფაქტს. ფინანსური პოლიციის ინფორმაციით, ქიშიშვილმა ქარელის რაიონის მოსახლეობისგან ელექტროენერგიის საფასური შეაგროვა და სრულად მიითვისა. ფინანსური პოლიცია მითვისებული თანხის ზუსტ ოდენობას ადგენს, გამოძიება კი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლით დაიწყო. **მედიანიუსი**

## ნარკორეალიზატორი დააკავეს

შს სამინისტროს ინფორმაციით, ნარკოტიკული ნივთიერების რეალიზაციის ფაქტზე დედაქალაქში მოქმედი ცნობილი ნარკორეალიზატორი 39 წლის ზურაბ სარიშვილი, მეტსახელად "ზუკო", დააკავეს. სარიშვილი დაკავებისას ნარკოტიკული საშუალების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა.

პოლიციის ინფორმაციით, სარიშვილმა საკუთარ საცხოვრებელ ბინაში მოქალაქე ზაზა ჭილილაშვილს 120 ლარად ნახევარი აბი "სუბუტექსი" მიჰყიდა. დაკავებისას სარიშვილისაგან 2 აბი და 5 ნატეხი სარეალიზაციოდ გამზადებული "სუბუტექსი" ამოიღეს. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმეს თბილისის შს სამმართველო იძიებს. კანონით, ნარკორეალიზაციის ბრალდება 20 წლამდე ან უვადო პატიმრობას ითვალისწინებს. **ინტერპრესნიუსი**

## სპეცოპერაციის შედეგად 12 ბოევიკია განადგურებული

სტავროპოლის მხარის სოფელ ტუკუი-მეკტებში ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად 12 ბოევიკია განადგურებული. ამის შესახებ რუსული მედია რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრზე დაყრდნობით იუწყება.

სპეცოპერაცია 9 თებერვალს დაიწყო. ბოევიკები რამდენიმე კერძო სახლში იმალებოდნენ. მას შემდეგ რაც მათ დანებებაზე უარი თქვეს, სპეცრაზმელებმა სახლებთან ჯავშანტექნიკა მიიყვანეს. ბოევიკებთან შეტაკებისას ძალოვანი სტრუქტურების ოთხი თანამშრომელი დაიღუპა და სამი დაიჭრა.

სტავროპოლის მხარის შინაგან საქმეთა სამმართველოს ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის სამსახურის ხელმძღვანელის ვიქტორ ბარანშის თქმით, ექსტრემისტები ტერაქტებს ამზადებდნენ, მათ შორის - სკოლაში შეჭრას, როგორც ეს ბესლანში მოხდა. სპეცოპერაციები ერთდროულად ორ ქალაქში - სტავროპოლსა და პიატიგორსკში ჩატარდა. სამართალდამცავი ორგანოების მონაცემებით, დაკავებულია 8 ბოევიკი. **ინტერპრესნიუსი**

### ორი სიტყვით

**თბილისი.** დანებითა და ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებული შვიდი ნიღბიანი პირი ქუთაისში თავს დაესხა 68 წლის ედიშერ ბედინეიშვილის ოჯახს. შემთხვევის ადგილზე მისულ იმერეთის სამხარეო შს მთავარი სამმართველოს, ქუთაისის შს სამმართველოს, ამავე სამმართველოს შს მე-2 განყოფილებისა და ქუთაისის საპატრულო პოლიციის თანამშრომლებს თავდამსხმელებმა შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწიეს. საპასუხო სროლის შედეგად ბარძაყსა და მხარში დაიჭრა და შემდეგ დააკავეს ერთ-ერთი თავდამსხმელი, ყაჩაღობისთვის ნასამართლევი 30 წლის როლანდ ხაჭაპურიძე.

საქმეს იძიებს შს სამმართველო. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისში მცხოვრებმა 21 წლის იოსებ ბერუაშვილმა განაცხადა, რომ ორმა პირმა გასტაცა მობილური ტელეფონი. "ცხელ კვალზე" გატარებული ღონისძიების შედეგად დააკავეს ქურდული ტრადიციების მატარებელი, თბილისში მცხოვრები 24 წლის რომან რაჯავი, მეტსახელად "ზარადა". საქმეს იძიებს შს მე-4 განყოფილება **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ფინანსური პოლიციის სამცხე-ჯავახეთის სამმართველომ საბაჟო წესის დარღვევის ფაქტზე წინასწარი გამოძიება დაიწყო. საქმე ეხება ხე-ტყის ექსპორტიორ ფირმა "ილგარს", რომელმაც, სამართალდამცავთა ინფორმაციით, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ხის მასალა სომხეთის რესპუბლიკაში საბაჟოს გვერდის ავლით გაიტანა. ამით კი სახელმწიფო ბიუჯეტი სოლიდურად აზარალა. დაწყებულია გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 214-ე მუხლით. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** დააკავეს ზუგდიდის რაიონის სოფელ რიყეში მცხოვრები, ნასამართლევი, 36 წლის გელა სუბელიანი, რომელმაც, შს სამინისტროს ინფორმაციით, ურთიერთშელაპარაკებისას თავში ჩაქუჩი ჩაარტყა მამას, 63 წლის ბიძინა სუბელიანს, რომელიც საავადმყოფოში გარდაიცვალა. საქმეს იძიებს შს სამმართველო. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ფინანსური პოლიციის შიდა ქართლის სამმართველომ უაქციზო სიგარეტის გადაზიდვის ფაქტზე ცხინვალის რეგიონის სოფელ ერგნეთის გამოსასვლელთან ვიტალი შუღლიაშვილი დააკავა. მას 5 ათასი კოლოფი უაქციზო სიგარეტი გადაჰქონდა.

გამოძიება აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-200 მუხლით - "მარკირებას დაქვემდებარებული აქციზური საქონლის აქციზური მარკის გარეშე გადაზიდვა" დაიწყო. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "ცხელ კვალზე" გატარებული ღონისძიებების შედეგად თბილისში დააკავეს ლანჩხუთში რეგისტრირებულნი, დროებით თბილისში მცხოვრებნი - 22 წლის გია თოფურია და 21 წლის ოთარ ბოკუჩავა, რომლებმაც, შს სამინისტროს ინფორმაციით, იქვე მცხოვრებ გელა როგავას ბინიდან მოჰპარეს ტელევიზორი და მაგნიტოფონი.

საქმეს იძიებს შს მე-5 განყოფილება. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისში მცხოვრებმა, 40 წლის ზაზა ხუბულურმა განაცხადა, რომ მას 8 თებერვალს რუსთაველის გამზირზე, მისმა ნაცნობმა, ვინმე "ალიკამ" თაღლითურად გასტაცა მობილური ტელეფონი. სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების თანამშრომლებმა გამოავლინეს ცხინვალის რაიონში მცხოვრები, 36 წლის ალიკა ბასიშვილი.

საქმეს იძიებს შს სამმართველო. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** დააკავეს ყვარლის რაიონის სოფ. შილდაში მცხოვრები, 22 წლის ივანე ოთარაშვილი და 24 წლის ზურაბ აცაბაშვილი, რომლებიც იმავე სოფელში თავს დაესხნენ ავტომანქანა "მოსკვიჩს" და მძღოლს, დედოფლის წყაროს რაიონში მცხოვრებ 61 წლის იზიმარდი იაკობაშვილს, ცეცხლსასროლი იარაღის მუქარით, გასტაცეს 87 ლარი და მობილური ტელეფონი. საქმეს იძიებს შს განყოფილება. **მედიანიუსი**

# რუსეთში სიკვდილით დასჯის მორატორიუმის გაუქმება მზადდება

პირველი გვერდიდან

ფაქტობრივად კი, გენერალური პროკურორის მოადგილის მოთხოვნაა 10 წლის წინათ, ევროპული ინსტიტუტების მოთხოვნით, სიკვდილით დასჯაზე გამოცხადებული მორატორიუმის გაუქმების წინადადება.

1996 წელს, როცა რუსეთი ევროსაბჭოს წევრი გახდა, ერთ-ერთი ყველაზე მკაცრი მოთხოვნა ევროსტრუქტურის მხრიდან სწორედ სიკვდილით დასჯის გაუქმება გახლდათ. თუმცა, მაშინ რუსეთი სრულ გაუქმებაზე ვერ წავიდა და, კომპრომისის სახით, მორატორიუმი გამოაცხადა, რაც მოქმედებდა კიდეც მთელი ამ ხნის მანძილზე.

მიუხედავად ამისა, ევროსაბჭოში დღემდე ისმის კრიტიკა იმის გამო, რომ რუსეთმა საქმე ბოლომდე არ მიიყვანა და სიკვდილით დასჯის გაუქმება კანონმდებლობით არ გაამყარა.

შესაბამისად, შეპელსაც მიეცა საშუალება, კულაევის სიკვდილით დასჯის მოთხოვნა ტერორიზმთან საბრძოლველად უფრო ქმედითი ზომების გამოყენების საჭიროებით გაემართლებინა.

**"ბესლანის ტერაქტმა მთელი რუსეთი, მეტიც, მთელი მსოფლიო შეძრა თავისი არაადამიანურობით და ცინიზმით. ამ დროს კი მსგავსი სისხლიანი საქმეების ჩამდენნი დარწმუნებულნი არიან, რომ სიცოცხლეს შეინარჩუნებენ"**, - აცხადებს შეპელი.

მისივე თქმით, რუსეთში მომხდარი მრავალი ტერორისტული აქტის მსხვერპლთა ახლობლები თავადვე ატარებენ გამოძიებას. **"ამ საზარელ დანაშაულებზე რეაგირების ეფექტური სამართლებრივი ბერკეტების არარსებობა სულ უფრო ხშირად უბიძგებს ამ ადამიანებს, თავადვე გამოვიდნენ მოსამართლეების როლში და ახალი უკანონობა ჩაიდინონ"**, - ამბობს გენერალური პროკურორის მოადგილე.

### არაერთგვაროვანი რეაქცია

სახელმწიფო ბრალმდებლის გამოსვლას მაშინვე მოჰყვა პოლიტიკოსთა გამოხმაურება.

**"მოქმედ სამართლებრივ სივრცეში, სიკვდილით დასჯაზე მორატორიუმის პირობებში და საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების გათვალისწინებით, ეს დაუშვებელია"**, - აცხადებს სახელმწიფო სათათბიროს სამოქალაქო, სისხლის სამართლის, საარბიტრაჟო და საპროცესო კანონმდებლობის კომიტეტის თავმჯდომარე, პაველ კრაშენინიკოვი. მისივე თქმით, დადგენილი წესიდან გამონაკლისი არ არსებობს, ისეთ ადამიანებთან მიმართებაშიც კი, როგორიც ნურფაშა კულაევია.

**"ჩვენს ქვეყანაში სიკვდილით დასჯაზე მორატორიუმია გამოცხადებული - ეს ევროსაბჭოს წინაშე აღებული ვალდებულებაა. თუ მორატორიუმი გაუქმდა, ევროსაბჭოდან, უბრალოდ, გამოგვაგდებენ"**, - ამბობს მოსკოვის ჰელსინკის ჯგუფის ხელმძღვანელი ლუდმილა ალექსეევა.



*კულაევის პროცესზე შესვენება 14 თებერვლამდე გამოცხადდა.*

**"ტერორისტები ყველაზე მკაცრ სასჯელს იმსახურებენ. მაგრამ, სიკვდილით დასჯისკენ მიბრუნება, თუნდაც ასეთი საშინელი დამნაშავეების მიმართაც კი, შემაშფოთებელი იქნება"**, - ასეთ კომენტარს უკეთებს შეპელის გამოსვლას ადამიანის უფლებათა დამცველი, რუსეთის იუსტიციის სამინისტროსთან არსებული საზოგადოებრივი საბჭოს თავმჯდომარე, ვალერი ბორშჩევი.

**"დღეს სიკვდილით დავსჯით ტერორისტს, ხვალ - შპიონაჟში ბრალდებულს და ასე შემდეგ. ეს ძალზე სახიფათო ტენდენციაა"**, - ამბობს ბორშჩევი. მისივე თქმით, სამუდამო პატიმრობა უკვე ძალზე მკაცრი სასჯელია, მით უმეტეს, რომ გაქცევის მცდელობები იმ საპატიმრო ადგილებიდან, სადაც სამუდამო პატიმრობამისჯილები იმყოფებიან, არ დაფიქსირებულა.

სახელმწიფო ბრალმდებლის მოთხოვნის წინააღმდეგ გამოვიდა სახელმწიფო სათათბიროს პირველი ვიცე-სპიკერი ლუბოვ სლისკაც; ამავე დროს შეპელის წინადადება მისაღებად მიაჩნია ვიცე-სპიკერს, ჩრდილოეთ კავკასიის პრობლემების კომისიის თავმჯდომარეს, ვლადიმირ კატრენკოს. ის ამბობს, რომ პროკურატურის პოზიცია მისთვის "გასაგები და მისაღებია".

**"იმ არამზადებისთვის, რომლებიც ბავშვებს ხოცავენ, გადაწყვეტილება ცალსახა უნდა იყოს - ისინი სიკვდილით დასჯას იმსახურებენ"**, - ამბობს კატრენკო.

კულაევის სიკვდილით დასჯას ემხრობიან რუსი კომუნისტებიც. **"ქვეყანა ჯერ არ მომწიფებულა სიკვდილით დასჯის გასაუქმებლად"**, - აცხადებს რუსეთის ფედერაციის კომუნისტური პარტიის ლიდერი გენადი ზიუგანოვი.

სენატორმა, ფედერაციის საბჭოში ჩრდილოეთ ოსეთის პარლამენტის წარმომადგენელმა ვალერი კადოხოვმა კი აღნიშნა: **"სიკვდილით დასჯაზე მორატორიუმის გამოცხადებით, ჩვენ ვცდილობთ, რეალობის გაუთვალისწინებლად ვაამოთ დასავლელ დემოკრატებს"**.

დაბოლოს, რაც მთავარია - რუსეთის პრეზიდენტმა, ვლადიმირ პუტინმა ესპანეთში ვიზიტის დაწყებამდე განაცხადა, რომ, მართალია, პირადად ის სიკვდილით დასჯის წინააღმდეგია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, საზოგადოებისა და რუსი ხალხის განწყობას გაითვალისწინებს.

კულაევის პროცესზე კი შესვენება 14 თებერვლამდე გამოცხადდა - პროცესი დაცვის სიტყვით განახლდება. ამასობაში ორგანიზაცია "ბესლანის ხმის" წევრმა შვიდმა ქალმა შიმშილობა გამოაცხადა. ისინი მიიჩნევენ, რომ სასამართლო გამოძიება ნაადრევად დასრულდა.

როგორც ცნობილია, ბესლანის ტერაქტს 330 ადამიანის - უმეტესად ბავშვების, სიცოცხლე ემსხვერპლა.

# მოსამართლეები კოლეგიის თავმჯდომარეს კვალიფიკაციას უწუნებენ

*უზენაესი სასამართლოს მოსამართლეები - ნინო გვენეტაძე, მერაბ ტურავა და დავით სულაქველიძე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სადისციპლინო კოლეგიის წევრთა კვალიფიკაციას კვლავინდებურად სადავოდ მიიჩნევენ. ისინი ამჯერად კოლეგიის თავმჯდომარის კახა ყიფიანის პროფესიონალიზმს ეჭვქვეშ აყენებენ და მის თავმჯდომარედ დანიშვნასაც კანონდარღვევად თვლიან.*




*უზენაესი სასამართლოს მოსამართლეები იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სადისციპლინო კოლეგიის წევრთა კვალიფიკაციას კვლავინდებურად სადავოდ მიიჩნევენ.*

მოსამართლეებმა სადისციპლინო საბჭოსგან კახა ყიფიანის იურიდიული განათლებისა და სპეციალობით მუშაობის სტაჟთან დაკავშირებული საჯარო ინფორმაცია გამოითხოვეს.

**"როგორც აღმოჩნდა, ყიფიანმა 2001 წელს ჯამბაკურ ბაქრაძის სახელობის ეკონომიკური და სამართლის ინსტიტუტი დაამთავრა. 2004 წლის 12 აგვისტოს ის ჯერ სადისციპლინო საბჭოს წევრად, შემდეგ კი, იმავე დღესვე თავმჯდომარედ დაინიშნა. ამდენად, მას სპეციალობით მუშაობის სამ წლამდე სტაჟი აქვს, რითაც ირღვევა სადისციპლინო სამართალწარმოების შესახებ საქართველოს კანონის 25-ე მუხლი, რომლის თანახმადაც, საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო საბჭოს წევრს სპეციალობით მუშაობის ხუთწლიანი გამოცდილება უნდა ჰქონდეს"**, - აცხადებს მოსამართლე მერაბ ტურავა.

ამასთან დაკავშირებით ყოფილი მოსამართლეები თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ კოლეგიას ორშაბათს სარჩელით მიმართავენ და საერთო სასამართლოების მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტის 2004 წლის 12 აგვისტოს მიღებული ადმინისტრაციული აქტის უკანონოდ ცნობას მოითხოვენ. ამ აქტით კახა ყიფიანი - ჯერ სადისციპლინო საბჭოს წევრად, შემდეგ კი მის თავმჯდომარედ დაინიშნა.

ყოფილი მოსამართლეების განცხადებით, იურიდიული ძალა არ გააჩნია არც ერთ იმ გადაწყვეტილებას, რომელიც სადისციპლინო კოლეგიამ კახაბერ ყიფიანის მონაწილეობით მიიღო. უკანონოა, კოლეგიის 25 დეკემბრის გადაწყვეტილებაც, რომლის საფუძველზეც, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებს - ნინო გვენეტაძეს, მერაბ ტურავას, თამარ ლალიაშვილისა და მურმან ისაევს უფლებამოსილება შეუჩერდათ.

**"უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა საკითხის გადაწყვეტა მიანდეს იმ ადამიანებს, რომლებსაც არც კანონით და არც მორალით არ გააჩნიათ უფლება მოსამართლეების კვალიფიკაციაზე საკუთარი პოზიცია გამოთქვან"**, - აცხადებს მერაბ ტურავა. მისივე თქმით, მათ იუსტიციის საბჭოდან გამოითხოვეს კახა ყიფიანის შრომის წიგნაკი, რომელიც გახსნილია 2002 წლის 8 ნოემბერს, ხოლო კახა ყიფიანის მუშაობის სტაჟზე მონაცემები ჩაწერილია 1998 წლიდან, რაც კანონის უხეში დარღვევაა.

როგორც მოსამართლეები განმარტავენ, კახა ყიფიანი იუსტიციის საბჭოს უბრალო წევრი არ არის, იგი იუსტიციის საბჭოს სადისციპლინო კოლეგიას თავმჯდომარეობს და მას წევრების ხმების გაყოფისას საკითხის გადასაწყვეტად ორი ხმის უფლებაც კი აქვს.

მოსამართლეები იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების დაკომპლექტების დროს დაშვებულ უხეშ კანონდარღვევებში უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს კოტე კუბლაშვილსაც ადანაშაულებენ. მოსამართლეთა განცხადებით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების დანიშვნის უფლება მოსამართლეთა კონფერენციის პრეროგატივაა.

რამდენიმე დღის წინათ კი საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ კოტე კუბლაშვილმა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ექვსი ახალი წევრი მხოლოდ ორი მოსამართლის დახმარებით წარადგინა, რაც კანონის ნორმების იგნორირებაა. კანონში შესული ცვლილებების თანახმად, იუსტიციის საბჭოს წევრთა დაკომპლექტების წესი შეიცვალა. რამდენიმე დღის წინ ძალაში შევიდა კანონი, რომლის მიხედვითაც, იუსტიციის უმაღლეს საბჭოში, ნაცვლად 9 წევრისა, 18 წევრი ირიცხება. მათი ნახევარი მოსამართლეა, რომელთაგან 8-ს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე წარადგენს.

გარდა ამისა, ყოფილმა მოსამართლეებმა გერმანიიდან გამოგზავნილი დოკუმენტი გამოაქვეყნეს, რომელიც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სადისციპლინო კოლეგიის კიდევ ერთი წევრის, პარლამენტარ ნინო კალანდაძის კვალიფიკაციას ეხება.

**"ყველა დაწესებულებიდან, სადაც კი კალანდაძეს უსწავლია ან უმუშავია, გამოვითხოვეთ დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ, რომ კალანდაძეს გერმანიაში, ტექნიკური საზოგადოების ოფისში სტუმრების მიმღებ-გამცილებლის თარჯიმნად მუშაობის რამდენიმე თვის სტაჟი აქვს"**, - აცხადებს მერაბ ტურავა, რომლის ინფორმაციითაც, გამოგზავნილი დოკუმენტაციის მიხედვით, კალანდაძეს იურისტ-ექსპერტად, მით უმეტეს, გერმანიაში არ უმუშავია.

დავით სულაქველიძის განცხადებით, ნინო კალანდაძესთან დაკავშირებული სასამართლო პროცესი იმიტომ არ დაინიშნა, რომ საზოგადოება არ დარწმუნებულიყო კალანდაძის გამოცდილების უქონლობაში.

**"სასამართლო პროცესზე კალანდაძე მტკიცებულებებს ვერ წარმოადგენდა, ეს კი ხელისუფლებაში ხელს არავის აძლევდა"**, - აცხადებს სულაქველიძე.

*24 საათი*

## უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

________________________________________

________________________________________

________________________________________

________________________________________

________________________________________

________________________________________

________________________________________

________________________________________

________________________________________

**ა ნ კ ე ტ ა**

**სახელი, გვარი**..............................................

**ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი**..............................................

**საკონტაქტო ტელეფონი**..............................................

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

[illegible]

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (ვარდები);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "სადგური II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გოცირიძე II". (ყოფილი მეტროს სადგური "დელისი");
8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი II";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. [illegible] 45 "[illegible]" მეტროს ხელი სპორტული გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი.

"24 საათის" მკითხველის უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, [illegible] [illegible] [illegible] 
019 თბილისი, წერეთლის გამზ.77 იურიდიული ოფისი "გაპი".



ქეთევან იგნატოვა წარმოგიდგენთ

გულახდილად

# ახალი ამბავი გაიგეთ?! თურმე!..

ადამიანებს ბევრი ისეთი, კარგი თუ ცუდი თვისებები ახასიათებთ, რომლებიც მათ ეთნიკური, გეოგრაფიული, ნაციონალური, რელიგიური, ეკონომიური, სოციალური განსხვავებების მიუხედავად ერთმანეთს ამსგავსებს, აახლოვებს, თითქოსდა აერთიანებს. ადამიანის მანკიერი, არცთუ სახარბიელო თვისებებიდან ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ტიპური თვისება, რომელსაც ცხოვრების განმავლობაში არაერთხელ ეჯახები, თუ საერთოდაც არ ეწირები - ჭორაობაა. კაცობრიობის ისტორიის ყველა პერიოდში, ყველა ეპოქაში ჭორაობდნენ, დღესაც ჭორაობენ და ხვალაც იჭორავებენ. ასეთია ადამიანის ბუნება! ჭორაობს ყველა - ფრანგიც, ამერიკელიც, იაპონელიც და ჩუქჩაც, მდიდარიც და ღარიბიც, საქმიანიც და უსაქმურიც, დიდიც და პატარაც, გლეხიც და არისტოკრატიც. თუმცა, საკუთარ თავში ამ თვისების აღიარება არავის უყვარს. ჭორიკნების რიცხვს თავის თავს ადამიანი ძალიან ძნელად, ობიექტურად იშვიათად თუ მიაკუთვნებს. ჭორაობს ყველა და ყველგან - სამსახურში, ტრანსპორტში, ზღვის სანაპიროზე გარუჯვისას, კაფეში ყავის დალევისას, საკუთარ სამზარეულოში, დაბადების დღეზე და ქელეხში. ჭორაობენ პრესისა და ტელევიზიის საშუალებით. ყვითელი პრესის ათასგვარი სახეობით მსოფლიო ბაზარი ფაქტობრივად დაიტბორა. ადამიანების უდიდეს ნაწილს აინტერესებს, რომელი მსახიობი ვისგან აჩენს შვილს, ვინ ვის ვისთან ღალატობს, ვინ არის კლეპტომანი, ნარკომანი ან ბულემიით დაავადებული, ვის აქვს დეპრესია, ვინ რამდენი გადაიხადა ახალ სალამოს კაბაში და რომელმა ფეხბურთელმა რომელი მანქანა შეუკვეთა. ჭორაობენ მეფეებზე, უფლისწულებზე, კინოსა და მუსიკის ვარსკვლავებზე, პრეზიდენტებზე და მათ ცოლებზე, პოლიტიკოსებზე, ტოპმოდელებზე, სპორტსმენებზე, ყველაზე ხშირად კი მაინც საკუთარ მეზობლებზე, თანამშრომლებზე, გამდიდრებულ ნათესავებზე, ყოფილ რძლებზე, შვილის კლასელებზე, უახლოეს მეგობრებზე, მათ ქმრებზე, ქმრების საყვარლებზე. არჩევენ ყველაფერს - მეზობლის ახალნაყიდი ფარდიდან ან მანქანიდან დაწყებული, თანამშრომლის აღმავალი კარიერით დამთავრებული. ჭორიკნების ინტერესს, როგორც წესი, უფრო წარმატებულები, კეთილდღეობაში მყოფნი იწვევენ - მდიდარი მეზობელი, ლამაზი და შესაბამისად მამაკაცების ყურადღების ცენტრში მყოფი მეგობარი, მაღალ თანამდებობაზე მყოფი ნათესავი, ახალი ქურქის ან სამკაულის მქონე ნაცნობი. რატომღაც აღიარებულია, რომ ქალები უფრო მეტს ჭორაობენ, ვიდრე მამაკაცები. ხუმრობაც კი არსებობს, ციხიდან გამოსული ორი ქალი ციხის კარებთან როგორ შეყოვნდა და ჭორაობა გააგრძელა. თუმცა, მგონია, რომ ეს თეორია სიმართლეს ბოლომდე არ შეესაბამება. მეგობრულ წრეში შეკრებილი მამაკაცები რაღას აღარ არჩევენ! უბრალოდ, მამაკაცთა ჭორაობის თემატიკა ოდნავ განსხვავებულია და მასში უპირატესობა პოლიტიკურ, პოლიტიკოსებზე, ქალებზე, მანქანებზე ჭორებს ენიჭება. ქალები კი უფრო სასიყვარულო ამბებს, შენაძენების, ოჯახური პრობლემების, ქონებრივი დავების, გაშორებებისა და შეუღლებების გარჩევას ანიჭებენ უპირატესობას. რა თქმა უნდა, ყველა ერთნაირი დოზით, მონდომებითა და ხალისით როდი ჭორაობს. მცირე გამონაკლისს ჭორაობა მართლაც არ უყვარს, ამბავს ზედაპირულად ისმენს, არ იმახსოვრებს და მით უმეტეს აღარ იმეორებს. ზოგიერთი კი, რომ იტყვიან, ჭორით ცხოვრობს, ჰაერივით სულდგმულობს. მაგრამ ცხოვრების განმავლობაში თითო-ოროლა სულელური ან პიკანტური ცხელ-ცხელი ჭორი ყველას მოუსმენია და შეიძლება გაუმეორებია კიდეც. ზოგიერთი თავის შესახებ ჭორს ავადმყოფურად განიცდის, თავის თავში იკეტება, ზედმეტად მტკივნეულად რეაგირებს და ყველანაირად ცდილობს, ჭორის უსაფუძვლობა დაამტკიცოს. ზოგიერთს კი მის შესახებ მოარული ჭორები სრულებითაც არ ადარდებს, მეტიც, საკუთარი თავის პოპულარობად მიიჩნევს და ამით ამაყობს. ამბობენ, რომ უმიზეზო, უსაფუძვლო ჭორი არ არსებობსო, რაშიც ვერაფრით დავეთანხმები. არაერთხელ პიკანტური ნიუანსებით შელამაზებული ისეთი ამბავი მომისმენია, რომლის აბსურდულობაში ღრმად დარწმუნებული ვყოფილვარ. კარგ, პროფესიონალ ჭორიკანად ის ითვლება, ვინც რიგითი ჭორისთვის განსაკუთრებული ელფერის, კონკრეტული მიმართულების, დეტალურობის შემატებას ახერხებს. ვინც ზუსტად იცის ის, რაც ერთმა ან მაქსიმუმ ორმა თუ იცოდა. ნებისმიერ მეგობრულ შეკრებაზე ფრაზა "კარგი რამე ახალი ჭორი არ იცით?" ყველას არაერთხელ მოგვისმენია და როგორც წესი, რომელიმე ერთი პიროვნება დანარჩენების ინფორმირებულობას თავის თავზე იღებს. არსებობენ ადამიანები, რომლებიც საზოგადოებას მხოლოდ პოლიტიკური ჭორებით ამარეგებენ და ნებისმიერი პოლიტიკოსის წარსულის, აწმყოსა და მომავლის, პოლიტიკური პარტიის დაფინანსების წყაროს, პერსპექტივების შესახებ ყველაფერი იციან. ზოგიერთი მხოლოდ ფარული რომანების, არაერთგული ცოლებისა და ქმრების მხილებით არის დაკავებული. ზოგიერთი კი მხოლოდ მეზობლების ყოფითი ამბებით არის მოცული და ამით კმაყოფილდება. სრულიად განსხვავებული გემოვნების, ინტერესების, ინტელექტის ჭორიკნები არსებობენ. ზოგიერთს სხვისი ამბების გაგება იმდენად უყვარს, რომ სხვის სატელეფონო საუბარშიც რომ ჩაერთოს, ყურმილს არ დაკიდებს, ამბავს თავიდან ბოლომდე მოისმენს და თავისთვის რაიმე საინტერესოსაც, ყურადღების მისაქცევსაც მოძებნის. გააჩნია, ვის რა აინტერესებს. ზოგიერთი შვილების მეგობრების ცხოვრების, მორალის, მშობლების, მატერიალური მდგომარეობის, სასიყვარულო ამბების, სწავლაში წარმატებების ან ჩაცმულობის სტილის გარჩევას მთელ დღეებს ანდომებს. ხშირად ელემენტარულ ჭორს სერიოზული უსიამოვნებები, პრობლემები მოჰყოლია და მის საფუძველზე არაერთი ოჯახი დანგრეულა, ადამიანი სამსახურის გარეშე დარჩენილა, ახლო მეგობრების წრეში კონფლიქტი მომხდარა. არსებობს სულელური, ვულგარული, ბინძური, მდაბიო, უგემოვნო, პიკანტური, დამაინტრიგებელი, იუმორით ან სიბოროტით აღსავსე ჭორები. არსებობს ჭორები, რომლებიც ვინმე კონკრეტულის სრული დისკრედიტირების, კარიერის ან პირადი ცხოვრების კრახის გარდა არაფერს ემსახურება, მხოლოდ ამისთვის არის მოგონილი და მიზანმიმართული. არსებობს ჭორები, რომელთა გამეორებაც კი გზარავს და საკუთარი თავის შეურაცხყოფად მიგაჩნია. არსებობს ჭორები, რომელთა მოსმენისას გეცინება ან ბრაზობ, რომლებიც არ დაგაინტერესებს, ინტრიგაში ჩაგაგდებს, ან, რომ იტყვიან, ერთ ყურში შეუშვებ და მეორეში გაუშვებ და ერთ საათში აღარც კი გემახსოვრება.



უამრავი კარგი თვისების პარალელურად ქართველები, სამწუხაროდ, ჭორაობის სიყვარულითაც გამოვირჩევით. თბილისი რამდენადაც დიდი, იმდენად პატარა ქალაქია, სადაც ყველა ყველას იცნობს, ყველა ყველას ნათესავია, ყველამ ყველას ასაკი, წარსული, ბიოგრაფიული დეტალები, მატერიალური მდგომარეობა და მისი წყაროები, ცხოვრების განმავლობაში ნებით თუ უნებლიეთ დაშვებული შეცდომები, კომპრომისები იცის, ახსოვს და საჭირო მომენტში ახსენებს, მაგიდაზე უდებს. თბილისში ფარული რომანი, რომელიც ადრე თუ გვიან სამსჯავროზე არ იქნება გამოტანილი, უეცარი გამდიდრება, უხმაურო განქორწინება ან გათხოვება, გარდაცვალებაც კი შეუძლებელია. ბოლო წლებში საქართველოს საზოგადოების პოლიტიზაციასთან დაკავშირებით პოლიტიკური, პოლიტიკოსებზე ჭორები საგრძნობლად შემოვიდა მოდაში და იმის მიხედვით, თუ ვინ როგორ პოლიტიკურ მოსაზრებას იზიარებს, ჭორიც იმ კუთხით მოგეწოდება. თბილისში არანაირ დეიურეს მნიშვნელობა არ აქვს. ყველამ ყველაფერი დეფაქტო იცის. რომელი პოლიტიკოსი რომელ ბიზნესს მფარველობს, ვისი ცოლი სად, რა თანხების ფარგლებში იმოსება, ვინ სად დადის ლანჩზე და რამხელა დაცვა დაყვება, ვინ რომელ დალაქთან ივარცხნის, ვინ მიმართა პლასტიკურ ქირურგს და მანამდე როგორ გამოიყურებოდა, ვინ სად, როგორ და როდის წამოიწყო სახლის ან ბინის მშენებლობა, ვისი მანქანაა "პრავი" და ვისი "ლევი" - ნებისმიერ ამ კითხვაზე თბილისში უპრობლემოდ გაგცემენ პასუხებს. ოღონდ, ეს პასუხები ხშირად სრულიად ურთიერთგამომრიცხავი სახისაა. თბილისში ჭორი მოულოდნელად აგორდება ხოლმე და თუ მალევე მივიწყებას მიეცემა, მოკვდება, უნდა დაასკვნა, რომ სრული სიცრუე იყო. ზოგიერთი ჭორი კი სიცოცხლის ხანგრძლივობით გამოირჩევა და არენიდან არა და არ ჩამოდის. ეს უკვე ყურადსაღები ჭორია. საბჭოთა პერიოდში იმასაც კი ამბობდნენ, რომ იმდროინდელ KГБ-ში ჭორების სპეციალური განყოფილებაც არსებობდა და ხელისუფლებისთვის სასურველ ინფორმაციას ჭორის სახით საზოგადოებაში ავრცელებდა. რამდენად მართალია, არ ვიცი, KГБ-ს მუშაობა ასე დეტალურად ნამდვილად არ შემისწავლია, მაგრამ ახლა, KГБ-ს ხსენებაზე დღეს თბილისში ყველაზე მოარული პოლიტიკური ჭორი გამახსენდა, თითქოს იგორ გიორგაძე და მისი პარტია რუსეთის ხელისუფლებამ ორმოცდაათი მილიონი დოლარით დააფინანსა. ჩემი აზრით, იგორ გიორგაძეს და ზემოდან ჯემალ გოგოტიძესა და სარიშვილს ხალხის ნდობის მოსაპოვებლად მილიარდიც კი ვერ უშველის, მაგრამ ჭორი მაინც დადის. თბილისში ბოლო პერიოდში მომხდარი საზარელი, არაადამიანური მკვლელობების გარშემო გავრცელებული ჭორების გამეორებაც კი შეუძლებელია. არის რაღაცა ტიპის, ცოტა პათოლოგიური ელფერის მქონე ჭორები, რომლებიც ჩვეულებრივი ადამიანის ფსიქიკისთვის, ფანტაზიისთვის მიუღებელი, დაუჯერებელია.

უბოროტო, ზედაპირულ ჭორაობაში, ერთი მხრივ, თითქოს არავითარი დანაშაული არ არის, მეორე მხრივ კი, ჭორი ჭორია. არასდროს იცი, ვის რა დონეზე ავნებს, გულს ატკენს, ცხოვრებას გაურთულებს და ამიტომ ნებისმიერ შემთხვევაში მისი თავიდან აცილება, არმოსმენა თუ არა, არგამეორება მაინც სჯობს. არ იფიქროთ, რომ ვინმეს ჭკუას ვარიგებ. უბრალოდ, ამას თქვენთან ერთად ჩემს თავსაც ვურჩევ. თითქოსდა უწყინარი წაჭორავება ხომ ყველას გვიყვარს, არადა...

თუმცა, წერილს თავიდან ხომ არ დავიწყებ.

# კოტიკი ფართი







განსაკუთრებული პუნქტუალურობით, ზუსტი დროის პატივისცემით ქართველები მაინცდამაინც არ გამოვირჩევით, მაგრამ ხელოვანი, ბოჰემური კასტა დროისადმი თავისუფალ დამოკიდებულებას, მის იგნორირებას მაინც სხვებზე ბევრად უფრო ეფექტურად ახერხებს. თუ კოტე ყუბანეიშვილმა სადმე, მაგალითად დღის ორ საათზე მიგიწვიათ, თქვენთვისვე უმჯობესი იქნება, თუ არ აჩქარდებით და დაახლოებით ხუთ საათზე ადრე მისვლით თავს არ შეიწუხებთ. თუ გუგა კოტეტიშვილი საკუთარი გამოფენის გახსნაზე ან კიდევ რამე სხვა მის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებაზე გეპატიჟებათ, მაშინ უბრალოდ მეორე დღის იმავე დროს თუ მიხვალთ, ჩემს წლებით მიღებულ გამოცდილებას ენდეთ, ნამდვილად არ დააგვიანებთ. მაგრამ თუ ამ ორი ზებოჰემური და შესაბამისად სრულიად არაპუნქტუალური თავისუფალი ხელოვანების ტანდემს ყოველგვარი "შემოქმედებითი აღმაფრენების" გარეშე სერიოზული, სოლიდური ღვინის მწარმოებელი კომპანია შეუერთდება, მაშინ რაღაც საშუალო არითმეტიკული ციფრი უნდა გამოიყვანოთ და ორ საათზე დაპატიჟებულები, სადღაც, დაახლოებით, ოთხისთვის მიხვიდეთ. მე სწორედ ასე მოვიქეცი და ამ კვირაში ბამბის რიგში ზემოჩამოთვლილი სამეულის მიერ მოწყობილ "ფართიზე" დაგვიანებით მივედი, ამიტომ არც ლოდინი მომიწია, ვერც მოწყენა მოვასწარი და შესაბამისად საკმაოდ ვისიამოვნე კიდეც.

"კოტიკი ფართი", ანუ კოტე+ტიკი, ასე ერქვა იმ დღეს თბილისის ძველი ნაწილის ერთ-ერთ ყველაზე მყუდრო, ლამაზ და ნელ-ნელა სულ უფრო და უფრო კოლორიტულ ფეხით მოსიარულე ქუჩაზე მოწყობილ - არ ვიცი რას - პოეზიის ნაშუადღევს, პატარა ვაჭრობას, ღვინის დეგუსტაციას და ტუსოვკას. აქ ყველაფერი უხვად იყო და საკმაოდ ორგანულად ერწყმოდა ერთმანეთს - კოტე ყუბანეიშვილის წარწერებიანი მაისურები (Чечен Вечен), უბის ბლოკნოტის ფორმით გამოცემული ლექსების ახალი კრებული, სხვადასხვა გარითმულფრაზებიანი "ნაკლეიკები", ლამაზი, ეგზოტიკური ინდური შარფები, სარები, გუგა კოტეტიშვილის მიერ მოდერნის სტილში გაკეთებული მცირე ზომის სარკეები, უცნაური არაორდინალური მინის ბოცები, ნახატებიანი შუშის ბოთლები, წვრილ-წვრილი ანტიკვარული ან უბრალოდ ძველი ნივთები, სურები, დოქები, ფაიფურის ლარნაკები, წარსული დროის უტილიტარული საგნები და სხვადასხვა ზომის, ფორმის, ფერისა და შემადგენლობის ტყავის ღვინით სავსე ტიკები, ჩამოსასხმელი თეთრი და წითელი ძალიან კარგი ღვინო, ლამაზ ბროლის სურებში მორთმეული ჭაჭა, ქუჩაში დალაგებული "ვენური" ავეჯი, მაგიდებზე, თუნგის ან ხის დიდ გობებზე უხვად დაყრილი დამტვრეული კაკალი, თხილი, ნუში, ქიშმიში, ჩურჩხელები, ჩირები, თანამედროვე ერთჯერადი ჭიქები და რაც მთავარია, ფართის **гвоздь програмы**, გუგა კოტეტიშვილის ძველმანების კოლექციის მთავარი ექსპონატი, არქაული გაზის ქურა, რომელიც პირდაპირ ქუჩაში, მაგიდებთან იყო გამოტანილი, მასზე ცეცხლი გიზგიზებდა და დიდ ქვაბში კი მართლაც რომ უგემრიელესი გლინტვეინი დუღდა.



სუსხიანი ზამთრის ქუჩაში დალეული ცხელი გლინტვეინის შედეგად კი კოტე ყუბანეიშვილის მიერ პირდაპირ იქვე, ტროტუარზე წაკითხული ლექსები უფრო კარგად, რომ იტყვიან, თბილად ისმოდა, ბევრ უცნაურ და ძალიან ბოჰემურ, საშუალოდ უცნაურ და ნაკლებად ბოჰემურ და სრულიად არაუცნაურ, რეალისტ სტუმრებს შორის ზღვარი იშლებოდა, საუბარი უფრო იოლდებოდა, გულიანი სიცილი უფრო ხმამაღალი ხდებოდა, ვენურ სკამებზე პალტოებში ჯდომა უფრო მოსახერხებელი გეჩვენებოდა, ზამთრის სიცივე კი საერთოდ აღარავის ახსოვდა. რა ჯადოა ამ ტკბილ, ცხელ გლინტვეინში?! თუ კოტეს ლექსებში?! თუ გუგას მუდმივად თანმყოლ აურაში?! თუ ძველი თბილისის სილამაზეში?! თუ კარგ ქართულ ღვინოში?! თუ ქართველების მომხიბვლელობაში?! თუ ყველაფერში ერთად?!

თუ თბილისის ძველ უბანში სეირნობისას როდისმე ოდნავ დაიღლებით, შეგცივდებათ ან განსაკუთრებული კოლორიტი დაგაინტერესებთ, დამიჯერეთ, ბამბის რიგში გაიარეთ და ჩემი სიტყვების სიმართლეში დარწმუნდებით. მით უმეტეს, რომ ახლა გემრიელი გლინტვეინი იქ სულ თუხთუხებს და არანაირი კონკრეტული საათი მითითებული არ არის. შესაბამისად კი, სიამოვნების მისაღებად ჩემსავით ლოდინი ან საშუალო არითმეტიკულის გამოანგარიშება არ დაგჭირდებათ.







## პრეზერვატივები ბარგში

მარგიტ პრაჩკო

გერმანიის ეროვნული ნაკრები, რომელიც ტურინში ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე გაემგზავრა, კბილებამდე შეიარაღებულია. თითოეული სპორტსმენის ბარგი სავსეა პრეზერვატივებით - Go for Gold, რომელიც შეზღუდული რაოდენობით გამოუშვეს.

პრეზერვატივების პაკეტს ამშვენებს ოქროს პრეზერვატივი, რომელიც კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე გამოჭიმულა. სანიტარიულ-ჰიგიენური განათლების ფედერალური ცენტრი და გერმანიის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი აპირებენ მსოფლიო სპორტის ეს უდიდესი ფორუმი გამოიყენონ თავისი აქციისთვის: "უსაფრთხო სექსი - საუკეთესო თავდაცვა შიდსისგან".

შიდსი სპორტში დიდი ხნის წინ იქცა პრობლემად: ჩემპიონებიც კი არ არიან ინფექციისგან დაცულნი. ამის ყველაზე ცნობილი მაგალითია ამერიკული კალათბურთის ვარსკვლავი ირვინ მეჯიკ ჯონსონი, რომელიც იძულებული გახდა დაემთავრებინა სპორტული კარიერა, რათა ინფექცია არ გადასდებოდათ მათ, ვინც ჯონსონთან ერთად მინდორზე გამოდიოდა. 1991 წელს კი შიდსის ინფექციისგან გარდაიცვალა ცნობილი გერმანელი ჩოგბურთელი მიხაელ ვესტფალი.

2004 წელს საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა სხდომა მოაწყო სპეციალურად ამ საკითხის განსახილველად და განაცხადა, რომ აპირებს შიდსთან ბრძოლაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს. "სპორტი ამაღლებს თვითპატივისცემის ხარისხს. მას შეუძლია ადამიანს შესძინოს ცხოვრებისეული გამოცდილება და უსაფრთხო მოქმედება - ეს ყველაფერი რესურსებია, რომლებიც უაღრესად მნიშვნელოვანია შიდსის ინფექციის წინააღმდეგ ბრძოლისას".

ქვეყნებში, რომლებიც ყველაზე მეტად იტანჯებიან ამ ინფექციისგან, უკვე გარდაიცვალა მრავალი მწვრთნელი და სპორტსმენი. ეს სპორტის მომავალს ემუქრება. გერმანიაში ახალგაზრდა სპორტსმენები და მათი მწვრთნელები უფრო უკეთ უნდა იყვნენ ინფორმირებულნი ამ დაავადების საშიშროების შესახებ.

*გაზეთი "ფოკუსი"*

### მოკლედ

#### ინგლისი უმთავრესი ფავორიტია

ინგლისის ნაკრებისა და "მანჩესტერ იუნაიტედის" ფორვარდმა უეინ რუნიმ გაზეთ "დეილი ტელეგრაფს" განუცხადა, რომ, მისი აზრით, მსოფლიო ჩემპიონატის უმთავრესი ფავორიტი სწორედ სვენ გორან ერიქსონის გუნდია.

"ჩვენ გერმანიაში მოსაგებად მივდივართ, - განაცხადა უეინ რუნიმ, - პირადად მე არავითარი ეჭვი არ მაქვს, რომ ინგლისის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატის უმთავრესი ფავორიტია". თუმცა, ინგლისელი ბუკმეკერები მსოფლიო ჩემპიონატის უმთავრეს ფავორიტად ბრაზილიის ნაკრებს მიიჩნევენ, ერიქსონის გუნდს კი მხოლოდ მეორე ადგილს უთმობენ.

#### ჰესკი დისკვალიფიცირებულია

"ბირმინგემის" ფორვარდი ემილ ჰესკი ერთმატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯეს. ჰესკიმ უარი განაცხადა "არსენალთან" მატჩის დროს მინდორი დაეტოვებინა. არადა, მსაჯმა წითელი ბარათი უჩვენა. ამას გარდა, ჰესკიმ შეურაცხყოფა მიაყენა მატჩის არბიტრს. ფეხბურთელმა ფულადი ჯარიმის სახით 5000 გირვანქა სტერლინგი გადაიხადა.

#### მარადონა ავარიაში მოყვა

სახელოვანი არგენტინელი ფეხბურთელი დიეგო მარადონა ავარიაში მოყვა. მანქანა, რომელშიც მარადონა იმყოფებოდა, სატელეფონო ჯიხურს შეეჯახა. თვითონ მარადონა არ დაზიანებულა, ფაქტის კომენტირებაზე კი უარი განაცხადა. თვითმხილველთა თქმით, არგენტინელის მანქანამ წითელზე გაიარა, მართვა დაკარგა და ჯიხურს შეასკდა. "მე დავინახე, როგორ სცილდებოდნენ მანქანას მარადონა და კიდევ ვიღაც ორნი", - განაცხადა თვითმხილველმა.

#### "ინტერი" ბალაკის პასუხს ელოდება

მილანის "ინტერი" ელოდება გერმანიის ნაკრებისა და მიუნხენის "ბაიერნის" ნახევარმცველის მიხაელ ბალაკის პასუხს. იტალიური კლუბის წარმომადგენლები ჯერ კიდევ ორი კვირის წინათ შეხვდნენ ფეხბურთელის აგენტს და მასთან ბალაკის პირადი კონტრაქტის დეტალებზე ისაუბრეს. შეგახსენებთ, რომ ბალაკის კონტრაქტს მიუნხენის "ბაიერნთან" წლევანდელი სეზონის ბოლოს გასდის ვადა. "ინტერის" გარდა, ბალაკზე მადრიდის "რეალიც" აცხადებს პრეტენზიას.

#### "შტუტგარტს" ვეხი გაწვრთნის

გერმანული "შტუტგარტის" ახალ მწვრთნელად არმინ ვეხი დანიშნეს. მან იტალიელი სპეციალისტი ჯოვანი ტრაპატონი შეცვალა. ვეხი, რომელიც ფეხბურთელობისას მენხენგლადბახის "ბორუსიას" ღირსებას იცავდა, ადრე როსტოკის "ჰანზას" ედგა სათავეში. "შტუტგარტთან" ის სეზონის ბოლომდე იმუშავებს.

#### "ფიორენტინა" 6 მილიონს ჩამოდის

იტალიის "ფიორენტინა" 6 მილიონ ევროს იძლევა ამსტერდამის "აიაქსის" ფორვარდის რაიან ბაბელის სანაცვლოდ. ბაბელმა "იების" შემადგენლობაში ბულგარელი ვალერი ბოჟინოვი უნდა შეცვალოს, რომელიც სეზონის ბოლოს გუნდს დატოვებს.

#### კემპბელი სამ კვირას დაისვენებს

ინგლისის ნაკრებისა და ლონდონის "არსენალის" მცველი სოლ კემპბელი ორსამ კვირას დაისვენებს. მან ფეხი იტკინა. ტრავმა "ვესტ ჰემთან" მატჩში მიიღო.

#### რონალდინიოს დისკვალიფიკაცია ძალაში დარჩა

კატალონიის "ბარსელონას" აპელაცია ბრაზილიელი რონალდინიოს დისკვალიფიკაციის შესახებ არ დააკმაყოფილეს. ამრიგად, ბრაზილიელი გამოტოვებს ესპანეთის ჩემპიონატის მატჩს "ვალენსიას" წინააღმდეგ, რომელიც "მესტალიაზე" ამ უქმეებზე გაიმართება. რონალდინიო მას შემდეგ დაისაჯა, რაც ესპანეთის თასის გათამაშებაში "სარაგოსას" წინააღმდეგ მეტოქე გუნდის ფეხბურთელ რუბენ კანის ფეხი დააბიჯა.

### ტურინი 2006

## ცეცხლი დაინთო, თამაშები დაიწყო

პირველი გვერდიდან

თბილისის დროით 23:00 საათზე მსოფლიოს ცისფერ ეთერში ტურინის ოლიმპიური თამაშების პირველმა კადრებმა გაიელვა. მომნუსხველად აბრჭყვიალდა "სტადიო ოლიმპიკო". აციმციმდა ფოტოკამერები და დაიწყო გახსნის საზეიმო ცერემონიალი.



წარმოდგენა, რომლისთვისაც მასპინძლები ერთი წლის განმავლობაში მუშაობდნენ, სამ საათში ისტორიის საკუთრება გახდა. გრანდიოზულ სცენაზე მოვლენები კალეიდოსკოპური სისწრაფით ენაცვლებოდნენ ერთმანეთს. იტალიელები რომ თეატრალური დადგმის დიდოსტატები არიან, ფიცი-მტკიცი არ სჭირდება, თუმცა უნდა ვაღიაროთ, რომ ამ მხრივ მათგან უფრო მეტს ველოდით. შთამბეჭდავი იყო გულის ფორმის უზარმაზარი სცენა. რა გასაკვირია, როდესაც მასზე ისეთმა ხელოვანმა იშრომა, როგორიც მარკ ფიშერია. კაცი, რომლის საცენო ფანტაზიით უსარგებლიათ როკ-მუსიკის გრანდებს U2-ს, Pink Floyd-ს, რობი უილიამსს! ცნობილმა იტალიელმა ბალეტმაისტერმა ივან მანძონიმ კი გრანდიოზული ქორეოგრაფიული ცეცხლოვანი წარმოდგენა შემოგვთავაზა. რა თქმა უნდა, ოლიმპიურ წარმოდგენას ავსებდა უჩვეულო განათება. ამაზე იზრუნა კრისტოფ ბერტონომ, რომელიც იმითაა ცნობილი, რომ პარიზელებს 2000 წლის დადგომა აბრდღვიალებული ეიფელის კოშკით მიულოცა. სასცენო კოსტიუმები? ჯორჯო არმანის დამსახურებაა. მუსიკა? მუსიკაც ორიგინალური ჟღერდა - ცნობილი იტალიერი კომპოზიტორის მიკელე ჩენტოცისა.

თუმცა, რამდენიც არ უნდა ვილაპარაკოთ, ასეთი მასშტაბური სანახაობის გადმოცემა შეუძლებელია.

გახსნის საზეიმო ცერემონიალის ოფიციალური მხარე გაჯერებული იყო ტრადიციული ღონისძიებებით: მონაწილე ქვეყანათა აღლუმით, (საქართველოს დროშის ტარების პატივი ვახტანგ მურვანიძეს ხვდა წილად), საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის ჟაკ როგისა და თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის ხელმძღვანელთა მისასალმებელი სიტყვებით, ოლიმპიური დროშისა და ოლიმპიური ცეცხლის სტადიონზე შემობრძანებით, ათლეტთა და მსაჯთა ოლიმპიური ფიცითა და წარმოდგენებით, წარმოდგენებით, წარმოდგენებით...

...ოლიმპიური თამაშების გახსნის საზეიმო ცერემონიალამდე მასპინძლებს არაერთი ღონისძიების ჩატარებაც მოუხდათ. ამ შემთხვევაში, პირველ ყოვლისა, აღსანიშნავია უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

### ტურინი ციფრებში:

- 80 ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი
- 2500 სპორტსმენი
- 2500 მწვრთნელი და გუნდების ოფიციალური პირი
- 2300 საერთაშორისო, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტებისა და სპორტულ ფედერაციათა წარმომადგენლები
- სპორტის 7 სახეობა
- 15 დისციპლინა
- მედლების 84 კომპლექტი
- 650 მსაჯი
- 1200 დოპინგ-ანალიზი
- 10 ათასი ჟურნალისტი
- 6100 მოხალისე
- 240 პროფესიონალი მსახიობი
- გახსნა-დახურვის ცერემონიალებისთვის დამზადდა 6100 კოსტიუმი, 5500 წყვილი ფეხსაცმელი და 500 წყვილი ციგურები
- ორმილიარდიანი ტელეაუდიტორია
- სტადიონზე განლაგებული იყო 32 ტელეკამერა.

დაბოლოს, პირველად ზამთრის ოლიმპიური თამაშების ისტორიაში ტურინში იასპარეზებენ ეთიოპიელი და მადაგასკარელი სპორტსმენები.

## ნუ იქნება ოლონდ ბუნტი...

### ტურინში უსაფრთხოებას კოსმოსიდან აკონტროლებენ

გიგა გურასაშვილი

*ის, რომ იტალიელები ტურინის ოლიმპიურ თამაშებზე ყველაზე მეტ ყურადღებას უსაფრთხოებას უთმობენ, გასაკვირი არაა. თამაშების დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა სილვიო ბერლუსკონიმ აღნიშნა კიდეც, ყველა ლონე უნდა ვიხმაროთ იმისთვის, რომ დავიცვათ იტალიის კეთილი სახელიო.*



*პოლიციელებს ათი თვალი და ყური აქვთ.*

სპორტულ მოედნებისა თუ ოლიმპიური სოფლების სიმშვიდეზე მზრუნველობა 15 ათას პოლიციელს დაევალა. ამავე მიზნებით გახსნის საზეიმო ცერემონიალისთვის ტურინის საჰაერო სივრცეში აიკრძალა სამოქალაქო თვითმფრინავების მიმოსვლა. გახსნის საზეიმო ცერემონიალის უსაფრთხოებისთვის ქალაქის თავზე პატრულირებდა ნატოს ჯარების ორი გამანადგურებელი. აეროპორტის კარი ღია იყო მხოლოდ სპორტსმენთა დელეგაციებისა და უცხოელი სტუმრებისთვის. ცნობილი იყო, რომ საზეიმო ცერემონიალს 15 ქვეყნის ხელმძღვანელი პირი და სამეფო გვარის წარმომადგენლები უნდა დასწრებოდნენ. ალბათ დაესწრნენ კიდეც. გარდა ამისა, იტალიის ხელისუფლებამ ალპებში ოლიმპიური ობიექტების დასაცავად სნაიპერებსა და შეიარაღებულ მოთხილამურეებსაც უხმო.

მართალია, ოლიმპიადის მასპინძლები ტერორისტების შესაძლო თავდასხმაზე ინფორმაციას არ ფლობენ, მაგრამ "სიფრთხილეს თავი არ სტკივას" პრინციპით მაინც მოქმედებენ.

იტალიაში ახლა იმაზე წუხან, რომ თამაშების მსვლელობისას მასშტაბური სახე არ მიიღოს მუსლიმანთა საპროტესტო აქციებმა, რაც წინასწარმეტყველ მუჰამედზე შექმნილი კარიკატურებითაა გამოწვეული მთელ მსოფლიოში.

საინტერესოა, რომ ვირჯინიაში (აშშ) ჩამოყალიბდა სამართავი ცენტრი, რომლის მოვალეობაა იტალიაში შექმნილ ვითარებაზე მეთვალყურეობა. სპეცდანიშნულების რაზმები კი, რომლებიც ტურინშია დისლოცირებული, სრულ საბრძოლო მზადყოფნაში არიან.

სხვათა შორის, ამერიკელებს სურდათ, სამეთვალყურეო ცენტრი იტალიაში მათ გაეხსნათ, მაგრამ ოფიციალური რომი ამერიკელთა ზედმეტი მონდომების წინააღმდეგ წავიდა: უსაფრთხოებას თავადვე უზრუნველვყოფთო. თუმცა, თამაშების მასპინძლები გარკვეულ დათმობაზე მაინც წავიდნენ, როცა ამერიკელებს უფლება მისცეს საკუთარი დელეგაციის დასაცავად ტურინში განეთავსებინათ სპეცდანაყოფები იმ პირობით, თუ ითანამშრომლებდნენ იტალიის უსაფრთხოების ძალებთან.

რა სპეცდანაყოფებზეა საუბარი? როგორც ცნობილია, აშშ-ის დელეგაციის უსფართხოებაზე მზრუნველობა დაევალა Delta Force-ის სპეცდანაყოფს. მისი ადგილმდებარეობა გასაიდუმლოებულია. ამბობენ, ავიანოს ან სიგონელას ბაზებზე განთავსდნენ და მოქმედებისთვისაც მზად არიანო. ეს ბაზები კი თამაშების სიახლოვესაა. რა თქმა უნდა, სპეცდანაყოფის წევრები სამოქალაქო ფორმით გულშემატკივრებში არიან გაფანტული, რათა მათში გაღიზიანება და შიში არ გამოიწვიონ. იმავდროულოად, შესაძლო საშიშროების შემთხვევაში, როგორც ეს ამერიკულ ბლოკბასტერებშია, არსაიდან გაჩნდნენ და მეტოქეზე ფსიქოლოგიური ზეწოლა მოახდინონ.

როგორც ამერიკული ტელეარხი ენ-ბი-სი იუწყება, შვიდმა სადაზვერვო სამსახურმა ლენგლიში (ვირჯინიის შტატი), სადაც ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის (CIA) შტაბბინაა განთავსებული, ჩამოაყალიბა ოლიმპიადის უსაფრთხოებაზე მზრუნველი გაერთიანებული სამეთვალყურეო ცენტრი - Olympic Fusion Center.

საუბარია სამართავ პუნქტზე, რომელიც აღჭურვილია ყველაზე მოწინავე ტექნიკით: მიიღოს და გადასცეს ინფორმაცია, საგანგებო ვითარების საწყის ფაზაში უხელმძღვანელოს მოქმედებას, უზრუნველყოს დაცული კავშირი, შეაფასოს ნებისმიერი ვითარება - ბობოქარი მანიფესტაციები, დემონსტრაციები, ტერაქტი, რომლებიც, თავის მხრივ, გავლენას მოახდენს ოლიმპიურ თამაშებზე. სამართავი პუნქტის კედლებზე განთავსებულ ტელეეკრანებზე აღბეჭდილია ის ჯაშუში თანამგზავრები, რომლებიც იტალიის ტერიტორიას აკვირდება. განუწყვეტლივ მიმდინარეობს საერთაშორისო ტელეარხების ტრანსლაცია. სხვა მონიტორებზე კი მუდმივად მოდის საინფორმაციო სააგენტოების მიერ გავრცელებული ინფორმაციები, რომლებიც მოგვიანებით იშიფრება. ცენტრის სული და გულია შვიდი კომპიუტერი, რომლითაც სარგებლობს დაზვერვის თითოეული სამსახური. მათ შორის ერთ-ერთია ტერორიზმის წინააღმდეგ მებრძოლი ეროვნული ანტიტერორისტული ცენტრი (NCTC), რომლის თანამშრომლებსაც შეუძლიათ უმალ დაასკვნან, რა ტიპის საშიშროებაზეა საუბარი. მათ ხელთაა დოსიე ასობით ტერორისტზე, კარგად ერკვევიან ბომბებში და ტერორისტთა დაკავებასა თუ გამოჭერაში. მოქმედებენ უყოყმანოდ და აქვთ უსაზღვრო შესაძლებლობები.

სხვათა შორის, ეროვნული ანტიტერორისტული ცენტრის წევრები DIA-ს (აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს დაზვერვის სამმართველო) აგენტებთან, პენტაგონის დაზვერვის სამსახურთან ერთად იყვნენ მთავარი მოქმედი პირები "ალ-ქაიდას" წინააღმდეგ მიმართული აქციებისას - მოტაცება, შეპყრობა. ანტიტერორისტული ცენტრი იმითაცაა მნიშვნელოვანი, რომ საკუთარ განკარგულებაში ჰყავს ელიტური დანაყოფები.

ტერორისტებთან მებრძოლ ჯარისკაცებს ბევრი რამ არ შეუძლიათ ელექტრონული თვალისა და ყურის გარეშე. ერთ-ერთი კომპიუტერის წინ ზის უსაფრთხოების ეროვნული სააგენტოს (NSA) მუშაკი, რომელიც იჭერს და შიფრავს მილიონობით ელექტრონულ წერილსა და სატელეფონო საუბარს მსოფლიოს მასშტაბით. ასეთი პროფესიის გამო მათ ჩურჩულზე მონადირეებსაც ეძახიან. იმ შემთხვევაში, თუ საუბრის ჩანაწერი წყვეტილად ისმის, მაგრამ გადაკვრითაა საუბარი შესაძლო ტერაქტზე, ვალდებულნი არიან ოპერაციის დაწყებას მწვანე შუქი აუნთონ.

ამ სააგენტოსთან თანამშრომლობს NGA (ეროვნული გეოკოსმოსური სააგენტო), რომლის მოვალეობაშიც შედის ჯაშუში თანამგზავრებიდან მიღებული ვიდეოგამოსახულების ანალიზი.

დაბოლოს, ორგანიზებულია ფედერალური საგამოძიებო ბიუროსა (FBI) და ღია ინფორმაციის ცენტრის (OSC) პოსტები, რომლის თანამშრომლებიც კითხულობენ უამრავ ჟურნალ-გაზეთს, ინტერნეტ-გამოცემებს, რათა მათთვის საინტერესო მონაცემები მოიძიონ.

### სტეფანია ბელმონდო ანთებს ოლიმპიურ ჩირაღდანს

**ტურინი (გერმანული პრესის სააგენტო) -** ტურინი ოლიმპიურ ციებცხელებაშია: დღეს საღამოს ამ იტალიურ ქალაქში ზამთრის XX ოლიმპიური თამაშები იხსნება. გახსნის ცერმონიალს ესწრება 45 ქვეყნის მეთაური და მთავრობის წარმომადგენლები. ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის TOROC ინფორმაციით, ამ საზეიმო ცერემონიალის დროს ოლიმპიურ ცეცხლს აანთებს ყოფილი მოთხილამურე, იტალიელი სტეფანია ბელმონდო. 10 ოლიმპიური მედლის წყალობით იგი დღემდე იტალიის ყველაზე წარმატებული ზამთრის ოლიმპიელია.

### კანცლერი მერკელი გერმანიის ნაკრებს წარმატებას უსურვებს

**ბერლინი (გერმანული პრესის სააგენტო) -** გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა გერმანიის ოლიმპიურ გუნდს ტურინის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში წარმატება უსურვა.

"ჩვენ ყველანი გულმხურვალედ გქომაგობთ", - მისწერა მან ნაციონალური ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტს კლაუს შტაინბახს.

გარდა ამისა, იგი ნაკრების წევრებს მოუწოდებს, რომ მათ, "როგორც ქვეყნის ღირსეულმა წარმომადგენლებმა, ოლიმპიური თამაშების ხალხთა დამაკავშირებელი იდეა მუდამ თან ატარონ და ტურინში სპორტული შეჯიბრებების მიღმაც საყოველთაო მეგობრულ ერთიანობაში იცხოვრონ".

*მოამზადა თიკა კაკაბაძემ*

### ინფოთეკა

#### "ჩელსი" და "ლივერპული" ვერ მოიგებენ

პორტუგალიის "ბენფიკას" მთავარი მწვრთნელი რონალდ კუმანი მიიჩნევს, რომ მის გუნდს შეუძლია ჩემპიონთა ლიგის გათამაშებიდან დაითხოვოს ტურნირის შარშანდელი გამარჯვებული ინგლისის "ლივერპული". "რატომაც არა? ჩვენ ხომ ტურნირის მიღმა უკვე დავტოვეთ "მანჩესტერ იუნაიტედი", - განაცხადა კუმანმა, - ეჭვი არ მეპარება, რომ "ლივერპულის" დამარცხებაც შეგვიძლია. ასევე მიმაჩნია, რომ "ბარსელონა" დაამარცხებს "ჩელსის". კატალონიელებმა უეჭველად გამოიტანეს დასკვნები შარშანდელი მარცხიდან". შეგახსენებთ, რომ პირველ მატჩს "ლივერპულის" წინააღმდეგ "ბენფიკა" 21 თებერვალს საკუთარ "და ლუშის" სტადიონზე გამართავს.

#### ნაკრებში რივალდოს ადგილიც გამოჩნდება

1998 წლის ვერცხლის პრიზიორი და 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონი რივალდო შეიძლება ბრაზილიის ნაკრებს დაუბრუნდეს. ამის შესახებ განაცხადა ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელმა კარლოს ალბერტუ პარეირამ. "ნაკრების ბირთვი ჩამოყალიბებულია, მაგრამ გუნდის კარი არავისთვის დაკეტილი არ არის, - განაცხადა პარეირამ, - ვფიქრობ, შემადგენლობაში შეიძლება რივალდოს ადგილიც გამოიძებნოს და სხვა გამოცდილი ფეხბურთელებისაც, რომლებსაც უკვე დაუცავთ ეროვნული გუნდის ღირსება. გამოცდილება რივალდოს უმთავრესი ღირსებაა, რომელმაც შესანიშნავად ჩაატარა ბოლო ორი მსოფლიო ჩემპიონატი. ამასთან, ის ჩემთვის ძვირფასია, როგორც ფეხბურთელი. მისი დებიუტი სწორედ ჩემს ხელში შედგა. ეს იყო 1993 წელს მექსიკასთან ამხანაგურ შეხვედრაში. ჩვენ 1:0 მოვიგეთ. გოლი რივალდომ გაიტანა".

## განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

შპს "საქართველოს რკინიგზა" (მდებარე ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. N 15) აცხადებს ღია ტენდერს ლოკომოტივის მარაგნაწილების შესყიდვაზე, ქვემოთ მოცემული ლოტების მიხედვით და იწვევს ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

1. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით შემდეგ რეკვიზიტებზე : ს/ს ბანკი "რესპუბლიკა" ცენტრალური ფილიალი, კოდი: 220101757, ანგარიშის N3407003205, და წარმოადგინონ თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფია გამზ. N 15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო, რის შემდგომაც მათ გადაეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია.

2. შესყიდვის ობიექტი :

| ლოტი | შესასყიდი საქონლის დასახელება | მოწოდ. ვადა | ერთ. | რაოდ. |
|---|---|---|---|---|
| 1 | ელექტროდი | 1-ლი კვარტალი | კგ | 8175 |
| 2 | დენმიმღები პ-5 | | ც | 30 |
| 3 | დენმიმღები პ-5 ის ნაწილები:<br>თხილამური (მცოცი)<br>Eეტლი<br>Kკონუსური მილი<br>რკინის თხელკედლიანი მილი | | ც<br>ც<br>ც<br>გრ.მ | 110<br>100<br>200<br>1000 |
| 4 | ელექტროჯაგრისები (სხვადასხვა):<br>2(8*50*60*)<br>16*32*32*<br>10*25*50*<br>ცილინდრული ჯაგრისი-სი მგს-21<br>12.5*32*50*<br>2(12.5*32*50*)<br>12.5*25*32*<br>16*25*40* | | ც<br>ც<br>ც<br>ც<br>ც<br>ც<br>ც<br>ც | 13000<br>1000<br>4000<br>200<br>1500<br>500<br>200<br>250 |
| 5 | ელექტრო მაგნიტური კონტაქტორები:<br>მკ-15-01<br>მკ-310ბ-38<br>Mკ-310ბ-42<br>სე-11<br>სც-11 | | ც<br>ც<br>ც<br>ც<br>ც | 10<br>20<br>20<br>8<br>8 |
| 6 | ელექტრო პნევმატური კონტაქტორები:<br>პკ-17/19<br>პკ-21/22/23/24/25/26<br>Pკ-31/33<br>Pკ-41/43/054<br>სდ-11 | | ც<br>ც<br>ც<br>ც<br>ც | 20<br>40<br>100<br>30<br>10 |
| 7 | ფერადი ლითონების პროდუქცია:<br>ელექტრო პნევ. Kკონტაქტორის ტუჩები<br>დრეკადი შუნტის მასალა<br>კალა<br>ბაბიტი ბ-16<br>ბაბიტი ბ-83<br>სპილენძის 6*30 მმ-იანი ფირფიტა<br>თითბრის ჭანჭიკი 6 მმ-იანი<br>Mმეტალოკერამიკული სადები ვჟ-3 | | კგ<br>კგ<br>კგ<br>კგ<br>კგ<br>კგ<br>კგ<br>ც | 8000<br>100<br>200<br>8450<br>100<br>500<br>250<br>4000 |
| 8 | ავტოგადასაბმელი სა-3 | | ც | 50 |
| 9 | ავტოგადასაბმელის ნაწილები:<br>ბალიში<br>სოლი | | ც<br>ც | 200<br>400 |
| 10 | ფრიქციული აპარატი კომპ. | | კომპ. | 50 |
| 11 | Fფრიქციული აპარატი უღელი | | ც | 50 |
| 12 | ფოლადის გვარლი (ორგანული გულარით):<br>22 მმ-იანი<br>28 მმ-იანი<br>24,5 მმ-იანი<br>36 მმ-იანი<br>40-45 მმ-იანი | | მ<br>მ<br>მ<br>მ<br>მ | 200<br>450<br>300<br>600<br>550 |
| 13 | ფლუსი საშემდუღებლო ლხობილი | | ტ | 12 |
| 14 | საიზოლაციო მასალები:<br>საიზოლაციო ლენტა<br>გუდრონიანი ლენტა | | კგ<br>კგ | 800<br>1000 |
| 15 | საკისურები:<br>მოტორ-ღერძული საკისურები<br>N29<br>N204<br>N1206<br>N42536 ლმ-ის რგოლები<br>N52536 ლმ-ის რგოლები<br>N92317 ლ1<br>N32417<br>N942/20 | | ც<br>ც<br>ც<br>ც<br>ც<br>ც<br>ც<br>ც<br>ც | 180<br>100<br>100<br>100<br>100<br>100<br>35<br>30<br>100 |
| 16 | მინა 4-6 მმ. | | კვ.მ | 1500 |
| 17 | სამუხრუჭე ხუნდი:<br>ელმავლის<br>ელექტრომატარებლის | | ც<br>ც | 14000<br>6000 |
| 18 | ნათურები:<br>60*4,8<br>56*15<br>56*40<br>56*60<br>220*100(60)<br>220*500<br>110*500<br>110*60<br>56*500<br>პროჟექტორის ნათურა 500 ვტ. | | ც<br>ც<br>ც<br>ც<br>ათ.ც<br>ც<br>ც<br>ც<br>ც<br>ც | 500<br>1000<br>2000<br>4000<br>4<br>200<br>200<br>500<br>1900<br>40 |
| 19 | მსუბუქი მრეწველობის წარმოების პროდუქცია:<br>შალის ძაფი<br>ძენძი<br>საკიპერო ლენტა | | კგ<br>კგ<br>კგ | 1600<br>6000<br>400 |
| 20 | საჭრისები:<br>ფინჯარისებური 30.8 მმ<br>ცილინდრული 12 მმ<br>სახარატო | | ც<br>ც<br>ც | 1000<br>11500<br>500 |
| 21 | საზეინკლო იარაღები | | კომპ. | |
| 22 | ჩასადუღებელი მავთული | | ტ | 8 |
| | | | | |
| 23 | ლაქი საიზოლაციო ფლ-98 | 1-ლი კვარტალი | ც | 5000 |
| 24 | ქსილოლი | | ც | 5000 |
| 25 | წყვილთვალების არტახები ფ1060*143 | | ც | 278 |

3. მიწოდების ადგილი - შპს "საქართველოს რკინიგზის" ცენტრალური ბაზა.

4. მიწოდების სასურველი ვადები: 2006 წლის 1-ლი კვარტლის ბოლომდე.

5. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) 6 და 7 მარტს 9სთ 00 წთ დან - 18 სთ და 00 წთ მდე, მისამართზე: ქ. თბილისი, ქ. თბილისი, თამარ მეფია გამზ. N 15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო.

6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

იურიდიული პირებისათვის :

ა) სარეგისტრაციო დოკუმენტები და ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან

ბ) ცნობა შესაბამისი ორგანოდან იმის შესახებ, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, ასევე არ ხდება მისი რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია.

დ) სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისათვის სატენდერო წინადადების 1%-იანი საბანკო გარანტიის წარმოდგენა.

ფიზიკური პირებისათვის :

ა) ცნობა შესაბამისი ორგანოდან იმის შესახებ, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება

ბ) სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისათვის სატენდერო წინადადების 1%-იანი საბანკო გარანტიის წარმოდგენა.

პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამებიან სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შპს "საქარტველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტოში , ტელ 56 33 51, 893-24-32-24

**სატენდერო კომისია**

1 უცხო ქვეყნების წარმომადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან კანონით დადგენილი წესით ლეგალიზებული სახით.

# პუშკინი მის გულშია

*დიადის განჭვრეტა მხოლოდ შორიდანაა შესაძლებელი. შორეული, ოკეანისგადაღმა მინეაპოლისიდან ჩვენი თანამემამულე, ცნობილი პოლიტოლოგი, მწერალი და ჟურნალისტი მელორ სტურუა კვლავ უბრუნდება თავისი დაუვიწყარი ძმის - დევის სახეს, ნიჭიერ და უდროოდ წასულ საზოგადო და პოლიტიკურ მოღვაწეს, პატრიოტს, გულღია ადამიანს, გვაცნობს მისი მრავალმხრივი პიროვნებისთვის დამახასიათებელ ახალ დეტალებსა და შტრიხებს და მთლიანობაში ამ შესანიშნავი ადამიანის პორტრეტს წარმოგვიდგენს.*
*მისი მეუღლის მაყვალას, თავად მელორისა და იმ ახლობლების მოწადინებით, ვინც კარგად იცნობდა და ღრმა პატივს სცემდა დევი სტურუას, ეს პიროვნება თავისი დროის ერთგვარ სიმბოლოს ქმნის. ინტელიგენტური, მგრძნობიარე და გულისხმიერი, ის დროით, ბედისწერითა და ისტორიით მჭიდროდ შედუღაბებული ქართულ-რუსული საზოგადოებების კულტურათა სიმბოლოცაა.*
*პირველი ნაბიჯები ჟურნალისტიკაში დევი გიორგის ძემ ჩვენს გაზეთში გადადგა. მაშინ მას "ზარია ვოსტოკა" ერქვა. მაშინვე გამოიკვეთა, რომ დევი ნიჭიერი, ბრწყინვალედ ერუდირებული და შრომისუნარიანი ახალგაზრდა იყო.*
*ის ნაცნობების საყოველთაო სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა. შემდგომში კი ჩვენი გაზეთის მუდმივ ავტორად იქცა. მისი ბრწყინვალე პუბლიკაციები "სვობოდნაია გრუზიაში" ყოველთვის დიდ საზოგადოებრივ რეზონანსს იწვევდა.*
*დღეს მას 75 წელი შეუსრულდებოდა.*
*უახლოეს მომავალში გამოიცემა დევი სტურუას წიგნი-გამოკვლევა პუშკინზე, რომლის წინასიტყვაობაზეც თქვენს ყურადღებას დღეს შევაჩერებთ, დევი გიორგის ძის ხსოვნის პატივსაცემად.*

***თენგიზ გამყრელიძე***


*დევი სტურუა*

ყოველწლიურად, 29 იანვარს, შუადღის 2 საათსა და 45 წუთზე, სწორედ იმ დროს, როცა პუშკინის დიდი გული გაჩერდა, როცა მთელი რუსეთი მწუხარედ ხრის თავს, სანქტ-პეტერბურგსა და მოსკოვიდან საკმაოდ შორს, თბილისის პირველ გიმნაზიაშიც იგივე ხდება. მართალია, გაცილებით მცირე მასშტაბებში, მაგრამ ასეთივე სუფთა გრძნობით. ამ გიმნაზიაში პუშკინის საღამოების გამართვის ტრადიციების ფუძემდებელი მისი დირექტორი ლიანა შეწირულია. რა სიმბოლურია მისი გვარის მნიშვნელობა!

ამბობენ, რომ წყლის წვეთი ოკეანეს ირეკლავს. პუშკინის საღამოების ტრადიცია თბილისის პირველ გიმნაზიაში სწორედ ის წვეთია, რომელიც საქართველოს პუშკინისადმი სიყვარულის ოკეანეს ირეკლავს. პუშკინს რუსული პოეზიის მზეს უწოდებენ. უთუოდ ასეა, მაგრამ მზე-პუშკინი იმდენად დიდია, რომ თავისი სხივებით ანათებს და ათბობს საქართველოს მიწას, მის მწვერვალებსა და ხეობებს, მის ხალხს. "Кавказ подо мною" - წერდა პუშკინი. ეს - გეოგრაფიულად. სინამდვილეში კი კავკასია მის გულში იყო, იმ გულში, რომელსაც დანტესი უმიზნებდა. თავად პუშკინი ყველა იმ ქართველის გულშია, ვისაც პოეზია და თავისუფლება უყვარს. და რომელ ნამდვილ ქართველს არ უყვარს ისინი? პუშკინმა იცოდა, რაში იყო მისი უკვდავების საწინდარი - იმაში, რომ კეთილ გრძნობებს პოეზიით აღვიძებდა, თავისუფლებას ადიდებდა და დავრდომილთა მიმართ სათნოებისკენ მოუწოდებდა. ასე აღუმართა თავის თავს ხელთუქმნელი ძეგლი. ის საქართველოშიც დგას; ყველა თავისუფლებისმოყვარე ქართველის გულში.

საქართველო და რუსული პოეზია - ეს უსაზღვრო და განსაკუთრებული თემაა, კაცობრიობის ისტორიაში უპრეცედენტო ფენომენი. ისინი სამარადჟამოდ დანათესავდნენ, როგორც ნინო ჭავჭავაძე და ალექსანდრე გრიბოედოვი, რომელსაც მარადიული ძილით სძინავს თბილისში, მთაწმინდაზე. როდესაც რუსი ორფეოსები მეფის ან კომუნისტურ რუსეთში ვერ სუნთქავდნენ, საქართველოში გარბოდნენ, რათა აქ ეგემათ ურჩი და დაუპყრობელი კავკასიის სუფთა და თავისუფალი ჰაერი. ასე იყო პუშკინისა და ესენენის, ლერმონტოვისა და პასტერნაკის დროს. მაიაკოვსკი კი სიამაყით წერდა, რომ ის "დაბადებით ქართველია". ლერმონტოვის სიტყვებით რომ ვთქვათ, რუსი ორფეოსები ცდილობდნენ, "კავკასიის კედლებს მიღმა დამალვოდნენ დაუბანელი რუსეთის, მონებისა და პატრონების ქვეყნის" მბრძანებელთა ათას ყურსა და თვალს. ცისფერ მუნდირებს ლაჟვარდისფერი ცა ერჩივნათ, პეტრე-პავლეს სატუსაღოს კი - თბილისური დუქნები. როგორ შეიძლება ამაში დავადანაშაულოთ?! მათ საქართველო იმიტომ უყვარდათ, რომ რუსეთის ჭეშმარიტი პატრიოტები იყვნენ, მაგრამ არა დაუბანელის, არამედ ისევე როგორც აფროდიტა ზღვის ქაფიდან თავისუფლების აუმღვრეველ ტალღებში დაბადებულის. "Не пой, красавица, при мне ты песен Грузии печальной", - ამბობს პუშკინი, რადგან ეს სიმღერები მას "სხვა ცხოვრებასა და შორეულ ნაპირს" აგონებს. დიახ, იქაც და იქაც ერთნაირი მწუხარება სუფევდა. არა მარტო შემოქმედების, არამედ თავისუფლების არარსებობის.

საქართველოსა და რუს ორფეოსებს მხოლოდ ფაქიზი სიტყვიერებისადმი სიყვარული არ აერთიანებდათ. შეუძლებელია რომელიმე, თუნდაც პოეზიასთან უზიარებელი ქართველი არ დაემოწმოს განრისხებული პოეტის მგზნებარე სიტყვებს, რომლითაც ის რუსეთის ერთ-ერთ თვითმპყრობელს მიმართავს:

Самовластительный злодей,
Тебя, твой род я ненавижу.
Тваю погибель, смерть детей
С жестокой радостию вижу.
Читают на твоём челе
Печать проклятия народы.
Ты - ужас мира. стыд природы,
Упрёк ты богу на земле.

სხვათა შორის, თუმცა, რატომ "სხვათა შორის", სავსებით ლოგიკურია, რომ ზემოთ მოყვანილი სტრიქონები მამაჩემს ყველაზე მეტად უყვარდა პუშკინის სტრიქონებს შორის. ის ხშირად გვიკითხავდა მათ ზეპირად მე და ჩემს უმცროს ძმა დევის, იმდენად ხშირად, რომ სიტყვა-სიტყვით დავიმახსოვრეთ. მამა შთაგონებით კითხულობდა. მისი არაჩვეულებრივად მშვენიერი და კეთილშობილური სახე სამართლიანი რისხვის გამომეტყველებით იცვლებოდა. ის მეხთამცემელ ზევსს ემსგავსებოდა. ასე რომ, პუშკინს პირველად არა რუსული ენის, არამედ მამისეული ანბანით გავეცანით, რომელიც ტირანებისადმი და ტირანიისადმი სიძულვილის ხელოვნებას ქადაგებდა.

შემთხვევით კი არ წამოვიწყე საუბარი თბილისის პირველ გიმნაზიაში პუშკინისადმი მიძღვნილი ტრადიციული საღამოების თემაზე. მე და დევი ამ სკოლის მოწაფეები ვართ (მაშინ მას პირველი საცდელ-საჩვენებელი სკოლა ერქვა). ამ გიმნაზია-სკოლის კედლებში ქართული ლიტერატურისა და მეცნიერების არაერთი ბრწყინვალე წარმომადგენელი აღიზარდა. საკმარისია ითქვას, რომ აქ სწავლობდა "მერანის" ავტორი ნიკოლოზ ბარათაშვილი. ამიტომ ვამაყობ "შეწირული ქალბატონის" ინიციატივით. დარწმუნებული ვარ, დევიც იამაყებდა. არ ვიცი, გრძელდება თუ არა ეს შესანიშნავი სასკოლო ტრადიცია დღესაც. თუ არ გრძელდება, აუცილებლად უნდა აღდგეს. დღეს ის ისე სჭირდება საქართველოს, როგორც არასდროს.

სკოლაში დევიმ პუშკინის შემოქმედება უკეთ გაიცნო და ცოდნაც გაიღრმავა. დევი ბავშვობიდანვე თანდაყოლილი მსახიობი და პოეტი იყო და რუსულის მასწავლებლებიც (ხსოვნა იყოს მათი!) მცირე მიზეზის გამო აიძულებდნენ პუშკინის დეკლამირებას. რუსულის გამოსაშვებ გამოცდაზე დევის შეხვდა ბილეთი, რომელშიც პუშკინის ხსენებაც კი არ იყო. გამოცდას განათლების სამინისტროს საპატიო კომისია ესწრებოდა. მასწავლებელმა კომისიის წევრებთან თავის გამოჩენა მოისურვა და დევის სთხოვა, იქნებ რაიმე პუშკინიდან წაგვიკითხოო. დიდი ფიქრის გარეშე, დევიმ, "თვითმპყრობელი უკეთურის" კითხვისას, მამისგან ნასწავლი დეკლამირების მეთოდები მოიშველია. როცა კითხვა დაასრულა, კლასში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. მაშინ ტირანთა ტირანი - სტალინი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო და პუშკინის სტრიქონებმა მრავალმნიშვნელოვნად გაიჟღერა. უხერხულობის განსამუხტავად მასწავლებელმა დევის სთხოვა, კიდევ დამატებით წაეკითხა რაიმე. დევი დაეთანხმა და "გზავნილი ციმბირში"-ს კითხვას შეუდგა:

"...Товарищ, верь, взойдёт она
Звезда пленительного счастья,
Россия вспрянет ото сна,
И на обломках самовластья
Напишут наши имена".

ახლა სამარისებური სიჩუმე აპლოდისმენტებმა დაარღვიეს. ტაშს დევის თანაკლასელები უკრავდნენ. ერთწუთიანი ყოყმანის შემდეგ, მათ კომისიის წევრებიც შეუერთდნენ. მასწავლებელს სახე კვლავ შეუვარდისფერდა. მადლობა ღმერთს! როცა დევიმ ეს ამბავი მამას უამბო, მან იმდენი იცინა, რომ ცრემლი მოადგა...

თბილისში სკოლის დამთავრების შემდეგ დევი მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე სწავლობდა. ხუთი წლის განმავლობაში ჩაძირული იყო პუშკინის ენის ხმოვან სტიქიაში, ფუნდამენტურად ეცნობოდა მას, თანდათან იწმინდებოდა ქართული პროვინციალიზმის ნიჟარებისა და მოლუსკებისგან. მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის კარიბჭიდან გამოსვლისას კი უკვე ჭეშმარიტი ქართველი და რუსი ინტელიგენტი იყო. მაშინ ძნელად თუ მოიძებნებოდა ადამიანი, რომელიც ასე ზედმიწევნით ფლობდა რუსულ და ქართულ ენებს. როცა ამას ვამბობდი, ყოველთვის მაწყვეტინებდნენ კითხვით - "კი მაგრამ, ირაკლი ანდრონიკოვი?" დიახ, ირაკლი ლუარსაბის ძის რუსული ნებისმიერ რუს ლიტერატორს შეშურდებოდა, მაგრამ, საწუხაროდ, მან ქართული საერთოდ არ იცოდა. ასე რომ, ენობრივ "ორჭიდში" დევი სჯაბნიდა.

მრავალი წლის განმავლობაში დევის საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში მოუხდა მუშაობა. ისეთი ანტიპუშკინისეული ატმოსფერო, როგორიც ცეკას ამ შენობაში სუფევდა, ძნელი წარმოსადგენია. მაგრამ დევი პუშკინს არც იქ დამშვიდობებია. მისი შემოქმედების რომელიმე ტომეული მუდმივად იდო მის საწერ მაგიდაზე. არასატრაბახოდ. "როცა ეს ყველაფერი გულს მირევს, - მეუბნებოდა დევი და ოფიციალური ქაღალდების შეკვრებზე მიმითითებდა, - აუცილებლად პუშკინს ვკითხულობ, თანაც აუცილებლად ხმამაღლა. წინასწარ მდივანსაც ვაფრთხილებ, რომ არ მცალია და კაბინეტში არავინ შემოუშვას."

ზუსტად არ ვიცი, როდის ჩაიფიქრა დევიმ პუშკინზე წიგნის შექმნა, რომელიც მისი ცხოვრების მთავარ წიგნად იქცეოდა, როდის დაიწყო შესაბამისი მასალის შეგროვება. მაგრამ არ გამოვრიცხავ, რომ მან ეს ფარულად, საქართველოს ცეკას მდივნობისას დაიწყო. ის იყო საბჭოთა კავშირის ერთადერთი ცეკას მდივანი, რომელიც პასტერნაკს, ახმატოვასა და ცვეტაევას საათობით ზეპირად კითხულობდა. აღარაფერს ვამბობ ქართველ პოეტებზე, რომელთა შორის მისი კერპი ნიკოლოზ ბარათაშვილი იყო. სხვათა შორის, 1984 წელს დევიმ ბელეტრისტული თხზულება "ბედისწერა" გამოაქვეყნა (ნიკოლოზ ბარათაშვილის - პუშკინის მხურვალე თაყვანისმცემლის - ცხოვრების ეპიზოდები). ერთ-ერთ ეპიზოდში აღწერილია 1829 წლის მარტში პუშკინის ტიფლისში ჩამოსვლა.

პატარა ტატომ (ბავშვობაში ნიკოლოზ ბარათაშვილს ასე ეძახდნენ - მ.ს.) პუშკინის თანდასწრებით იცეკვა, უფრო სწორად, პირადად მისთვის იცეკვა. ამის შესახებ არაფერი უთქვამთ "პუშკინისტებს", არც ბარათაშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების მკვლევარებს.

უსამართლობა იქნებოდა, ბედისწერას ბარათაშვილისა და ნიკოლოზ პირველის გზა გადაეკვეთა და თავის კერპთან ხანმოკლე შეხვედრა მაინც არ მოეწყო.

მახსენდება ერთი იუმორისტული ეპიზოდი. საქართველოში ნიკიტა ხრუშჩოვის ჩამოსვლას ელოდნენ. კომპარტიის ცეკას პირველმა მდივანმა მჟავანაძემ დევის მისასალმებელი ტექსტის - "ჩვენს ნიკიტა სერგეის ძეს" - დაწერა დაავალა. დევიმ დაწერა. ტექსტის კითხვისას ვასილ პავლეს ძე პუშკინის ციტატას "გადაეყარა". "რატომ პუშკინი და არა შოთა რუსთაველი?" - იკითხა აშკარა უკმაყოფილებით. მჟავანაძე ჯარში დიდხანს მსახურობდა, ქართული ენა მივიწყებული ჰქონდა და მტკივნეულად რეაგირებდა, როცა რუსოფილობას სწამებდნენ. დევი შეეცადა აეხსნა, მოცემულ კონტექსტში რატომ გამოიყურებოდა უფრო ბუნებრივად და მისაღებად პუშკინი და არა რუსთაველი. მჟავანაძე ჯიუტად იდგა თავისაზე. მაშინ დევიმ დაახლოებით ასე უთხრა: "ვასილ პავლეს ძევ, ხრუშჩოვი თბილისში ჩამოდის და თქვენც ხვდებით მისალმებით, რომელშიც რუსი პოეტის პუშკინის ციტატაა მოყვანილი. აი, თქვენ რომ მოსკოვში ჩაბრძანდებით, იქ შოთას ან აკაკის (წერეთლის - მ.ს.) სიტყვებით დაგხვდებიან". მჟავანაძეს სახე გაუნათდა. "თავიდანვე ასე გეთქვა!" - წამოუძახებია. ტექსტში პუშკინი დარჩა, მაგრამ ძნელი დასაჯერებელია, ხრუშჩოვს ეს შეემჩნია. "ვირმა რა იცის, ხურმა რა ხილია..." - ჩასცინებია დევის.

ერთხელ ნოდარ დუმბაძემ გონებამახვილურად შენიშნა:

- იცით, დევი ასეთი სრული რატომ არის? პიჯაკის ქვეშ პუშკინის შემოქმედების სრულ კრებულს დაატარებს!

ყველას გაეცინა. ეს ბიჭვინთაში მოხდა. საღამოს შავი ზღვის ნაპირზე ვისხედით. დევი პუშკინს კითხულობდა. "ზღვის თემაზე", სამხრეთული ღამის სიბნელეში კი მისი ხმა ზღვის მოქცევასავით ჟღერდა.

მაგრამ არც ნოდარმა და არც მე მაშინ არ ვიცოდით, რომ პიჯაკის ქვეშ, რომელიც მას ამსხვილებდა, არა მხოლოდ პუშკინის ასი ტომი იყო, არამედ ასობით წიგნი მასზე და მის ეპოქაზე. როდესაც უკვე დევის უდროო გარდაცვალების შემდეგ მაყვალამ - მისმა ერთგულმა ცოლმა და მეგობარმა, პუშკინზე წიგნისთვის მომზადებული ჩანაწერების გიგანტური შეკვრა გადმომცა, გავოგნდი. ეს იყო პუშკინის ენციკლოპედია, რომლის შეგროვებაც არანაკლებ ძნელი იყო, ვიდრე თვით წიგნის დაწერა.

დიდ ფრანგ ბუნებისმეტყველს კიუვიეს შეეძლო მხოლოდ ერთი ძვლის საშუალებით ისტორიამდელი ცხოველის მთლიანი ჩონჩხი აღედგინა. დევის პუშკინის არქივი ძვალი კი არა, ჩონჩხია და სულაც არ არის საჭირო იყო დიდი კიუვიე, რომ ამის მიხედვით რუსული პოეზიის მზის სახე შექმნა. მაგრამ პირადად მე ამ საქმეს არ შევეჭიდებოდი. და არა მხოლოდ იმიტომ, რომ სხვისი შრომის ნაყოფით სარგებლობა უწესობაა, არამედ იმიტომ, რომ ამ ყველაფრის შედეგად ჩემეულ და არა დევისეულ პუშკინს მივიღებთ. მხოლოდ მას შეეძლო ყოფილიყო მითიური სკულპტორი პიგმალიონი, რომელმაც თავის ქმნილებას სული შთაბერა. არა უბრალოდ სიცოცხლე მიანიჭა, არამედ თავისი სიცოცხლე, თავისი ხედვა და შთაგონება.

დევის პუშკინისეული არქივი გასული, უკვე გასული (!), მეოცე საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში მზად იყო. მაგრამ წიგნის წერას ჯერ არ იწყებდა. საამისოდ ბევრი ცხოვრებისეული და ყოფითი მიზეზი არსებობდა. მათზე აქ აღარ შევჩერდები. ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ ეს წლები მისთვის სრული ჯოჯოხეთი იყო, უსასრულო ტანჯვა, რომელსაც დიდი ბავშვის კეთილი ღიმილით იტანდა. ტყუილად კი არ ადარებდნენ მას ტოლსტოის პიერ ბეზუხოვს.

მაგრამ იყო კიდევ ერთი, მორალური მიზეზი. დევის ტანჯავდა კითხვა - აქვს თუ არა პუშკინზე წერის მორალურ-ეთიკური უფლება? ეს ხომ, ბოდიში მომითხოვია, მჟავანაძისთვის მომზადებული ანგარიში არ იყო! პუშკინზე უკვე ამდენი რამ ითქვა და დაიწერა! მიხაილ ზოშჩენკო დასცინოდა კიდეც "პუშკინისტებს". დღეისთვის პუშკინის ცხოვრების არც ერთი საათი, არც ერთი წუთი არ არის დარჩენილი აღრიცხვისა და კომენტარის გარეშე. და აი, "ვიღაც ქართველი" თავს უფლებას აძლევს პოეზიის ევერესტი "შეაწუხოს"!

თავის ეჭვებს დევი არავის უმხელდა. ის მათ, ისევე როგორც პუშკინს, გულით დაატარებდა და განაგრძობდა თავისი დერჟავინის ძებნას, რომელიც საფლავში ჩასვლამდე დიდი საგმირო საქმისთვის აკურთხებდა. "დერჟავინის" ძიება წარმატებით დაგვირგვინდა. მბორგავი არბიტრი რუსული კულტურის პატრიარქი დიმიტრი ლიხაჩოვი იყო. ეს სამაგალითო არჩევანი გახლდათ, რადგან ლიხაჩოვი არა მხოლოდ დიდი მეცნიერი, არამედ უდიდესი მორალური ავტორიტეტიც იყო. ამ უკანასკნელს კი დევისთვის უმნიშვნელოვანესი, გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. 1994 წლის 13 ივნისით დათარიღებულ წერილში დევი ლიხაჩოვს წერს (მისი სრული ვარიანტი წიგნშია მოყვანილი): "სითამამე მოვიკრიბე და გწერთ. როგორც ჩანს, წერილის თემა მაპატიებს, ეს თემა პუშკინია - თქვენი და ასევე, ჩემიც... (თავის პუშკინს დევი ლიხაჩოვსაც კი არ უთმობდა! - მ.ს.). მე ვიცნობ მთელ პუშკინს და მის შესახებ თითქმის ყველაფერი ვიცი. ის ჩემი უდიდესი, გაუნელებელი, ადრეული ბავშვობისდროინდელი სიყვარულია და ნუ მოგეჩვენებათ ეს პარადოქსად, ან იმად, თითქოს საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენა მაქვს, - ეს სიყვარული **ორმხრივია**, რადგან მე (ადამიანი, რომელსაც სწყურია სწამდეს, მაგრამ ჭეშმარიტ რწმენამდე ჯერ ცას არ დავუშვივარ) მისტიკური საშინელებითა და აღფრთოვანებით პუშკინში ვპოულობ სტრიქონებს, რომლებიც **მხოლოდ** და **პირადად** ჩემს მიმართაა ნათქვამი. ო, როგორ მშურს პუშკინის მეგობრების, მათი, ვინც არა გარეგნულად, არამედ შეხებითაც იცნობდა, ესმოდა მისი ხმა, ვინც ბოლომდე აგემოვნებდა "ჩვენს დედამიწაზე" მცხოვრებთაგან ამ ყველაზე დაუჯერებელ და ყველაზე რეალურ ადამიანს". დასასრულს დევი წერს:

"გთხოვთ, ნება დამრთოთ გამოქვეყნებამდე განსჯისთვის ჩემი მცდელობა წარმოგიდგინოთ.

თქვენ ჩემთვის უმაღლესი ავტორიტეტი ხართ - სამეცნიერო, სულიერი და სამოქალაქო.

თქვენს განაჩენს, როგორიც არ უნდა იყოს, უსიტყვოდ მივიღებ"...

საოცარი წერილია! და მისი ადგილი ქართულ-რუსული სულიერი და კულტურული ურთიერთობების ისტორიულ საგანძურშია.

დევი პუშკინს იმ წამამდე ატარებდა გულით, ვიდრე ის არ გაჩერდა. იქნებ ზეცის ჭეშმარიტ რწმენამდე მისული, მან ის საფლავში, არა, სამოთხეში ჩაიტანა. ის თავის საძინებელში გარდაიცვალა. კაბინეტში, საწერ მაგიდაზე კი ამაოდ ელოდა "ყველაფერი ან თითქმის ყველაფერი" პუშკინზე. თუმცა, არც ისე ამაოდ. მისი მეუღლის მაყვალას, შვილების გიორგისა და სოსოს წყალობით ეს გაბნეული მარგალიტები მკითხველის ფართო წრის საკუთრება გახდება. და ნებისმიერ ჩვენგანს შეეძლება ამ განძიდან იმ ძვირფასეულობის ამორჩევა, რომელიც მის სულთან ახლოს იქნება. თითოეულ ჩვენგანს ხომ საკუთარი პუშკინი გვყავს, მაგრამ ამ ბედნიერებს ვთხოვ, არ დაავიწყდეთ, რომ დევისაც თავისი პუშკინი ჰყავდა...

...მას შემდეგ, რაც ჩემმა ძმამ ეს ცოდვილი მიწა დატოვა, დიდი დრო გავიდა. მან ბევრი რამ გააკეთა. ბევრიც მის ოცნებებში დარჩა. ამ წლების განმავლობაში მსოფლიო და საქართველო შეიცვალა. უარესობისკენაც და უკეთესობისკენაც. მაგრამ პუშკინს დრომ ვერაფერი მოუხერხა. მისი უკვდავების ნაპერწკალი მწუხარე სახის ერთგულ რაინდსაც ეცემა.

დევის - "დიდი დევის" შვილიშვილს, ქალიშვილი - ულამაზესი ნანა შეეძინა. და მე უკვე ვოცნებობ იმ დროზე, როცა მშვენიერი ნანა, თბილისის პირველი გიმნაზიის მოსწავლე, რომელიღაც წლის 29 იანვარს, 15.45 საათზე, როცა პუშკინის გულისძგერა შეწყდა, პოეტის თხოვნას არ შეისმენს და მის ლექსს "Не пой, красавица, при мне ты песен Грузии печальной" წაიკითხავს. და მისი ხმის გამგონე რუსეთი, ქცეული კვლავ დიდსულოვნად და შორსმჭვრეტელად, მასში დაინახავს არა "лицо кавказской национальности"-ს, არამედ მეგობრის სახეს. სამარადჟამოდ. და, როგორც იქნა, დევიც დამშვიდდება. მისი ცოვრების საქმე კი დასრულდება.

როგორ არ ვიწამოთ ბედისწერის?! დიდი პუშკინი და მისი ერთგული რაინდი დევი ერთ დღეს - პარასკევს გარდაიცვალნენ და ერთსა და იმავე დღეს - 1 თებერვალს დაიკრძალნენ.

დამთხვევაა? რა თქმა უნდა.

მაგრამ როგორი სიმბოლური დამთხვევა!

***მელორ სტურუა***
***მინეაპოლისი, აშშ***
***2005 წლის დეკემბერი***

# ეკა და მედია

**ეკა კვესიტაძე**: "დიალოგების" დღევანდელი თემაა ქართული მედიის დღევანდელობა და მისი მდგომარეობა. ჩვენი სტუმრები არიან ჟურნალისტები ია ანთაძე და რევაზ საყევარიშვილი. დისკუსია ამ თემაზე ჩიხში შევიდა, რადგან ორი წელია ერთსა და იმავე საკითხებზე ვსაუბრობთ და, ფაქტობრივად, ვერაფერს ვამბობთ გადაჭრის გზებზე.

**რევაზ საყევარიშვილი**: ვფიქრობ, რომ საუბარი მედიაში არსებული კრიზისის გამო ჩიხში არ შესულა იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ გარკვეული პერიოდის განმავლობაში ის ატარებდა ჩაკეტილი მანკიერი წრის სახეს. ის პრობლემები, რომლებიც მედიის წინაშე იდგა, წარმოდგენილი იყო, როგორც ჩაკეტილი ერთობა სირთულეებისა, რომლების გარეთ გასვლა და გარეშე გამღიზიანებლების გათვალისწინება არ ხერხდებოდა. არის პრობლემები, რომლებზეც ძალიან ბევრია სამუშაო. ეს არის მართვის პრობლემა, მედიასაშუალების, როგორც საზოგადოებაში არსებული სისტემის ხედვა. დღეს ძალიან ძნელია დავასახელოთ მედიასივრცე, რომელსაც ჩამოყალიბებული ხედვა და ჩამოყალიბებული სისტემა ექნება. სწორედ აქედან გამომდინარეობს მრავალი პრობლემა, რომელიც მედიაში არსებობს. იქნება ეს ადამიანური რესურსების მოზიდვა და მართვა თუ მედიის ადგილის განსაზღვრა საზოგადოებაში და არა მხოლოდ იმაზე მოთქმა, რა ძნელია ჟურნალისტისთვის არსებობა ოცდამეერთე საუკუნეში.

**ეკა კვესიტაძე**: რატომ გახდა ასე ძნელი, მედიას თავისი როლი ეპოვა საზოგადოებაში?

**ია ანთაძე**: როდესაც ჟურნალისტი ნახევარ სიმართლეს ამბობს გადაცემაში და ამას გვაწვდის როგორც დიდ გმირობას, რასაკვირველია, ღირებულებები ირევა.

**ეკა კვესიტაძე**: რა ნახევარსიმართლეებზე საუბრობთ? იქნებ მაგალითები დაასახელოთ...

**ია ანთაძე**: ჩემთვის ძალიან ძნელია ჩემს კოლეგებზე საუბარი, რადგან მე რადიო "თავისუფლებაში" ვმუშაობ და საერთოდ არ მაქვს პრობლემა, ნახევარ სიმართლეს ვიტყვი თუ მთელს. ყოველთვის ვამბობ იმას, რაც სწორად მიმაჩნია.

**ეკა კვესიტაძე**: ეს იმიტომ, რომ რადიო "თავისუფლება" არ გთხოვთ, ილაპარაკოთ ნახევრად სიმართლე. ის გთხოვთ, რომ ილაპარაკოთ სიმართლე. რაც შეეხება სხვა მედიაორგანიზაციებს?

**ია ანთაძე**: ფაქტობრივად, საჯაროდ ითქვა, რომ ინტერაქტივი მოიხსნა, რადგან ვიღაცას არ მოსწონდა მისი შედეგები. მალე იგივე ადამიანი იტყვის, რომ მასზე არ არის ზეწოლა. ესაა პრობლემა, რომელიც ცხადია.

**ეკა კვესიტაძე**: ახლა ვგულისხმობთ ინგა გრიგოლიას და მის გადაცემას. ინტერვიუს დროს მას ჩემთანაც უთქვამს, რომ ხელისუფლება უწესებს ჩარჩოებს, მაგრამ ეს არ არის ცენზურა. რას იტყვით ამ ჩარჩოებზე?

**ია ანთაძე**: რას ნიშნავს ეს? საერთოდ არ მესმის. როცა ხელისუფლება გიწესებს ჩარჩოებს, სწორედ ეს არის ცენზურა.

**ეკა კვესიტაძე**: არა, უნდა დავაკონკრეტოთ. როცა ჟურნალისტი უკავშირდება ხელისუფლების წარმომადგენლებს და გარკვეულ თემაზე გადაცემაში სთხოვს მონაწილეობას, ხშირად უარყოფით პასუხს იღებს. მაშინ ჟურნალისტი დგება არჩევანის წინაშე: ან ცალმხრივად უნდა გააშუქოს საკითხი, ან თემა შეცვალოს. არის თუ არა ეს ცენზურა?

**ია ანთაძე**: ეს არ არის ცენზურა. ცენზურა არის ის, როცა მოგიხსნიან იტერაქტივს და გეუბანებიან, რომ რეკავს აგრესიული მოსახლეობა და ნუ შევიყვანთ საზოგადოებას შეცდომაში. აი, ეს არის ცენზურა. როცა ვიღაცა არ მოდის გადაცემაში, ეს ჟურნალისტის პრობლემაა. მან მაინც უნდა შეძლოს საინტერესო გადაცემის მომზადება. თუ ვერ მოახერხებს, მაშინ იძულებულია სხვა გზას მიმართოს, თემა შეცვალოს.

**რევაზ საყევარიშვილი**: ის, რომ რომელიმე საკითხის განხილვაზე ხელისუფლება არ მოვა, არა მგონია, არსებითი პრობლემა იყოს. ეს სწორედ ყველაზე მკვეთრი დაფიქსირებაა იმ პოზიციისა, რომელიც კონკრეტულ შემთხვევაში ხელისუფლებას აქვს. ხელისუფლებას შეუძლია ბევრ თემას აარიდოს თავი, რაც სულაც არ ნიშნავს იმას, რომ არასდროს ამ თემებს არ უნდა შევეხოთ. ყველაზე მთავარი პრობლემები მაინც მედიის შიდა სივრცეშია. როცა ვლაპარაკობთ ღირებულებების აღრევაზე, მაგალითისთვის შეიძლება მოვიყვანოთ "რუსთავი 2".

**ეკა კვესიტაძე**: "რუსთავი 2"-ს ჰქონდა ჩამოყალიბებული ღირებულებები - არ ვგულისხმობ მხოლოდ რევოლუციის დროს. ჰქონდათ თუ არა მის ჟურნალისტებს ჩამოყალიბებული დამოკიდებულება ლიბერალური ღირებულებების მიმართ მანამდე?

**რევაზ საყევარიშვილი**: ვერ ვიტყვი, რომ ამას ჰქონდა მდგრადი ხასიათი. ძირითადად იქაც იმ პოლიტიკას ატარებდნენ, რომელსაც მათი ხელმძღვანელობა ირჩევდა.

**ია ანთაძე**: აქ უკვე მართვის საკითხებს ვეხებით. არის ორგანიზაციები, რომლებშიც მართვას ჰორიზონტალური ხასიათი აქვს და არის ორგანიზაციები, რომლებშიც მართვას ვერტიკალური ხასიათი აქვს. არის ჟურნალისტური გადაწყვეტილება და პოზიცია, სადაც მთავარი თანამონაწილეობა და გუნდური მუშაობაა. მე არ ვიცი, როგორ მუშაობდა "რუსთავი 2", მაგრამ გეტყვით რა მომწონდა მათი წლების განმავლობაში. ის, რომ ყოველ საინფორმაციო გამოშვებას იწყებდნენ ხალხის პრობლემებით, ანუ ხალხისა და საზოგადოების გვერდით, მასთან ახლოს იყვნენ.

**ეკა კვესიტაძე**: ახლა ასე აღარ არის? ახლა რითი იწყებენ?

**ია ანთაძე**: ახლა ყველაზე ხშირად სამხედროფორმიანი ადამიანებით იწყებენ. ან იმ ექსკლუზიური მასალით, რომელსაც ტელევიზიას აწვდიან შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რათა აღინიშნოს მათი წარმატებული საქმიანობა. ერთი სიტყვით, ყოველგვარი კრიტიკული აზრი საფუძველშივე გამორიცხულია.

# A la guerre comme à la guerre

მამუკა ხერხეულიძე



ბესო გულაშვილის ფოტო

დღევანდელ მსოფლიოში სავარაუდო ომის შედეგს, სამხედრო ოპერაციამდე, საერთაშორისო საზოგადოებრივი აზრის მოგება განაპირობებს, რომელსაც ჩვენ რუსეთთან თხუთმეტი წლის მანძილზე ვაგებდით, ამ თვალსაზრისითაც უთანასწორო ბრძოლაში. მოგეხსენებათ, პუტინმა ზამთრის ყველაზე ცივ პერიოდში ენერგეტიკული ბლოკადა მოგვიწყო. თითქოს ამას ელოდაო, მიხეილ სააკაშვილმა საკუთარ ილეთზე წამოილო და ბეჭებზე ისე დაახეთქა, რომ ეს ორთაბრძოლა საერთაშორისო საზოგადოებრივი აზრის თვალსაზრისით რუსეთისთვის კატასტროფული აღმოჩნდა. თავად პუტინი კი ისეთ ნოკაუტში ჩავარდა, მოსკოვში სემინარი დანიშნა ცივილიზაციათა დიალოგის სახელწოდებით და მთელ მსოფლიოში გაბნეული კრემლის ფილიალები - "ალქაიდა", "ჰამასი" "ჰესბოლა", "ალაქსას წამებულთა ბრიგადები", "ეტა" და საქართველოდან პარტია "სამართლიანობა" - დაპატიჟა. მსოფლიოს საერთაშორისო საზოგადოებრივი აზრი პირველად არის საქართველოს მხარეს.

## ომიც და მშვიდობაც

ამ ორ სიტყვას შორის ადამიანები, რა თქმა უნდა, მეორეს ირჩევენ, მაგრამ ეს ბავშვების ცნობილ კითხვას ჰგავს: ტრაქტორი ჯობს თუ "მერსედესი"? შეიძლება დღესა და ღამეს შორისაც გააკეთო არჩევანი - ბოლოს აუცილებლად აღმოაჩენ, რომ ისინი ურთმანეთოდ არ არსებობენ, როგორც კეთილი და ბოროტი. ეს მოცემულობაა.

ომი პოლიტიკის საფუძველი და გადამწყვეტი შემადგენელია. მისი აჩრდილი დამოკლეს მახვილივით კიდია, სამწუხაროდ, ისევ კუნთებზე მაყურებელი სახელმწიფოების თავზე და მაშინაც კი, როცა მოლაპარაკებები კომპრომისებით მთავრდება, მხარეები, პირველ რიგში, მოწინააღმდეგის სამხედრო პოტენციალის გათვალისწინებით იღებენ გადაწყვეტილებას. ასე იყო კაცობრიობის დასაბამიდან და ასე იქნება, რადგან ადამიანი თავად არის დუალისტური - კარგიც, ცუდიც, და, თუ შესაძლებლობა ექნა, თავისზე სუსტს აუცილებლად დაჩაგრავს.

ამის ნათელი მაგალითია რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა, მუდმივ ძალადობასა და ხიშტის ლოგიკაზე აწყობილი. ჩვენს მიწაზე 1799 წლიდან ოკუპანტის ჯარი დგას, ვითომ დასახმარებლად მოსული, რეალურად კი: გაგვიუქმეს სახელმწიფო, წაგვართვეს ავტოკეფალია, სისხლში ჩაახშეს აჯანყებები და გუბერნიად გადაგვაქციეს. ფიზიკურად რამდენი ქართველი ჰყავს ორასი წლის განმავლობაში მოშთობილი რუსეთის იმპერიას, ზღვაში ქვიშის თვლას ჰგავს, მით უმეტეს, თუ გადარჩენილთა უმრავლესობის ნიჭი, მოხერხებულობა და ენერგია დამპყრობელის სამსახურში იფურჩქნებოდა საკუთარი ქვეყნის ღალატის ფასად - ისინიც მკვდრებად ჩაითვლებიან. ისტორიას რომ თავი დავანებოთ, აგერ, ჩვენს თვალწინ, იმავე წითელ არმიას (ანაქრონიზმია, მაგრამ ფაქტია) წართმეული აქვს (სულ მალე - ჰქონდა) ტერიტორიის მესამედი, სადაც ანექსიის თარიღებს სამხედრო ალლუმით აღნიშნავს.

დღეს კი, როდესაც ძველი ლოგიკა აღარ ჭრის და ჩვენი ქვეყანა რეალურად დაადგა თავის ისტორიულ გზას დასავლეთისკენ, ყველა არაცივილიზებული მეთოდის გამოყენებით - მის მიერვე ანექსირებული, უკონტროლო ტერიტორიების შენარჩუნება, სეპარატისტების წაქეზება და მათი ღია მხარდაჭერა, ტერორისტული აქტები, სამოქალაქო ომის გაღვივების მცდელობა (უკვე ამაოდ!), ენერგეტიკული ბლოკადა ყველაზე ცივ ზამთარში (ან იქნებ გაზს საკუთარი მოქალაქეებისთვის ინახავდნენ, როგორც "ნორდოსტში"?), საოკუპაციო (ვითომ სამშვიდობო) ჯარების გაყვანის გაჭიანურება, მეხუთე კოლონის დაფინანსება, - კრემლი ცდილობს წაგვართვას თავისუფლება და კვლავ თავის კრიმინალურ, ჩამორჩენილ სივრცეში დაგვაბრუნოს.

მსოფლიოს ისტორია ომების ისტორიაა. ამ ომების შედეგი განაპირობებდა, თავისუფალი იყო ქვეყანა თუ დაპყრობილი, წარმატებული თუ დამარცხებული, ერთი სიტყვით, ბედნიერი თუ უბედური. ამაზე კამათი არ ღირს, ფაქტია. ქართული სულიერი რენესანსი თუ კულტურულ-მატერიალური კეთილდღეობაც ძლიერი სახელმწიფოს დიადი გამარჯვებების შედეგი გახლდათ. ალბათ ამიტომ ცნობილი ბრძოლების სახელები და თარიღები ჩვენ დღესაც გვავიწყებს ორი საუკუნის წინ უბრძოლველად დათმობილ სახელმწიფოს ანუ ღირსებას და სამშობლოსთან იდენტურობის იდუმალ სიამაყეს იწვევს. დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის შედეგად მოპოვებული თავისუფლება და ღირსება არის საძირკველი, რაზეც შემდგომ შენდება მშვიდობა, ერის, საზოგადოების ყველა შემდგომი წარმატებით, მოქალაქის ინდივიდუალური ბედნიერების ჩათვლით.

საგარეო ვითარება არასდროს ყოფილა ჩვენი ქვეყნისთვის ასეთი ხელსაყრელი. უძლიერესი სახელმწიფო გვიჭერს მხარს! საქართველოს შესახებ მისი ყველა განცხადება ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხით იწყება და მთავრდება. ნიშანდობლივია, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ყველაზე სტაბილურად და პერმანენტულად ჯარის მშენებლობაში გვეხმარება. თავად ამ ქვეყანას - იმ დროისთვის სამმილიონიან ერს - სულ რაღაც ორასი წლის წინ ქვემეხით, ხმლით, ერთსულოვნებითა და თავგანწირვით აქვს მოპოვებული თავისუფლება. სხვა გზა ამ მიზნის მისაღწევად კაცობრიობას ჯერ არ მოუფიქრებია.

ჩვენი საზღვრები ჩვენ უნდა გვეკუთვნოდეს, ოკუპანტი ჯარი ჩვენს მიწაზე არ უნდა იდგეს. გადასაწყვეტია მთავარი პრობლემა: ღირსების აღდგენა, მანამდე ყველა საკითხი ლირიკაა. ქვეყნები არათუ სულიერად, არამედ მატერიალურადაც იმის მიხედვით ცხოვრობენ, ვინ ადრე მოახერხა ტყვეობიდან გათავისუფლება, ვინ - გვიან, ვინ - სანახევროდ. თუნდაც უახლესი "შინაური" ისტორიიდან: ბალტიისპირეთის ქვეყნები დღეს უკვე ნატოს და ევროკავშირის წევრები არიან, არადა, საბჭოეთის ნგრევის პერიოდში ერთნაირი სასტარტო პოზიცია გვქონდა. მათ ეყოთ ნება და ჭკუა, პირველ რიგში დამპყრობელი გაეძევებინათ. შედეგი სახეზეა. ჩვენ სამოქალაქო ომი გავაჩაღეთ, წინა ხელისუფლებები დამპყრობლის ჯარებს და იარაღს საკუთარი ძალაუფლების მოსაპოვებლად ან შესანარჩუნებლად იყენებდნენ. აქაც ნათელი შედეგია - დე ფაქტო სახელმწიფო ვართ 15 წელია, მარიონეტი, რენეგატი და მექრთამე მთავრობები გვყავდა და რევოლუციის შემდეგ ხაზინაში მზესუმზირის საყიდელი რამდენიმე თეთრი იდო, 40 მილიონით ("ატკატებით") დაფინანსებულ ჯარს კი, რომელიც აჯანყებულთა მხარეს გადასვლას თუ მოახერხებდა, ერთი დღის მარაგი ტყვია-წამალი ჰქონდა.

2002 წელთან შედარებით საქართველოს სამხედრო პოტენციალი ათჯერ გაიზარდა.

თავდაცვაზე წელს 400 მილიონზე მეტი იხარჯება. შეძენილია ყველა აუცილებელი საჰაერო თუ სახმელეთო ტექნიკა, ტყვია-წამალი და იარაღი. ამ თვალსაზრისითაც ჩვენ სახელმწიფოებრივ თავმოყვარეობას ვიბრუნებთ. იმ მოსაზრებას, რომ დღეს შეიარაღებული გზით კონფლიქტის მოგვარება ანაქრონიზმია, არ იზიარებენ ჩვენზე ბევრად უფრო განვითარებული ლიბერალური სახელმწიფოები. დასავლური სამყაროს მიერ ყოველ წელს დახარჯული ტრილიონი დოლარი ან ჩრდილოატლანტიკური ალიანსის სამხედრო პოტენციალი რომ არა, მსოფლიოში ომების რიცხვი საგრძნობლად გაიზრდებოდა და, ვინ იცის, მერამდენე უბედურებას ვართ გადარჩენილი მთელი კაცობრიობა.

21-ე საუკუნეში ყველაზე ნეიტრალური, მშვიდობისმოყვარე, უსაფრთხო, მსოფლიოს ყულაბა, შოკოლადივით შვეიცარია ყოველწლიურად შვიდ მილიარდს ხარჯავს თავდაცვაზე, ასაკის, პროფესიისა და ინტელექტის განურჩევლად, ყველა მამაკაცი რეზერვისტია, პერიოდულად გადიან წვრთნებს, მუდმივ მზადყოფნაში არიან და ტყვიამფრქვევები სხვენში უწყიათ, ჩვენი უსაქმური კომბლესავით. ძველი ბერძნებისა არ იყოს, თუ გსურს მშვიდობა, ომისთვის უნდა ემზადო. ინტელექტუალ მემარცხენე პაციფისტებს უნდა შევახსენო მათი კერპი ჩე გევარას სიტყვები: სახელმწიფოს დამოუკიდებლობა ავტომატის ლულიდან იწყება - ამაში კი ნაღდად მართალი იყო არგენტინელი ავანტიურისტი. თავისუფლებას დაცვა სჭირდება. თუ საბრძოლო მზადყოფნა არ გვექნება, კრემლს ისევ გაუჩნდება ცდუნება, მეხუთე კოლონის საშუალებით - როგორც წინა საუკუნეში - საქართველოში სამოქალაქო ომი კიდევ ერთხელ გააჩაღოს. ჩვენი ქვეყნის გამოცდილებაც ასეთია, დამპყრობლის წინააღმდეგ ბრძოლა საშინაო სამოქალაქო ომად გადაიქცეოდა ხოლმე. ასე იყო მეოცე საუკუნის ბოლოსაც, აგერ, ზურგსუკან, დიდი ღალატის საუკუნეში.

ადამიანი უმადურია, უფალი მხოლოდ გაჭირვებაში ახსენდება. მეც ასე ვარ. ჩაცმული ვწევარ ჩვენს საძილე ოთახში, დიდ ტახტზე, ოთხი თვის ფეხმძიმე მეუღლესთან და ჩაძინებულ ორი წლის ბიჭთან ერთად. პირველ სართულზე ვცხოვრობთ, თითქმის ქუჩაში, უნივერსიტეტის პირდაპირ, კეკელიძეზე. ჯერებით ისვრიან აქვე, ახლოს. ადგომა და ხატებთან მისვლა მინდა, მაგრამ ვერ ვინძრევი, ბავშვს არ გაეღვიძოს, თან მკრეხელური აზრები მომდის - რა უფრო მნიშვნელოვანია... წამოდგომა დავაპირე. სროლის ხმა მოახლოვდა. ვარაზისხევის ხიდის ქვეშ სროლის ექო ზარბაზნის ჭურვების აფეთქებას ჰგავს. ჩვენი ფანჯრის ქვეშ გადმოირბინა ვილაცამ და მოაყარეს კიდეც. ტყვიები კედელს ხვდება, ერთი-ორი რკინის გისოსებმაც აისხლიტა. მათ კივილს მსხვილკალიბრიანის მოგუგუნე ჯერები ახშობს. ერთი ტყვიამფრქვევია მგონი, რამდენიმე ავტომატი და ვილაცის განწირული ყვირილი პაუზებს შორის, რომელიც ბევრად მჭახეა, ვიდრე ტყვიების კაკანი. ძლივს ჩაძინებულმა ბავშვმა ისევ გაიღვიძა. აღარ ტირის, დედისგან თავისუფლდება, გაფართოებული თვალებით მიყურებს. ვულიმი. ალბათ, არ გამომდის. უცბად დგება და ფანჯრიდან გახედვას ითხოვს. სასწრაფოდ ვაწვენ და ტყვიაგაუმტარ ჟილეტს ვახურავ. ამ საქმისთვის ვიშოვე. პირველ სართულზე ვართ, ბრმა ტყვია არ შემოფრინდეს. გიგო რომ არ ატირდეს, პისტოლეტიდან მჭიდს ვაძრობ, ვამოწმებ, ლულაში არ დარჩეს ტყვია და სათამაშოდ ვაძლევ. მაია აპროტესტებს, მაგრამ გიგო ისე მოიხიბლა სათამაშოთი, უკან გამორთმევის შანსი აღარ არის. უცნაურია, თითქოს ხვდება, ნამდვილი რომ არის, სათამაშოებს დაუდევრად ექცევა, მძიმე რკინის სასროლს კი ხარბად იკრავს გულში.

სანამ დენი წავიდოდა და თბილისი პირველად დაბრმავდებოდა, აიეტის კაბელით ეურონიუსს ვუყურებდით. გამოფენებია მადრიდში, ბერლინში, რომში. როტერდამში U2 მართავს კონცერტს, ბონო აფრიკის გაჭირვებაზე საუბრობს. ყველაფერი შედარებითია, საქართველოზე უბედური კუთხე არ მეგულებოდა და თურმე სამოთხეში ვართ. ამსტერდამში შუა ზამთარში ყვავილების ფესტივალია, უცნაური ტიტების ავტობანები, მელნისფერი კვირტები ასეულობით კილომეტრზე. ყვავილების ქვეყანა ჩოქვით შემოვიარე, მგონი, ჰოლანდიელის დაწერილია, აბა, თბილისში მტვრიანი ჭადრების გარდა მცენარე არ ხარობს. ისევ ისროლეს... ერთხელ როტერდამის სტოკმარკეტი ტიტას ასტრონომიულმა ფასმა დაანგრია. ბრიუსელში ქალაქის გაყოფას ითხოვენ ბელგიელი "შოვინისტები", არადა, სხვა ქვეყნების სეპარატისტებს აქ არიგებენ. პრემიერი სიტყვას ფრანგულად იწყებს, ფლანდრიულზე გადადის, ან პირიქით. დაძაბულობა უმაღლეს ზღვარს აღწევს, შეიძლება ყვავილების სროლა დაუწყონ ერთმანეთს. ჩვენთანაც ამას აპირებდნენ ვითომ, მაგრამ "კალაშნიკოვები" დაიყარა ტიტების ნაცვლად, იების ნაცვლად კი - მაკაროვები. ორივე მხარე ვაზიანში, რუსეთის ბაზაზე ყიდულობს იარაღს. ეს ძველისძველი ტაქტიკაა, გეორგიევსკის ტრაქტატამდე პუშკინის ბაბუამ საქართველოში იმოგზაურა, შეისწავლა კავკასიური ტომები - ასე მოიხსენიებს საქართველოსაც - და საიდუმლო გრიფით, დაპყრობის წერილობითი გეგმა მიართვა იმპერატორს: "კავკასიის დასამონებლად საჭიროა იარაღი დაურიგოთ აბორიგენულ ტომებს. ისინი ერთმანეთის ხოცვას დაიწყებენ და ჩვენც მათ გასაშველებლად შევალთ". ეს ორი საუკუნის წინ იყო და დღესაც მშვენივრად მუშაობს.

ქუჩაში სროლა გრძელდება. ბრძოლამ უნივერსიტეტამდე მოაღწია. უკვე ერთი თვეა, შუა ქალაქის ცენტრში, პარლამენტის შენობასთან ომი დაიწყო. სამოქალაქო ომის გამღვივებელი თეორეტიკოსები, ორკაციანი პარტიის ლიდერები, სადღაც საბურთალოზე ან ვაკეში, თუნდაც ვერაზე ან კიდევ სადღაც ტრაკში გადახვეწილი, სამზარეულოებში ვირთხებივით შემძვრალი რაღაცისტები თუ ვილაცისტები, ომის დამთავრებას ელოდებიან. შემდეგ გამარჯვებული მხარის შტაბში ტურებივით მიხროვდებიან, რამე თანამდებობას ან ბიზნესს გამოჰკრავენ ხელს. ახლა ქუჩებში პატარა ბიჭები ესვრიან ერთმანეთს. ამათ აფხაზეთში გავიცნობ მომავალ წელს, ახალგაზრდობადაკარგულ და არაპროფესიონალ სამხედროებს. ვინც იქ გადარჩება, ამ ომების სულისჩამდგმელი ხელისუფლება ციხეებში გამოამწყვდევს. დღეს კეკელიძეზე ოთხი ბიჭი ჩაცხრილეს მანქანაში. მათგან ორს ვიცნობდი. ეს ოთხი მართლა საკრალური ციფრი გახდება. სულ ოთხ-ოთხს ბრიდავენ. და ეს კარგა ხანს გაგრძელდება. გაიგე, ისმის ყოველდღე, ოთხნი მოუკლავთ პლეხანოვზე, ვერაზე, სოლოლაკში, საბურთალოზე, ვაკეში, ყველა უბანში... მერე მთელ საქართველოს მოედება ოთხები. ორივე მხარეს ქართველები არიან, თბილისელებს თითქმის ყველას ვიცნობ. რა ვქნა, არ ვიცი, ან ჩემი ამხანაგები არიან, ან ჩემი ძმებისა. უმეტესობა ჩვენთან, სახლშია ნამყოფი, ამჟამად სომხეთში გაქცეული პრეზიდენტის ჩათვლით.

თბილისის ზღვის გენერალი ჩემგან ათ მეტრში ცხოვრობს, აკაკი შანიძის სახლში. სალმით ვიცნობ. შუაღამეს აივნიდან ისეთი ხმაურით იფურთხებოდა, მგონი, მთელ კეკელიძის ქუჩას აღვიძებდა. ხიდისქვეშა ექოც იმეორებდა პრეისტორიული ცხოველის ნახველამოხეთქვას. პირველად ტელევიზიასთან რომ ჩამოვიდა ჯარით, მე და ვატო მივედით სანახავად. მთელი თბილისის სვეტები იქ იყვნენ - მსახიობები, რეჟისორები, მწერლები, ამათი ფანები, ცოტა სასაცილოები, სანადირო გლუვლულიანი თოფებით, პატარა, ხუთი ნომერი პისტოლეტებით, თეთრი გრძელი პლაშჩებით, კისერში ჩაფენილი ბენდენებით. მერე, ნამდვილი ომის დროს, ამათ ვეღარავინ ნახავს. საღამოს რუსთაველზე გავისეირნეთ და აქაც სანადიროთოფიანი ქართველები ვნახეთ, ოღონდ არა თბილისელები, რაიონებიდან ჩამოსული ნაღდი მონადირეები, რეზინის "ვალინკებით".

უკვე ნათელი იყო, როგორც პატარძალს არ ასცდება, ომის გარეშე ვერ გადავრჩებოდით.

ამ ორ ცხელ წერტილს შორის, ზემელის მიდამოებში, აპოლიტიკური ქუჩის ბიჭები ანარქიის მოლოდინში ხელებს იფშვნეტდნენ და რუსული ანდაზის პერიფრაზს იმეორებდნენ: საცა ვიწრო იყოს, იქ გაწყდესო. ან ნაღდი ქალაქურით: ბებერ ბოზს დიდი იმითი აშინებდნენო. ჰოდა, ისე აგიხდეს ყველაფერი, ვიწროში გაწყდა, როგორც ამ ანდაზის მშობელ ქვეყანას ჰქონდა ჩაფიქრებული და სანადირო თოფები რუსების მიერ ორივე მხარისთვის დარიგებულმა "კალაშნიკოვებმა" შეცვალა.

სვეტები სადღაც გაქრნენ, თავად ბებერი ბოზი კი ამას აღარ ელოდა, ცოტა ხანში მართლა შეშინდა, მაგრამ უკვე გვიან იყო და სულ მალე პუტანკად გადაიქცა.

თორემ "კალაშნიკოვიც" ნაშოვნი მაქვს. აქვე, ლოგინთან მაქვს მიყუდებული აკ-74. ისეთი ახალია, საწოლში გადატრიალებისას მისი სუნი მცემს, მოტკბო-მომჟავო. მაგრამ რად გინდა, ვის ვესროლო?! სოლონის კანონი მახსენდება - თუ ქალაქში დაპირისპირებაა, მოქალაქე, რომელიც, არც ერთ მხარეს არ დგას, გაძევდეს ქალაქიდან, ვინაიდან გულგრილობა უარყოფითი მაგალითია მომავალი თაობისთვის.

ქუჩა ძაღლების სამფლობელოა.

სროლა შეწყდა, მერე ყვირილიც. მძინარე გიგოს პისტოლეტი ფრთხილად ამოვაცალე ხელიდან, მჭიდი შევაცურე, უხმაუროდ მივკეტე და ქამარში გავირჭე. ჩაცმული ვიწექი სიმონა დოლიძესავით. ავდექი და ფანჯარასთან მივედი. უკუნი სიბნელეა. არავინ ჩანს. მაწანწალა ძაღლები მომრავლდნენ, ჩვენი დრო მოვიდაო, ორგანიზებულად დაძრწიან. ჩვენი უბნის ძაღლებს ვცნობ, მაგრამ უცხოებიც შემატებიან, ყოფილი შინაურები. ერთ დროს ალბათ თეთრი, ახლა ტალახიანი, წითელბაფთიანი ბალონკა, დობერმანი, ესეც ტყავის ყელსაბამით, და მონადირე დრადხარი, მაგარი ბინძური. დიდი ბანდაა. სტოსი ქუჩის "დვარნიაშკას" მიჰყავს, რომელიც ჩვენს ეზოში ათევდა ხოლმე ღამეებს, მაგარი "უვიდო" ვინმეა, გაურკვეველი ფერების და ჯიშთა ნაჯვარი, ბავშვები რომ ხატავენ ხოლმე აკვარელით, ნამდვილი ძაღლი. ცოტა ხნის წინ ორსულად იყო, ძლივს დალასლასებდა. მერე ლეკვები დაყარა და ეზოს ბავშვები უვლიდნენ. ვის რძე ჩამოჰქონდა სახლიდან, ვის - კატლეტი, ვის - სახლიდან მოპარული ძეხვი. ძალიან ლამაზები იყვნენ. მერე გაბანძდებიან, მშობლებს დაემსგავსებიან. ამ ბოლო დროს ლეკვები არსად ჩანან. ეტყობა, სადღაც გადამალა ამ არეულ დროში. კიდევ რამდენიმე ქუჩის ძაღლი ურევია ამ კუტოკს, ვითომ ჯიშიანები, რომლებიც სახლიდან გამოქცეულებზე უფრო "ზლატნოები" არიან და იერარქიაში ბალონკაზე ან დრადხარზე მაღლა დგანან, მაგრამ, როგორც ვთქვი, ამათი ბელადი ის მრავალლეკვიანი დედაა. ყველა მას ეტორღიალება. ეს შეუღრენს და ისინიც წკავწკავით შორიახლოს გახტებიან. შემდეგ ისევ აეკიდებიან და კუდში მისდევენ. ქუჩაში კაცის ჭაჭანება არ არის.

ფანჯარას მოვშორდი. სანთელი ბჟუტავს ოთახში და კედლებზე ავი ჩრდილები დაბორიალებენ. ისევ ყვირილი, სროლა და ძაღლის განწირული წკავწკავი გაისმა. ჩქარი ნაბიჯების ხმა სიჩუმემ შეცვალა. სარკმელი გამოვაღე და გადავიხედე. აკვარელის ძაღლი სახლის კედელთან ეგდო ზურგით, სარდაფის ჩასასვლელთან. ოთხი შეშინებული ბომბორა ლეკვი ჩამოძენძილ ძუძუებს ულოკავდა უხმოდ. ქალაქში დენი არ არის. დღეს პირველად გაითიშა და, როგორც მერე აღმოჩნდება, თბილისი ათი წლით დაბრმავდა. ქუჩაში გასვლა მინდა, აკ 74-ს გადავიკიდებ მოჯაჰედივით და გავალ, ვითომ არაფერი. სანთელი ჩავაქრე და ბრმა ეზოში გავედი. მხოლოდ ერთ სარკმელში ბჟუტავს სინათლე, ალბათ ლამპა - ერთი საუკუნით უკან დავიხიეთ.

ცივა. 19 იანვარია. ძველით ახალი წელი გასულია. ორივე ბედობას მაგარი სროლებით შეხვდა თბილისი. ყველანაირი იარაღი ისროდა. ცა დაფლითეს ძველმა ქალაქელებმა. ეს წინა საუკუნეა, დღეს კი:

"თუ გვსურს მშვიდობა, **მტერთან** ომისთვის უნდა ვემზადოთ".

**P.S.** დღეს დილით ქართულმა სამხედრო ნაწილებმა, საჰაერო დესანტის გამოყენებით, დაიკავეს საზღვრები როკის გვირაბთან და მდინარე ფსოუზე. საქართველომ აღიდგინა თავისი ტერიტორიული მთლიანობა, აღსრულდა ისტორიული სამართლიანობა და მრავალსაუკუნოვანი განმათავისუფლებელი ბრძოლა წარმატებით დაგვირგვინდა. **"24 საათი", 2 იანვარი, 2007 წელი.**

**საღლესასწაულო გასართობი ცენტრი "ბეიბი ლენდი"**

**საუცხოო მენიუ და ფანტასტიური მომსახურება**

**გართობა ასაკის მიხედვით (2-დან 15 წლამდე)**
**ჯამბაზი ამერიგო, თოჯინების თეატრი, "გამოიცანი მელოდია", კარაოკე, ინტელექტუალური თამაშები, ქართული "ფორტი ბოაიარდი"**
**მენიუ 6 ლარიდან**
**"ბეიბი ლენდი" - საოცრებათა სამყარო თქვენი ბავშვებისთვის**
**ტელ.: 36 34 57, 8 77 46 32 98**
**მისამართი: კოსტავას ქ. 67 (ტელევიზიის პირდაპირ)**

**სწავლა ლონდონში**
**London school of Commerce (LSC)**

London School of Commerce (LSC) დივიზიონი, ტექნოლოგიისა და მენეჯმენტის სკოლა (STM) გიწვევთ ხარისხის მოსაპოვებლად შემდეგი პროგრამების ფარგლებში ტექნოლოგიისა და მენეჯმენტის სკოლის (ლონდონი) კამპუსი მდებარეობს ლონდონ ბრიჯთან. ეს ის ადგილია, სადაც ლონდონის ღირსშესანიშნაობებია თავმოყრილი. პროგრამები ბაკალავრის ხარისხის მოსაპოვებლად ხორციელდება. UNIVERSITY OF SUNDERLAND (გაერთიანებული სამეფო) უნივერსიტეტთან ერთად, ხოლო პროგრამები მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად ხორციელდება LIVERPOOL JOHN MOORES UNIVERSITY (LJMU) და UNIVERSITY OF EAST LONDON (UEL) უნივერსიტეტთან ერთად.

პროგრამები ცხადდება წელიწადში სამჯერ - აპრილი/აგვისტო/ნოემბერი. მორიგი კურსის დაწყების თარიღია 2006 10 აპრილი.

**MBA**

- მარკეტინგი
- ფინანსები
- საერთაშორისო მენეჯმენტი

**სრული კურსის ფასი £4950**
**ხანგრძლივობა 1 წელი**

ბიზნესისა ან ბიზნესინფორმაციული ტექნოლოგიების პროგრამების ფარგლებში ბაკალავრის ხარისხის მოსაპოვებლად 2-წლიანი დაჩქარებული კურსის BA(HONS)BS, BSc BS. მთლიანი ღირებულებაა £ 5950. ზემოთ აღნიშნული თანხის გადახდა შესაძლებელია ეტაპობრივად. იმ სტუდენტებისათვის, რომლებიც ზემოაღნიშნული პროგრამებით სწავლობენ, ერთწლიანი ინტენსიური ინგლისური ენის კურსის გავლა შესაძლებელია დამატებითი £ 1000 -ის გადახდის შემდეგ. იმ სტუდენტებისათვის, რომელთაც მაღალი აკადემიური მოსწრება არა აქვთ, ხელმისაწვდომია მოსამზადებელი პროგრამები.

**დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით:**
ნონა მესხიშვილი / ტექნოლოგიის და მენეჯმენტის მიმღები განყოფილება
მის: თბილისი, ვაჟა-ფშაველას 45, მე-5 სართული, ოფისი 504. ბრიტანეთის სახლი
**ტელ: + 995 32 42 00 50**
**ტელ/ფაქს: + 995 32 42 00 40 , მობ. + 995 77 42 35 69**
**Email: info@stmlondon.co.uk**
**Email: nona-STM@mail.ru**

**გაზეთ "24 საათის" 8 თებერვლის გაზეთში გამოქვეყნდა სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის განცხადება კომპიუტერების შესყიდვაზე, სადაც გაიპარა ბეჭდვითი შეცდომა. მე-3 პუნქტი ასე უნდა იკითხებოდეს:**

3. "შენიშვნა: ტენდერის **პირველ და მე-4 ლოტებზე** დასაშვებია მხოლოდ პირველი ეშელონის მწარმოებლების ("ბრენდის") წარმოდგენა". კომპლექტი (კლავიატურა, მაუსი, პროცესორი, მონიტორი) უნდა იყოს ერთი და იმავე მწარმოებლის.

# იაშვილების სამი თაობა "კოპალაში"



სამსონ ლეჟავა

გალერეა "კოპალა" მასპინძლობს მარიკა, მიშა და ქეთინო იაშვილების გამოფენას.

ქალბატონი მარიკა პროფესიით ექიმია, მაგრამ სერიოზულ ინტერესს იჩენს ფერწერისადმი, რაც კარგად გამოჩნდა მის მკაფიოდ დეკორატიულ, ჟღერად, უდავოდ ორიგინალურ ნატურმორტებში.

რაც შეეხება მიშა იაშვილს: იგი ოთხმოციანელთა კარგად ცნობილი თაობის წარმომადგენელია. მე ყოველთვის ინტერესით ვადევნებდი თვალს მისი მხატვრობის ტრანსფორმაციებს: თავიდან იზიდავდა ძველებურ ინტერიერთა წარმავლობისა და სიფაქიზის "სული", გამოხატული ოდნავ მქრქალი ესთეტიკით გაკეთილშობილებული, სადა სურათებით, რომლებშიც ჩანდა სიღრმითი დამოკიდებულება იმ სამყაროსადმი, რომელიც უკავშირდება მომზიდველ გარემოს თბილისური უბნებისა, რომელთა დიდი ფასეულობა, თავის განუყოფელ მთლიანობაში, დღეს ცოტასღა თუ ესმის. მიშას მხატვრობის სიფაქიზე უმეტესად სწორედ იმ ატმოსფერომ განსაზღვრა, რომელშიც იგი აღიზარდა. მახსოვს მისი თავისებური ექსპერიმენტებიც - როცა ავტორი სახეცვლილი საგნობრივი საწყისისა და თავდაჭერილი ფერწერის ორგანული შეხამებით, ერთგვარად "განაგრძობდა" თავისი გარემოს სპეციფიკური "არომატის" მოხელთებას და საკუთარი ნაწარმოებებით იმ ტრადიციის ახლებურ ვერსიებს გვთავაზობდა, რომლებიც, როგორც შემოქმედისთვის, ესოდენ ძვირფასი იყო მისთვის. მიშას სერიოზული ინტერესის სფერო იმთავითვე იყო აღმოსავლური ხელოვნება - უფრო იაპონური და ჩინური. მის დახვეწილ კალიგრაფიაში ეს გატაცება არასოდეს ყოფილა ზედმეტად თვალსაჩინო ან გამოკვეთილი, პირიქით, იგი ერთგვარად შეფარული, თუმცა გამამდიდრებელი ტენდენციის სახით არსებობდა, როგორც მხატვრობაში საკუთარი სამეტყველო ენის შემადგენელი საწყისი. ეს ბოლო დროის აბსტრაჰირებულ სურათებში უკვე ახლებური ნაკადის სახით დამკვიდრდა.

მიშამ ამ გამოფენაზე მსგავს ნამუშევრებს დაურთო თავისებური, დატვირთული ტექსტები, რომლებიც დაუკავშირდა მის სულიერ გამოცდილებას, ნაფიქრალს, განცდილს, წაკითხულს, აღქმულსა თუ გათავისებულს. ამ გზით ერთგვარი მრავალგანზომილებიანობაც შეიძინა რიგმა ქმნილებებმა.

ყოველთვის მომწონდა მიშა იაშვილის არაორდინარული აკვარელები - თავისი გაბედულებით, ტექნიკურ მიგნებათა მხატვრული დატვირთვით, ბოლო დროს კი მსხვილმასშტაბიანობაში ჩენილი ახალი შესაძლებლობებით -სტანდარტებისა და ჩვეული მიდგომების უეჭველი გარღვევით.

ამ გზაზე მიშას ტოლს არ უდებს ქეთინო იაშვილი, რომელიც მხატვრულად შთამბეჭდავი, ძლიერი, ეფექტურად დიდი ზომის აკვარელების ავტორია. გამოვყოფდი მის ერთ ჩინებულ, უზარმაზარ ნატურმორტს, რომელიც პირდაპირ ასხივებს სასიკეთო ენერგიას. იგი თავისებურად აქტიური, ერთგვარად გამოაშკარავებული ჰარმონიის მატარებელია...

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. შ.პ.ს. "აჭარის ენერგოკომპანია" (ქ. ბათუმი, ბაგრატიონის 103) აცხადებს ღია ტენდერს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

ლოტი 1. სატრანსფორმატორო პუნქტებისა და ქვესადგურების შენობების სახურავების შეკეთებასა და გადახურვას, ასევე სატრანსფორმატორო პუნქტის დემონტაჟს და ახალი სატრანსფორმატორო პუნქტის მშენებლობას და ექსპლოატაციაში გაშვებას, იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს;

2. მიწოდების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2006 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდი;

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება, ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, დალუქული პაკეტებით უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 6 მარტიდან 2006 წლის 7 მარტის 18.00. საათამდე, შემდეგ მისამართზე, ქ. ბათუმი, ბაგრატიონის N103. ( შ.პ.ს. "აჭარის ენერგოკომპანიის" მარკეტინგის კოორდინატორი);

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

4.1. იურიდიული პირისათვის:

ა.) ცნობას, რომ არ მიმდინარეობს ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის რეგორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ გაკოტრებისა და სანაციის საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას სასამართლოდან, საგადასახადო ინსპექციიდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);

ბ.) ცნობას შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ ( ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საჯარო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ);

გ.) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;

დ.) ცნობას საქართველოს შსს-ს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ხელმძღვანელი მუშაკები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულები და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისთვის;

4.2 ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობას შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ პიზკური პირი ქმედითუნარიანია;

ბ) ცნობას, რო მის მიართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს რაიონული სასამართლოდან);

გ) ცნობას საქართველოს შსს-ს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისთვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმატიზაციის სამმართველოდან).

4.3 როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) ცნობას მონაწილის იურიდიული სტატუსის შესახებ (რეგისტრაციის მოწმობის ასლი);

გ) ცნობა შესაბამისი საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტისადმი დავალიანების არქონის შესახებ;

დ) ინფორმაცია ანალოგიური სამუშაოების წარმოების გამოცდილების შესახებ (სამუშაოების მითითებით, რომელიც შესრულებული იქნა მონაწილეობის მსურველი პირის მიერ);

ე) ინფორმაცია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ (აუდიტორული დასკვნა).

5. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება 2006 თებერვლამდე ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის (ქ. ბათუმი ს.ს "საქართველოს ბანკი" ბათუმის ფილიალი, საიდენტიფიკაციო კოდი N245435088, ანგარიშსწორების ანგარიში N5467332, ს.ს "საქართველოს ბანკის" კოდი N220101506 დანიშნულება სატენდერო მოსაკრებელი) გადახდის შემდეგ შეეძლებათ მისამართზე: ქ. ბათუმი, ბაგრატიონის ქუჩა N103.

6. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისგან - ჯოვანი ჟღენტი. ტელ: +995 222 7-14-20, 899 65 00 20. მის: ქ. ბათუმი, ბაგრატიონის N103.

**სატენდერო კომისია**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**საქართველოს პროკურატურა (მის: ქ. თბილისი, ვ. გორგასლის ქ. N24) აცხადებს ტენდერს სხვადასხვა სახის ავტოსატრანსპორტო საშუალებების მომსახურების (სერვისის) შესყიდვაზე და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს მონაწილეობის მისაღებად.**

1. მომსახურების ობიექტი და გაწევის ადგილი:

| ლოტი I | დასახელება | რაოდ | მომსახურების ადგილი |
|---|---|---|---|
| 1 | "ლექსუს " LX 400 | 1 | ქ. თბილისი |
| 2 | MITSUBISHI PAJERO 3000 V6 | 1 | |
| 3 | "ტოიოტა ავენსის" 1.6 | 3 | |
| 4 | "ტოიოტა კამრი"" XLI | 1 | |
| 5 | "ტოიოტა კამრი"" CSI | 2 | |
| 6 | "ტოიოტა კამრი"" 2.4 | 2 | |
| 7 | "ნისან იქს-თრეილ" | 1 | |
| 8 | "ჰუნდაი-გალოპერ" | 1 | |
| 9 | "ჰიუნდაი ტუკსონ" 2.0 GLS | 3 | |
| 10 | MERCEDES-BENZ C 280 | 1 | |
| 11 | MERCEDES-BENZML-320 | 3 | |
| 12 | MERCEDES-BENZ E 320 | 2 | |
| 13 | MERCEDES-BENZ 230 | 3 | |
| 14 | MERCEDES-BENZ 230 E | 1 | |
| 15 | MERCEDES-BENZ 200 | 3 | |
| 16 | MERCEDES-BENZ 280 | 1 | |
| 17 | MERCEDES-BENZ C 180 | 2 | |
| 18 | MERCEDES-BENZ 200 E | 5 | |
| 19 | MERCEDES-BENZ 220E | 5 | |
| 20 | MERCEDES-BENZ C 220 | 1 | |
| 21 | MERCEDES-BENZ 300 D | 1 | |
| 22 | MERCEDES-BENZ 300 E | 1 | |
| 23 | "ფოლკსკვაგენ ვენტო" 1.8 | 2 | |
| 24 | "ფოლკსკვაგენ GOLF 1.8 | 1 | |
| 25 | "ფოლკსკვაგენ პასატი" 1.6 | 1 | |
| 26 | "BMW-525 | 2 | |
| 27 | "BMW-530 | 1 | |
| 28 | BMW-5281 | 1 | |
| 29 | "ოპელ ომეგა" 2.01 | 1 | |
| 30 | "ოპელ ვექტრა" | 3 | |
| 31 | "ოპელ ფრონტერა" | 1 | |
| 32 | "კია აველა" | 1 | |
| 33 | "კია ბესტა" | 1 | |
| 34 | "ოპელ ომეგა" | 2 | |
| 35 | "კია კლარუს" | 1 | |
| 36 | "კია სეფია"1.5 | 1 | |
| 37 | "კია სეფია" SLX | 1 | |
| 38 | გაზ-3110 | 6 | |
| 39 | გაზ-31029 | 1 | |
| 40 | გაზ-31053 | 2 | |
| 41 | გაზ-24 | 1 | |
| 42 | გაზ-3102 | 1 | |
| 43 | გაზ-3110 | 1 | |
| 44 | გაზ-31029 | 6 | |
| 45 | ვაზ-21214 | 1 | |
| 46 | ვაზ-21213 | 8 | |
| 47 | ვაზ-2107 | 13 | |
| 48 | ვაზ-2106 | 4 | |

| ლოტი II | დასახელება | რაოდ | მომსახურების ადგილი |
|---|---|---|---|
| 1 | ვაზ-21213 | 5 | ქ. თელავი |
| 2 | გაზ-3110 | 1 | |
| 3 | გაზ-31029 | 3 | |
| 4 | გაზ-24 | 1 | |

| ლოტი III | დასახელება | რაოდ | მომსახურების ადგილი |
|---|---|---|---|
| 1 | ვაზ-21213 | 7 | ქ. ქუთაისი |
| 2 | ვაზ-2107 | 3 | |
| 3 | გაზ-3110 | 1 | |
| 4 | გაზ-24 | 1 | |
| 5 | გაზ-31029 | 5 | |

| ლოტი IV | დასახელება | რაოდ | მომსახურების ადგილი |
|---|---|---|---|
| 1 | ვაზ-21213 | 4 | ქ. ზუგდიდი |
| 2 | ვაზ-2107 | 3 | |
| 3 | გაზ-31029 | 2 | |

| ლოტი V | დასახელება | რაოდ | მომსახურების ადგილი |
|---|---|---|---|
| 1 | ვაზ-21213 | 2 | ქ. გორი |
| 2 | გაზ-3110 | 1 | |
| 3 | ვაზ-2107 | 1 | |

| ლოტი VI | დასახელება | რაოდ | მომსახურების ადგილი |
|---|---|---|---|
| 1 | ვაზ-21213 | 2 | ქ. ახალციხე |
| 2 | ვაზ-2107 | 1 | |

**2.** მომსახურების გაწევის ვადები - ხელშეკრულების გაფორმებიდან ეტაპობრივად წლის ბოლომდე.

**3.** დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ ჩარიცხონ სატენდერო მოსაკრებელი 200(ორასი) ლარის ოდენობით ფინანსთა სამინისტროს სახაზონო სამსახურში, რომლის რეკვიზიტებია: ეროვნული ბანკი, სახაზინო კოდი: 302003000, ანგარიშსწორების ანგარიში N200122900, მიუთითოთ საქართველოს გენერალური პროკურატურის სატენდერო მოსაკრებელი და წარმოადგინოთ თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი 2006 წლის 13 თებერვლის 12:00 საათიდან 4 მარტის 13:00 საათამდე, ქ. თბილისი, გორგასლის N24, რის შემდგომაც გადმოგეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია.

**4.** პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2 (ორი) ეგზემპლარად (ერთი ეგზემპლარი ორიგინალი, მეორე ეგზემპლარი - ქსეროასლის სახით) 6 მარტის 10:00 საათიდან 12:00 საათამდე. მის: ქ. თბილისი, საქართველოს გენერალური პროკურატურა, გორგასლის ქ. N24, ოთახი N200.

**5.** საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

ა) ცნობა საჯარო რეესტრიდან, მონაწილე პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ.

ბ) ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

**6**. პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შესაბამებიან სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს

**7.** დაფინანსების წყარო - სახელმწიფო ბიუჯეტი.

**8.** ტენდერის შედეგად შესაძლებელია გამოვლინდეს ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული.

**9.** დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ლაშა ჯინჯიხაძე ტელ. *93-24-85*, *893 26-22-80*.

**სატენდერო კომისია**

1 უცხო ქვეყნების წარმომადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1.საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი ( ქ. თბილისი, ა. წერეთლის გამზ. N144) აცხადებს ღია ტენდერს სამსახურის კუთვნილი ავტოსატრანსპორტო საშუალებების საწვავით უზრუნველსაყოფად და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს მონაწილეობის მისაღებად.

დაფინანსების წყარო - სახელმწიფო ბიუჯეტი.

2. **შესყიდვის ობიექტია ბენზინი (პრემიუმი, A-95) 65 000 (სამოცდახუთი ათასი) ლიტრი და თანმდევი სააღრიცხვო მომსახურება.**

3. საქონლის მიწოდებისა და თანმდევი მომსახურების გაწევის ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2006 წლის 31 დეკემბრამდე საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

4. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე. მონაწილეობის მსურველმა პირებს სატენდერო დოკუმენტაციის მიღება შეეძლებათ 2006 წლის 6 მარტის 17 საათამდე, მას შემდეგ, რაც გადაიხდიან 200 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებელს შემდეგ ანგარიშზე: ანგ. N200122900, საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი 220101107, სახაზინო კოდი 302003000, გადახდის დანიშნულება-სატენდერო მოსაკრებელი, საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი. სატენდერო დოკუმეტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეეძლებათ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ა. წერეთლის გამზ. N144. მეექვსე სართული, ოთახი 607.

5. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება (ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად) უნდა წარმოადგინონ არაუგვიანეს 2006 წლის 7 მარტის 10 საათიდან 13 საათამდე.

6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

6.1 იურიდიული პირისათვის:

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) სასამართლოს ან შესაბამისი მარეგისტრირებელი ორგანოს დადგენილება შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;

გ) ცნობა, რომ არ მიმდინარეობს შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საგადასახადო ორგანოდან, რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);

დ) ცნობა, რომ ამ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრებისა და სანაციის საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას სასამართლოდან რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);

ე) ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);

ვ) ცნობას, რომ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ ყოფილან მსჯავრდებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმატიზაციის სამმართველოდან);

6.2 ფიზიკური პირისათვის;

ა) ცნობას, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არა აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა (შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან);

ბ) ცნობას, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმატიზაციის სამმართველოდან);

გ) ცნობა, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საქალაქო (რაიონული) სასამართლოდან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით);

6.3 როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის;

ა) ცნობა შესაბამისი საგადასახადო ორგანოდან, ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ.

ბ) ინფორმაცია საქართველოს ტერიტორიაზე არსებული სადგურების საკუთარი ქსელის შესახებ (მისამართების მითითებით).

გ) საქონლის ხარისხის შესაბამისობის სერთიფიკატი.

7. ყველა საკვალიფიკაციო მონაცემი წარმოდგენილი უნდა იქნას სამ ეგზეპლარად: ერთი ეგზემპლარი ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით, ხოლო დანარჩენი ორი ეგზემპლარი - ქსეროასლის სახით.

8. პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ ძირითადი ასევე ალტერნატიული წინადადებება (წინადადებები).

9. ტენდერში გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

10. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან - შოთა ჯორჯიკია, ტელ. 69-4871. მისამართზე: საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი ქ. თბილისი, ა. წერეთლის გამზ. N144. მეექვსე სართული, ოთახი 607; E-mail: Procurement-Ge@yahoo.com .

***სატენდერო კომისია***

# შპს "საქართველოს რკინიგზის" ბალანსზე რიცხული ქ. თბილისის ცენტრალური ვაგზლისა და ბორჯომის ვაგზლის შენობების ნაწილის იჯარით გაცემის საკონკურსო პირობები

ინფორმაცია საიჯარო ქონების შესახებ:

ქ. თბილისის ვაგზლის მოედანი N2-ში მდებარე ცენტრალური ვაგზლისა და ბორჯომის ვაგზლის შენობები. საერთო სასარგებლო ფართი შეადგენს 54 858.3 კვ/მ. შენობაზე დამაგრებული მიწის ფართი 37 719 კვ/მ.

საკონკურსო პირობები:

1. შენობა-ნაგებობების საწყისი საიჯარო ქირა მიწის ნაკვეთთან ერთად წელიწადში შეადგენს 490 000 აშშ დოლარის ექვივალენტურ თანხას ლარებში. საიჯარო ქირა გადაიხდება ყოველთვიურად (თვეში 40833.00 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში) ანგარიშსწორების დროისათვის ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით (დღგ-ს გარეშე). ამასთან პირველი 2 წლის განმავლობაში მოიჯარე გადაიხდის საიჯარო ქირის 50%-ს, ხოლო შემდგომი 3 წლის განმავლობაში დაფარავს საიჯარო ქირის გადახდასთან დაკავშირებით წარმოქმნილ სხვაობას. "ბეს" თანხა შეადგენს 100 000 ლარს. საიჯარო ქირის ოდენობა მეიჯარის მოთხოვნით გადაიხედება ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ორგანოს მიერ დადგენილი ეროვნული სამომხმარებლო ფასების ინდექსის მიხედვით, რისთვისაც ბაზისად აღებული იქნება 2006 წლის იანვრის თვის მაჩვენებელი.

2. შენობის 3290 კვ/მ ფართი რჩება შპს "საქართველოს რკინიგზის" სარგებლობაში რაზედაც მოიჯარეს საიჯარო ქირა და სხვა გადასახდელები არ გადაეხდევინება. (საწყისი საიჯარო ქირა გაანგარიშებულია აღნიშნული ფართის გამოკლებით). შენობების პასპორტის მიხედვით შპს "საქართველოს რკინიგზის" მფლობელობაში დარჩენილი ფართის სქემატური გეგმა წარმოადგენს საიჯარო ხელშეკრულების გაფორმებისას მის განუყოფელ ნაწილს და ქვეყნდება საკონკურსო პირობებთან ერთად.

3. მოიჯარე საკუთარ თავზე იღებს შპს "საქართველოს რკინიგზის" მიერ იმ იურიდიულ თუ ფიზიკურ პირებთან მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად გაფორმებული საიჯარო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას, რომელთა საფუძველზეც მოიჯარეებს ვაგზლების შენობებში დაკავებული აქვთ საიჯარო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფართი.

4. მოიჯარე უზრუნველყოფს ცენტრალური ვაგზლის შენობის გამონთავისუფლებას შენობაში რეგისტრირებული იძულებით გადაადგილებული პირებისაგან მათთვის შესაბამისი კომპენსაციების გაცემით, რომელიც არ შედის ივნესტიციის მოცულობაში. კომპენსაციის ოდენობას განსაზღვრავს მოიჯარე აღნიშნულ პირებთან მოლაპარაკებით.

5. მოიჯარე ვალდებულია შექმნას ყველა საჭირო პირობა სამგზავრო სადგურის ნორმალური ფუნქციონირებისთვის. მოიჯარეს უფლება არა აქვს სხვა დანიშნულებით გამოიყენოს ვაგზლების ბაქნები და მასთან მისასვლელი ინფრასტრუქტურა და ამით ხელი შეუშალოს მგზავრთა მომსახურებას.

6. კონკურსში მონაწილემ, მის მიერ დალუქული კონვერტით, უნდა წარმოადგინოს საინვესტიციო ხელშეკრულების პროექტი, სადაც გათვალისწინებული იქნება ცენტრალური ვაგზლისა და ბორჯომის ვაგზლის შენობების (მათ შორის იმ ფართის რომელიც რჩება შპს "საქართველოს რკინიგზის" სარგებლობაში) და მიმდებარე ტერიტორიის რეკონსტრუქციისთვის მოიჯარის მიერ განსახორციელებელი ინვესტიციის ოდენობა და ვადები (არანაკლებ 10.0 მილიონი დოლარისა და პირველი 2 წლის ვადაში), აგრეთვე რეკონსტრუქციის პროექტი (ექსტერიერი, ინტერიერი), რომელიც კონკურსში გამარჯვებული პირის მიერ, კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად, შეთანხმებულ უნდა იქნეს შესაბამის სახელმწიფო სტრუქტურებთან. კონკურსში გამარჯვებული ვალდებულია სარეკონსტრუქციო-სამშენებლო სამუშაოები დაიწყოს იჯარისა და საინვესტიციო ხელშეკრულებების გაფორმებიდან არაუგვიანეს 6 თვის ვადაში, წინააღმდეგ შემთხვევაში კონკურსის შედეგები გაუქმდება და გამარჯვებულს "ბე" და გადახდილი საიჯარო ქირა არ დაუბრუნდება. მხარეთა შეთანხმებით ინვესტიციის განხორციელების ვადა შეიძლება გაგრძელდეს 1 (ერთი) წლით.

საინვესტიციო ხელშეკრულება წარმოადგენს საიჯარო ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. საივესტიციო პროექტში წარმოდგენილი უნდა იყოს საბანკო გარანტია არანაკლებ საინვესტიციო თანხის 10 %-ისა, რომლებიც უზრუნველყოფენ ინვესტიციების განხორციელებას.

7. საიჯარო ხელშეკრულება ძალაში შევა მხოლოდ საინვესტიციო ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ.

8. იჯარის მაქსიმალური ვადა შეადგენს 49 წელს.

9. მოიჯარე ვალდებულია უზრუნველყოს იჯარით აღებული ქონების მოვლა-პატრონობა, ხანძარსაწინააღმდეგო, უსაფრთხოების და სანიტარული ნორმების დაცვა;

10. კომუნალურ გადასახადებსა და ვაგზლების შენობების დაცვის ხარჯებს იხდის მოიჯარე;

11. მოიჯარე 6 თვეში ერთხელ, შპს "საქართველოს რკინიგზას" წარუდგენს ანგარიშს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების თაობაზე;

12. მესაკუთრე წინასწარ უცხადებს თანხმობას მოიჯარეს, მასზედ რომ მან იჯარისა და საინვესტიციო ხელშეკრულებების მოქმედების განმავლობაში სარგებლობის ნებისმიერი მიზნით, ქვეიჯარით გასცეს იჯარით დატვირთული ქონების სხვადასხვა ნაწილი, იმ პირობით რომ ასეთი ქვეიჯარა პირდაპირ და/ან არაპირდაპირ არ შეზღუდავს და/ან სხვა რაიმე მავნე ზემოქმედებას არ მოახდენს სამგზავრო სადგურის ნორმალურ ფუნქციონირებაზე.

13. მოიჯარეს ეკრძალება მესაკუთრეს თანხმობის გარეშე გამოიყენოს საიჯარო ქონება კრედიტის უზრუნველყოფის მიზნით ან სხვაგვარად უფლებრივად დატვირთოს იგი.

*კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საკონკურსო კომისიას უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:*

1. დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი, რომელშიც სავალდებულოა აისახოს "მოიჯარის" თანხმობა გამოცხადებული პირობების შესრულებაზე და კონკრეტული თანხა, რომელიც არ შეიძლება იყოს გამოცხადებულ საწყის საიჯარო ქირაზე ნაკლები. შემოთავაზებული თანხა არ უნდა იყოს დამოკიდებული რაიმე პირობაზე ან სხვა კონკურსანტის მიერ შემოთავაზებულ წინადადებაზე;

2. მოიჯარის მიერ წარმოდგენილი წინადადებები, მოთავსებული ცალკე კონვერტში, რომელიც ილუქება მის მიერ;

3. "ბე-ს" გადახდის ქვითარი, რომელიც გადაიხდება შპს "საქართველოს რკინიგზის" საანგარიშსწორებო ანგარიშზე: ბანკი რესპუბლიკა ცენტრალური ფილიალი ა/ა N3407003205 ბანკის კოდი N220101757 საიდენტიფიკაციო კოდი N202886010;

4. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მონაცემები;

5. ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით;

6. იურიდიული პირები დამატებით წარადგენენ სადამფუძნებლო დოკუმენტების ნოტარიულად დამოწმებულ ასლებს;

საკონკურსო კომისიის ზონარგაყრილ წიგნში განაცხადის რეგისტრაციის მომენტიდან, განმცხადებელი იძენს კონკურსში მონაწილის სტატუსს;

კონკურსში მონაწილეობა შეუძლია ყველა იურიდიულ და ფიზიკურ პირს;

განმცხადებელმა განაცხადის ფორმაში უნდა მიუთითოს თუ რა ვადით სურს ფართის იჯარით აღება.

კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმებია საკონკურსო პირობების სრულად დაკმაყოფილება, მაქსიმალური საიჯარო ქირისა და საინვესტიციო თანხების შემოთავაზება.

კონკურსში გამარჯვებულად გამოცხადდება ის ერთი მონაწილე, რომელიც უკეთესად დააკმაყოფილებს კონკურსის პირობებს და გამარჯვებულად გამოცხადების კრიტერიუმებს

კონკურსში მონაწილეობის მსურველთა განაცხადები მიიღება კონკურსის ჩატარებამდე ბოლო 30 კალენდარული დღის განმავლობაში 10-სთ-დან 17 სთ-მდე, ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი N15 შპს "საქართველოს რკინიგზის", ადმინისტრაციული შენობა, ტელ. 563351

კონკურსი ჩატარდება 2006 წლის 14 მარტს 12 სთ.-ზე შპს "საქართველოს რკინიგზის" ადმინისტრაციულ შენობაში;

მონაწილეს და მის უფლებამოსილ წარმომადგენელს უფლება აქვს დაესწროს მხოლოდ კონვერტის გახსნას;

კონკურსის შედეგები ცხადდება კონვერტის გახსნიდან არაუმეტეს 5 სამუშაო დღის განმავლობაში;

ოქმი მტკიცდება კონკურსის ჩატარებიდან 10 დღის განმავლობაში;

ოქმის დამტკიცების მომენტიდან 20 კალენდარული დღის განმავლობაში გამარჯვებული ვალდებულია გააფორმოს საივესტიციო და საიჯარო ხელშეკრულებები წინააღმდეგ შემთხვევაში კონკურსის შედეგები გაუქმდება და "ბე" არ დაუბრუნდება;

მოიჯარეს გადახდილი "ბე" ჩაეთვლება ბოლო თვის საიჯარო გადასახადში იმ დროისათვის არსებული კურსის შესაბამისად;

საიჯარო ხელშეკრულების სანოტარო დამოწმების და აუცილებელი საბუთების წარმოდგენის ხარჯებს იხდის კონკურსში გამარჯვებული.

პირველი სართული (მარჯვენა ნაწილი)









# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**1.** ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური ატარებს ღია ტენდერს ქ. თბილისში, ცოტნე დადიანის გამზირის მონაკვეთის (ხუდადოვის ქუჩიდან კ/თ "საქართველომდე"), კაპიტალური შეკეთებითი სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტის მოკლე დახასიათება: ტრამვაის ლიანდაგების დემონტაჟი - 11.586 გრ.მ, მოსაწყობია გზის საფუძვლის ქვედა და ზედა ფენები, ასფალტო - ბეტონის საფარის ქვედა და ზედა ფენები - 61.194 მ2, ტროტუარის საფარი - 20.501მ2, ძველი ბაზალტის ბორდიური - 4065 გრ.მ, ახალი ბაზალტის ბორდიური - 3128 გრ.მ, ხეების ირგვლივ ახალი ბაზალტის ბორდიური - 1950 გრ.მ, საყრდენი კედლის მოწყობა - 16.3 მ3, სანიაღვრე კოლექტორი - 1085 გრ.მ, სანიაღვრე გვერდმიმღებები - 61ც, სანიაღვრე ცხაურები - 105ც.

**2**. მიწოდების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2006 წლის 29 სექტემბერი.

3. განაცხადი, სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები (ორიგინალი ან ნოტარიულად დამოწმებული ასლი) უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და წარმოდგენილ იქნას სატენდერო კომისიის აპარატში 2006 წლის 6 მარტის 12 საათიდან 6 მარტის 18 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, III-ე სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

